საპარლამენტო ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 5 ივლისი 2000 №126 (1148) | ფასი 50 თეთრი

საფრანგეთში ნადიმია, იტალიაში სკანდალი

როჟე ლემერი ღიმილად იღვრება...

ლემერი და მისი გუნდი საფრანგეთის პრეზიდენტმა სადილზე მიიწვია, იტალიაში კი საქმე აიწეწა: დინო ძოფს მარჯვნიდან უტევენ, მარცხნიდან იცავენ

საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი საფრანგეთის ნაკრები ელისეს სასახლეში ოფიციალურ სადილზე მიიწვია. ეს მართლაც უდიდესი პატივია, რომელიც პრეზიდენტმა შეიძლება მიაგოს ვინმეს. სადილი 31 აგვისტოს გაიმართება, რადგან „ლურჯები" სწორედ იმ დღეს იკრიბებიან პარიზში, რათა 2 სექტემბერს „სტად დე ფრანსზე" მსოფლიოს ნაკრებს ამხანაგურ მატჩში შეხვდნენ.

იტალიაში კი ასეთი ამბებია: დინო ძოფმა ცნობილი სილვიო ბერლუსკონის კრიტიკა ინყინა და მოკლედ მოჭრა, ნაკრებიდან წავალო, რასაც ლამის პოლიტიკური აყიოტაჟი მოჰყვა.

იხილეთ მეხუთე გვერდი



...დინო ძოფი კი ბრაზს ვეღარ ერევა

ვაი უილიამსებისგან და ჟურნალისტებისგან

ავთანდილ სვანიძე

ლონდონიდან

უიმბლდონის ქალთა მეოთხედფინალებიდან გამორჩეული ყურადღება პირველ და მეხუთე ნომრებად განთესილების მარტინა ჰინგისისა და ვინუს უილიამსის შეხვედრამ მიიპყრო. „როლან გაროსის" ფინალის წაგების მერე ჰინგისს კიდევ ერთი იმედგაცრუება ელოდა. ამერიკელმა ზანგმა სამ სეტში (6:3, 4:6, 6:4) შეძლო მსოფლიოს პირველი ჩოგნის დამარცხება და ნახევარფინალში გავიდა. იქ კი ვინუსს საკუთარი და, სერენა დაუხვდება, რომელმაც თვისტომ ლიზა რაიმონდს იოლად, 6:2, 6:0 მოუგო. უიმბლდონის შარშანდელმა გამარჯვებულმა ლინდსი დევენპორტმა კი ერთ დროს მრისხანე მონიკა სელეშს გადაუღობა ნახევარფინალის გზა — 6:7 (4:7), 6:4, 6:0. ელიტაში დამკვიდრებისთვის მებრძოლმა ავსტრალიელმა ელენა დოკიჩმა ესპანელ მაგული სერნას აჯობა (6:3, 6:2) და დევენპორტთან მოუწევს საქმის დაჭერა.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი



REUTERS ლონდონიდან

მარტინა ჰინგისი



ვინუს უილიამსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ხიზანეიშვილი: მე სპარტაკის ფეხბურთელი ვარ

რუსეთის ჩემპიონ მოსკოვის „სპარტაკს“ ქართველი ფეხბურთელი შეემატა — 18 წლის მცველი ოთარ ხიზანეიშვილი.

გუშინ, ვიდრე „სპარტაკი“ თანაქალაქელ „ტორპედოს“ დაამარცხებდა, კლუბის ოფისში „სპარტაკის“ გენერალურ დირექტორ ალექსანდრე შიკუნოვის, ვიცეპრეზიდენტ გრიგორი ესაულენკოსა და თავად მწვრთნელ -პრეზიდენტლეგ რომანცევის თანდასწრებით ოთარ ხიზანეიშვილმა კლუბთან კონტრაქტს ხელი მოაწერა, რამდენ წლიანს, ჯერჯერობით საიდუმლოა.

ოთარს გუშინვე შეეძლო „ტორპედოს“ წინააღმდეგ თამაში, ამისი სურვილი ოლეგ რომანცევსაც ჰქონია, მაგრამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ხიზანეიშვილის განთავისუფლების ფურცელი არ გაუგზავნია და სწორედ ამის გამო „სპარტაკს“ ოთარი საჩემპიონატოდ ჯერ ვერ განუცხადებია. ისე კი ფედერაცია ხიზანეიშვილს რუსეთში თამაშის ნებას თურმე აუცილებლად მისცემს. ტრანსფერის გაგზავნა იმიტომ დაგვიანდა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ყორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია თბილისში არ იმყოფებიან...

ოთარ ხიზანეიშვილი უკვე მოსკოვის სპარტაკელია

— ძალიან გახარებული ვარ. კონტრაქტი რამდენიმე საათის წინ გავაფორმე — გვითხრა ოთარ ხიზანეიშვილმა გუშინვე, როცა მოსკოვში დავუკავშირდით — 10 წუთი იქნება, რაც ტარასოვკის ბაზიდან დავბრუნდი, „ტორპედოსთან“ მატჩის შემდეგ ბაზაზე გუნდს მეც გავყევი. რომანცევმა ფეხბურთელები შეკრიბა და ყველას გააგებინა — ეს ბიჭი ჩვენი თანაგუნდელიაო.

— რომანცევს პირადად შენთვის არაფერი უთქვამს?

— ძალიან კმაყოფილი ვარ, სპარტაკელი რომ გახდიო, ბაზიდან წამოსვლისას მითხრა.

— როდის ითამაშებ?

— როგორც კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან განთავისუფლების ფურცელი ჩამომივა.

— ნამდვილად?

— მპირდებიან. ყოველ შემთხვევაში, რომანცევი „ტორპედოსთან“ მატჩისთვისაც მამზადებდა.

— ფედერაციამ რომ არ გაგათავისუფლოს?

— გამორიცხულია. მე არც ერთ კლუბს არ ვეკუთვნოდი.

— „დინამოს“?

— „დინამოსთან“ ჩემი კონტრაქტი დარღვეულია. ახლა მე მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელი ვარ.

ხმაზე ეტყობოდა, დაღლილი იყო. ჩვენც ოთარ ხიზანეიშვილი მეტად ალარ შეგვიწუხებია, თუმცა...

ის ხომ უკვე სპარტაკელია, მთავარი სწორედ ეს არის. რუსეთის უპირველეს გუნდში ქართველიც ითამაშებს ანზორ კავაზაშვილის, მანუჩარ მაჩაიძის, უმცროსი მიხეილ მესხის, კახი ცხადაძის და ომარ თეთრაძის მერე პირველად.

კოტა ინასარიძე

წითელი ვარსკვლავების სამზადისს შეუდგნენ

ალბათ არავის ეპარება ეჭვი, რომ საქართველოს ჩემპიონის, ქუთაისის „ტორპედოს“ მეტოქე ჩემპიონთა ლიგის მეორე შესარჩევ ეტაპზე ფარერული „კლაკსვიკარის“ და იუგოსლავიური „ცრვენა ზვეზდას“ წყვილიდან სწორედ ეს უკანასკნელი იქნება. სასწაული უნდა მოხდეს, რომ ჩვენებური „კოლხეთის“ გამამწარებელმა ფარერული ბარიერი ვერ დაძლიოს. 26 ივლისსაც ალბათ „ტორპედო“ სწორედ „ცრვენა ზვეზდას“ ესტუმრება ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩის ჩასატარებლად, მაგრამ მოვლენებს წინ არ გაესწრება, ეს იუგოსლავიელებმაც მშვენივრად იციან და საევროტურნიროდ სამზადისს გაცილებით ადრე შეუდგნენ. „ტორპედოს“ მეტოქემ გუშინწინ საკონტროლო მატჩი გამართა უკრაინულ „შახტართან“. ეს მატჩი მიუნხენის მახლობლად, დაბა რაიტვინკლეში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფ უკრაინულ კლუბთან 2:1 მორჩა.

„ვარსკვლავთა“ რიგებში არ ჩანდნენ ევრო 2000-ის მონაწილე აჩიმოვიჩი, დუდიჩი და ბუნიევჩევიჩი, რომლებმაც კლუბი გამოიცვალეს.

საკონტროლო მატჩში „ცრვენა ზვეზდამ“ პირველ ტაიმშივე მოუთავა საქმე „შახტარს“. მე-17 და მე-40 წუთზე ბოშკოვიჩის და დრულიჩის გოლებით იუგოსლავიელები ორბურთიანი უპირატესობით გავიდნენ შესვენებაზე. მეორე ტაიმში მოროზოვმა ერთი კი გაქვითა, მაგრამ მისმა „შახტარმა“ მეტი ვეღარ შეძლო და მატჩიც სლავოლიუბ მუსლინის შეგირდების გამარჯვებით დასრულდა — 2:1.

უახლოეს საკონტროლო მატჩს იუგოსლავიელები ხვალ გამართავენ შვეიცარიის უმაღლესიგელ „ლუცერნთან“.

„შახტართან“ მატჩში „ცრვენა ზვეზდამ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *კოციჩი (პეშიჩი), მარკოვიჩი, ლალატოვიჩი, ილიჩი (პეროვიჩი), გლოგოვაცი, ბაიჩეტიჩი, გვოზდენოვიჩი, ლერინცი (გეორგიოსკი), დრულიჩი (მირკოვიჩი), პიანოვიჩი (სტევანოვიჩი), ბოშკოვიჩი (მარკოსკი)*

პაატა ქვანტალიანი

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია

(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით.

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი
ტელეფონი: 31-55-35, 38-67-56

საზაფხულო მიდი-მოდი

		გასხვისებულები	ახალწვეულები	სეზონთშორისი
	ტორპედო *დავით ყიფიანი*	ბობოხიძე (დინამო), სომხიშვილი (ალაზანი)	გუჩუა (დინამო), მამალაძე (თბილისი)	20.06-დან ქუთაისში ვარჯიშობს. 10.07-დან ბულგარეთში მოემზადება. 26.07 კლასიკარის (ფარერები) და ცრვენა ზვეზდას (იუგოსლავია) მოგებულს სტუმრობს.
	ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	მორჩილაძე (თსუ)	სულთანიშვილი (დილა), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა თსუ), ე. ალადაშვილი (არსენალი), ჭიღლაძე (ს.ა. იბერია)	22.06-03.07 ბაკურიანში შეიკრება. 04.07-12.07 თბილისში მოემზადება. 13.07-01.08 გერმანიაში შეიკრიბება
	დინამო *ჯუმალ ჩიმაკაძე*	*ხიზანეიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), დიდავა, ნიტაიშვილი (მაკაბი, თ-ა, ისრაელი),* პ. ჯინჭარაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), გუჩუა (ტორპედო), ო. გველესიანი (ბათუმი), ხუციშვილი, მინაშვილი (ტრანსფერზე არიან)	ბობოხიძე (ტორპედო), კ. გოგოლაძე (სიონი), ბურდული (თბილისი), კ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა)	*შამქორი (ა ზერშაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1* 12.07 თბილისში შეიკრიბება
	ბათუმი *ჯანი კარნეკვალი*	*მ. მიხარაძე (კარიერა დასრულა),* ხომერიკი, ა. მუჯირი (არაუ, შვეიცარია), ტოგონიძე, ჩლაიძე, თარგამაძე, ხუციძე, მაჭუტაძე, გელა ქორიძე (?)	ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), მაჭავარიანი (თბილისი), კ. მეკავანაძე (შუქურა)	07.06-დან შვებულებაშია. 08.07 ბათუმში შეიკრიბება. 18.07-დან ჩაქვში მოემზადება
	კოლხეთი *გია ტყემუჩავა*	ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა)	რ. ხაჭაპურიძე (დილა), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), კრასოვსკი, თედეევი, დ. კვირკველია, ჭანტურია (კოლხეთი 2)	25.06-დან ფოთში ვარჯიშობს. 05.07-14.07 ბაკურიანში მოემზადება
	სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ვ. მაისურაძე (?)	ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (არსენალი), ბარნოვი (თბილისი), ტარიელაშვილი (ალაზანი)	27.06-დან თბილისში ვარჯიშობს
	იბერია *სოსო ფრუიძე*	ადეიშვილი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა) ვ. გიგიაძე, ი. გიგიაძე, ოდიკაძე (?, რუსეთი), ყვანია, ნაროუშვილი (ლოკომოტივი)		30.06-03.07 ქვიშხეთში ვარჯიშობდა. 05.07-დან თვის ბოლომდე მოსკოვში მოემზადება.
	დილა *მერაბ ხუციშვილი*	სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია), რ. ხაჭაპურიძე (კოლხეთი), მარეხაშვილი (კარიერა დასრულა); მერაბ კოჭლაშვილი (მწვრთნელი)	მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი)	21.06-დან გორში ვარჯიშობს *ლოკომოტივი 1:3*
	მერანი *სერგო გაბელაია*			01.06-დან შვებულებაშია.
	ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	*ჯიშკარიანი (ტორპედო ბილი, რუსეთი),* ჩიხრაძე, ლ. მიქაძე (ბაპოელი, ბეერშევა, ისრაელი), კაციაშვილი (მარგვეთი), ჯუღელი (?, რუსეთი), ნიკურაძე (?, ფინეთი), ბაქრაძე, გოგიჩაიშვილი, გ. გვაზავა, (?)	გონჩაროვი (თბილისი), ყვანია, ნაროუშვილი (იბერია), კაკაშვილი (არსენალი), ზურაბ აიანადი (ზობი)	25.06-დან თბილისში ვარჯიშობს. მოგვიანებით ლაგოდეხში მოემზადება *დილა 3:1*
	თსუ *თენგიზ კაციია*	ხართიშვილი (ტრანსფერზეა), მაზიაშვილი, ბარქაია (კონტრაქტები დაუმთავრდათ), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა ვიტ ჯორჯია)	მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), ხარებავა (არსენალი), შედანია (ზოოვეტი)	01.07-დან მცხეთაში ვარჯიშობს. 16.07-26.07 ლაგოდეხში, 04.08-14.08 კიმალთაყვაში მოემზადება
	გორდა *იასონ ალადაშვილი*	გ. კილასონია, ვ. კილასონია (კონტრაქტები დაუმთავრდათ)		28.06-დან რუსთავში ვარჯიშობს

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია

ქებაძე ირაკლისს ირჩევს და ბერძნულს სწავლობს

ლევან ქებაძე საქართველოს მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატიდან მოულოდნელად წავიდა. მან პირველი ეტაპი თბილისის „ლოკომოტივში“ გაატარა, ზამთარში „დინამოს“ შეუერთდა, ქვეყნის ათგზის ჩემპიონთან ერთად მოსკოვშიც იყო, თანამეგობრობის ტურნირში ითამაშა. თითქოს „დინამოც“ უნდა გაეძლიერებინა, თბილისელებს ხომ გა ზაფხულზე ჩემპიონობის შესანარჩუნებლად ძნელი ბრძოლა ელოდათ, მაგრამ განახლდა ჩემპიონატი და ქებაძე „დინამოში“ კი არა, ვერც ერთ ქართულ კლუბში ვერ ვიხილეთ. ან კი როგორ უნდა გვეხილა, როცა ივი უკვე ბერძნული „ირაკლისის“ საკუთრება იყო, მცირე ხნით, 31 მაისამდე. ბოლო ხუთი თვე ლევანმა „ირაკლისში“ დაჰყო, ამ კლუბის ღირსებას იცავდა და საკმაოდ წარმატებითაც. ბერძნულ გუნდთან კონტრაქტგასრულებული ბოლო ხანს საქართველოში იმყოფებოდა, ნთესავ-მეგობრები მოინახულა. ახლა კი მის ინტერვიუს რომ წაიკითხავთ, ივი უკვე საბერძნეთში იერთებდა შესაძლოა „ირაკლისთან“ ახალი ხელშეკრულებაც უკვე გაფორმები ჰქონდეს.

ACTIONIMAGES სალონიკიდან

ლევან ქებაძის (№17) გოლით „არისის“ 2:0 დამარცხებამ „ირაკლისს“ უეფას თასზე თამაში დაუბევა

— ლევან, თავიდან ის გვითხარი, როგორ აღმოჩნდი „ირაკლისში“.

— ბერძნულ კლუბში მართლაც მოულოდნელად გადავედი. „ლოკომოტივი“ შარშან შემოდგომაზე, მოგეხსენებათ, უეფას თასზე ბერძნულ პაოკ-ს შეხვდა. „ირაკლისის“ თავკაც ანგელუს ანასტასიადისს ორივე მატჩი უნახავს და მოვწონებივარ. მერე ჩრდილოეთ ირლანდიის „ლინფილდთან“ „ლოკომოტივის“ შეხვედრებითაც დაინტერესებულა. „ლინფილდს“ ორი გოლი გაუტანე, ერთი თბილისში, ერთიც ბელფასტში და ამ თამაშების ჩანაწერთა ხილვის შემდეგ ჩემი გადაყვანა განუზრახავს. ყოველივე ამის შემდეგ ბერძნები დამიკავშირდნენ და მიმიწვიეს, მეც ბევრი არ მიფიქრია, უმალ სალონიკში ჩავედი.

— როგორ მიგიღეს?

— ჩვეულებრივად. თავიდან ძალიან გამიჭირდა. განსაკუთრებით ენის პრობლემა შემექმნა. მწვრთნელის მითითებებსაც ვერ ვიგებდი. ერთმა მენეჯერმა იცოდა ქართული და ის მითარგმნიდა. მერე კი ნელ-ნელა შევეჩვიე, ენაც გავიტეხე. ახლა რომ ჩავალ, მინდა, სკოლაში ვიარო, რათა ბერძნული კარგად ვისწავლო. მეგობრობით კი უფრო ლეგიონერებს დავუმეგობრდი. რამდენიმე უცხოელი ვიყავით და ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა დავამყარეთ. არც ბერძნებთან მქონია ცუდი დამოკიდებულება.

— თავიდან გუნდის შემადგენლობაში საერთოდ არ ჩანდი...

— არც იყო გასაკვირი. მე ხომ „ირაკლისში“, ფაქტობრივად, მოუმზადებელი მივედი. ამ დროს ჩვენთან შესვენება იყო, საბერძნეთში კი გახურებული ჩემპიონატი. იქ წრეებს შორის არდადეგები არა აქვთ, ამიტომ „ირაკლისთან“ ერთად სრულფასოვანი მომზადების საშუალება არ მქონდა. ერთი თვე დამატებითი ვარჯიშები დამინიშნეს, ფიზიკურადაც მოვმაგრდი და ანასტასიადისმაც ნელ-ნელა შემაჩვია შემადგენლობას. თავიდან შეცვლებზე შევყავდი, მერე კი ძირითადშიც მაყენებდა.

— თავად თუ დარჩი კმაყოფილი?

— კი, უკმაყოფილების საბაბიც არ მაქვს. ბოლოს უკვე, შემიძლია ვთქვა, ჩემს კარიერაში საუკეთესო ფორმაში ვიყავი. ეს პირობების დამსახურებაცაა, ყველაფერი ისეა აწყობილი, კაცი მარტო ფეხბურთზე ფიქრობ. შედეგიც ლოგიკურია. თავდასხმაში დიდი კონკურენცია იყო, ამიტომ მწვრთნელებმა თავიდანვე ნახევარდაცვაში გამამწესეს. ოთხი გოლის გატანა შევძელი. საბოლოოდ ჩემი თამაში კლუბის ხელმძღვანელებმაც მოიწონეს და ჩემთან კონტრაქტის გაგრძელება მოისურვეს.

— რამდენწლიანს გთავაზობენ?

— ალბათ, სამწლიან ხელშეკრულებას გავაფორმებ.

— როგორც თავისუფალი აგენტი?

— არა, მე თბილისის „დინამოს“ საკუთრება ვარ. „ირაკლისში“ განათხოვრებული ვიყავი.

— საბერძნეთში ქართული ფეხბურთის კიდევ სამი აღზრდილი თამაშობს — ომარ თეთრაძე პაოკ-ში, ანდრო ნინიადისი „ოლიმპიაკოსში“ და გოდერძი ნატროშვილი „პანახაიკში“...

— ყველაზე ახლო ურთიერთობა თეთრაძესთან მაქვს. ივიც სალონიკურ გუნდშია, ამიტომ ხშირად ვხვდებით ერთმანეთს. ნინიადისისა და ნატროშვილის ნახვა კი ვერ მოვახერხე. ისე კი, სამივე მათგანი საკუთარი გუნდის ერთერთ ლიდერად ითვლება.

— სალონიკს სამი კარგი გუნდი ჰყავს: „ირაკლისი“, პაოკ-ი და „არისი“. ბერძენი გულშემატკივრების ამბავი კი ყველას მოეხსენება. ალბათ, ქომაგებს დიდი შუღლი ექნებათ...

— ქალაქი, ფაქტობრივად, სამ ნაწილადაა გახლეჩილი. ერთნი პაოკ-ს ქომაგობენ, მეორენი „არისს“ და მესამენიც ჩვენ. ერთმანეთში რომ ვთამაშობთ, სტადიონი ივსება ხოლმე. ახლაც უეფას თასის საგზურისთვის დამატებითი ტურნირი რომ ჩატარდა, ჩვენი და „არისის“ მატჩზე ისეთი ამბავი შეიქნა... „ირაკლისის“ ხელმძღვანელობამ ჩვენი, 50-ათასიანი სტადიონი გაარემონტა, კეთილმოაწყო, უეფას თასისთვის გაამზადა სარბიელი, თუმცა ამ შეხვედრის შემდეგ ყველაფერი ხელახლაა გასაკეთებელი. „არისის“ ქომაგებმა ინდივიდუალური სკამები ერთ მხარეს სულ გადაწვეს, სტადიონი საშინელ დღეში ჩააგდეს.

— „არისში“ რუსი ოლეგ ვერეტენნიკოვი თამაშობდა, მასთან ხომ არ გქონდა კავშირი?

— არა, ჩვენი ურთიერთობა მინდვრით შემოიფარგლა. იქაც განსაკუთრებული არაფერი ყოფილა.

— დამატებით ტურნირზე მინდა გკითხო. სამი გუნდი მონაწილეობდა. „ირაკლისმა“ და „არისმა“ 50-50 ქულით დაამთავრეს ჩემპიონატი, „პანიონიოსმა“ — 45-ით, თუმც ამ შეჯიბრში მაინც ითამაშა. რატომ?

— ასეთი რამ მეც პირველად ვნახე და ძალიანაც გავოცდი. თუმცა ბერძნებს დებულება ჰქონიათ ასეთი — მეექვსეადგილოსანი გუნდი მერვეზე გასულს მინიმუმ შვიდი ქულით უნდა უსწრებდეს, რათა პირდაპირ გაინაღდოს უეფას თასზე თამაში. „პანიონიოსი“ კი მხოლოდ ხუთით ჩამოგვრჩებოდა, ამიტომაც მოხდა ასე. ისე კი, ორივე მეტოქეს ვჯობდით ურთიერთშეხვედრებში და ბურთების სხვაობითაც.

— საბოლოოდ მეექვსე ადგილზე გასვედით, კმაყოფილი დარჩა კლუბის ხელმძღვანელობა მიღწეული შედეგით?

— დიახ. გუნდმა თავიდანვე უეფას თასზე გასვლა დაისახა მიზნად და ამას მიაღწია კიდეც. ისე, გახურებულ სეზონში „ირაკლისს“ პრეზიდენტი შეეცვალა. გუნდი ფინანსურად საკმაოდ ძლიერმა კაცმა იყიდა, რომელიც ამბიციებს არ მალავს და აცხადებს, რომ „ირაკლისი“ მომავალ სეზონში ბერძნული ფეხბურთის სამ გრანდს — „ოლიმპიაკოსს“, „პანათინაიკოსსა“ და აეკ-ს უნდა შეებრძოლოს. საამისოდ ახალი მწვრთნელიც მოიყვანა. ანასტასიადისი ცოტა ხნის წინ „პანათინაიკოსში“ წავიდა, მის ნაცვლად კი ამ გუნდის თავკაცი იოანის კირასტასი მოვიდა. როკი გაკეთდა.

— თუ სათანადოდ არ გაძლიერდით, გრანდებთან ჰიდილი არც ისე ადვილი საქმე იქნება...

— სალონიკიდან ხშირად მირეკავენ, იქაურ სიახლეებზე მეუბნებიან. როგორც შევიტყე, რუსული ცსკა-ს ყოფილი ფეხბურთელი სერგეი სემაკი დაუმატებიათ, „კაიზერსლაუტერნიდან“ მეკარე ანდრეას რაინკე უყიდიათ, ურუგვაის „დეფენსორ სპორტინგიდან“ კი ბრაზილელი თავდამსხმელი ედერსონი. კიდევ ორი არგენტინელის შეძენასაც აპირებენ. ვნახოთ, გუნდი რომ გაძლიერდება, უეჭველია.

— თავად შენ სხვა კლუბებიც ხომ არ გეპატიჟებიან?

— მენეჯერისგან შევიტყვე, რომ არის რაღაც ვარიანტები, კონკრეტულად რომელი გუნდები არიან, ვერ გეტყვით, მეც არ ვიცი. ისე კი, ისევ „ირაკლისში“ დარჩენა მიჯობს. კარგი პირობებია, გეგმებიც სოლიდური დაისახა, იქაურობასაც უკვე შევეგუე. ასე რომ, ჯერჯერობით „ირაკლისში“ თამაში მირჩევნია, მერე კი ვნახოთ, ბუნებრივია, მეც უკეთეს კლუბებზე ვფიქრობ.

— საქართველოსა და საბერძნეთის ჩემპიონატები ძალიან განსხვავდებიან?

— შედარება არც შეიძლება. იქ სულ სხვა ატმოსფეროა. თამაშებს პრესა-ტელევიზიით აშუქებენ, მაგრამ ცენტრალურ მატჩებზე ტრიბუნები ივსება. პირობებზე ხომ აღარაფერს ვამბობ... მოკლედ, ყველაფერი ისეა, ფეხბურთელი რომ ინატრებს, იქ თამაში გიხარია, ქომაგებიც მეტად გაფასებენ.

— ეროვნულ ნაკრებში გადახალისების პროცესია, ძოძუაშვილ-ყოფანის ტანდემი ბოლო ამხანაგურ მატჩებში ბევრ ფეხბურთელს ცდის. შენ კი მათ შორის არ ჩანხარ...

— სომხეთისა და აზერბაიჯანის ნაკრებებთან შეხვედრებისთვის ვიყავი გამოძახებული, მაგრამ „ირაკლისის“ ხელმძღვანელობამ ჩემი გამოშვება არ ისურვა. თავად დაუკავშირდნენ ნაკრების მწვრთნელებს და გადაწყვეტილების შეცვლა სთხოვეს. ძოძუაშვილმა და ყოფანმაც გაუგეს ბერძნებს და აღარ დამიძახეს. მაშინ „ირაკლისს“ მართლაც რთული მატჩები ჰქონდა. ისე კი, ნაკრებში თამაში ჩემი ოცნებაა და მჯერა, ამის დროც მოვა.

ვანო ოჭროპირიძე

ქართველებმა უკრაინა გასინჯეს

ქართული ხმები: კალაძე, მელაძე, დემეტრაძე და გვერდწითელი

ნუ იფიქრებთ, რომ ეს სურათი ნაყოფიერი ფოტომონტაჟის შედეგია. ფეხზე მდგარი სამეულის ცნობა არ უნდა გაგიჭირდეთ. ცნობილ მომღერალ ვალერი მელაძეს მასზე არანაკლებ ცნობილი ქართველი ფეხბურთელები — კახა კალაძე და გიორგი დემეტრაძე უმშვენებენ გვერდს, როიალთან კი თავად თამარ გვერდწითელი ზის... კიევის კულტურის სასახლეში ქართველები ქართულად მღერიან.

უკრაინის დედაქალაქი დიდი ზეიმის მონაწილე გახდა. კიევში ჯეროვანი პატივი მიაგეს ეროვნულ გმირებს — დინამოელ ფეხბურთელებს. „პრობა 2000“ — ასე უწოდეს ორგანიზატორებმა ამ ფანტასტიკურ შოუს. „პრობა“ უკრაინულად სინჯს ნიშნავს — დინამოელთა სინჯი კი ყოველთვის ოქროა. უკრაინამ ოქროს ბიჭები ჩაიხუტა.

ცნობილი მსახიობები, ესტრადის გამოჩენილი ვარსკვლავები, სახელმწიფო მოხელეები, ჩინოსანნი თუ უჩინონი, რიგითი გულშემატკივრები — ყველა დინამოელთა ზეიმის მონაწილე იყო. ამ დღისთვის მილანიდან კიევში საგანგებოდ ჩავიდა ანდრეი შევჩენკო და ყოფილ თანაგუნდელებს შეუერთდა. შევჩენკო ფეხზე მდგარი, მონუსხული უსმენდა თამარ გვერდწითელის სიმღერას, შემდეგ კი მილანელმა ქართველ მომღერალს უზარმაზარი თაიგული მიართვა.

ამის გადმოცემა შეუძლებელია, ეს უნდა ნახოთ — ამბობენ კიევური შოუს თვითმხილველნი.

ხანდახან საფეხბურთო გუნდს მთელი ერის გაბედნიერება ძალუძს — შოუს დასასრულს თავისი ემოცია არ დაუფარავს რუს მომღერალს, ალექსანდრ ბუინოვს. მას მართალიც უთქვამს, იქ ნამდვილად ასეა, აქ კი...

პაატა ძვანტალიანი

სად ითამაშებენ ძმები?

გორდა უპილასონიებოდ დარჩა

შეიძლება ითქვას, რომ რუსთავის „გორდა“ სანახევროდ დაიშალა. თავად განსაჯეთ, ორიოდე დღის წინ გუნდი დატოვეს ძმებმა ვარლამ და გია კილასონიებმა. „გორდას“ ლიდერებმა კლუბის ხელმძღვანელობისგან განთავისუფლების ფურცლები მოითხოვეს და საწადელიც აისრულეს. მათზე ძვირი არავის დასცდენია, კილასონიები უანგაროდ, თითქმის ენთუზიაზმის ხარჯზე ედგნენ შობლიურ კლუბს გვერდით და ლომის წილი დაიდეს „გორდას“ რჩეულთა შორის დარჩენაში. ძმების პოზიცია გასაგებიცაა — უპატრონო და უსახსრო „გორდას“ არანაირი პერსპექტივა არა აქვს. მეტიც, საეჭვოა, გუნდის მეთორმეტე ჩემპიონატში მონაწილეობაც.

— რა თქმა უნდა, გული მწყდება, „გორდა“ ჩემი მშობლიური გუნდია და მისი თანადგომა ყოველთვის უმთავრესი იყო ჩემთვის, მაგრამ... ძალიან სამწუხაროა, რომ იგი დღეისთვის ყველასგან დავიწყებული და მიტოვებულია. ფეხბურთელები ფაქტობრივად ბედის ანაბარა ვართ. მე კი ჯერჯერობით კვლავაც ფეხბურთის თამაში მსურს — უთხრა „სარბიელს“ ვარლამ კილასონიამ.

სად გააგრძელებენ ძმები კარიერას, ჯერჯერობით უცნობია. კილასონიების გადაბირების სურვილი რამდენიმე ქართულ კლუბს აქვს, თუმც ძმები არ ჩქარობენ, ამბობენ, თითოეული გუნდის მიერ შემოთავაზებულ პრობებს გადავხედავთ, ყოველივეს ავწონ-დავწონით და გადაწყვეტილებასაც შემდეგ მივიღებთო.

პაატა ძვანტალიანი

რა საერთო აქვს ქართულ ფეხბურთთან სიგარეტსა და სათვალეს?!

...ახლა ვერაფერს ვიტყვი. ხვალ თამაშია და მანამდე ინტერვიუები ცუდად მაქვს დაცდილი. მატჩის წინ ნურაფერს მთხოვ...

ასეთ სიტყვებს ხშირად გაიგონებთ ქართულ საფეხბურთო სამყაროში. მწვრთნელები, ფეხბურთელები და კლუბის ტექნიკური პერსონალი ის ხალხია, რომლებიც ყოველი მატჩის წინ სათუთად იცავენ თავიანთ პრინციპებს.

„ცუდად მაქვს დაცდილი". ამას იტყვიან და მორჩა, ქვეყანაც რომ დაიქცეს, მათთვის მიუღებელს ვერაფერს ათქმევინებ და გააკეთებინებ.

საფეხბურთო საქართველოში ამ მხრივ განსაკუთრებით გუნდების ადმინისტრატორები, უფრო ხშირად აღმასრულებელ დირექტორებს რომ ეძახიან (გაუგებარია, რატომ აიგივებენ ამ ორ თანამდებობას ერთმანეთთან), გამოირჩევიან. აბა, ამათი ურთიერთობა უნდა ნახოთ. თამაშის დღეს, რომ იხრჩობოდეს, მოწინააღმდეგე კოლეგას წყალს არ დაალევინებს. ასე გამოცდილები იქცევიან, თორემ ახალბედები, ოღონდ სტუმარს ასიამოვნონ, გაუჩენელს გააჩენენ.

თითქმის ხუთი წელიწადი გავიდა მას აქეთ. დავით ყიფიანის „დინამო" სოსო ფილიას „კოლხეთს" ესტუმრა. თბილისელები თვითმფრინავით სენაკში ჩაფრინდნენ, ფოთელებმა აეროპორტშივე ავტობუსი დაახვედრეს და ჰაიდა, პირდაპირ „ფაზისისკენ".

...ჩამოვიდნენ თბილისელები ავტობუსიდან. მწვრთნელ-ფეხბურთელებმა გასახდელებს მიაშურეს. ხელმძღვანელებმა ლოჟისკენ აიღეს გეზი. „დინამოს" ადმინისტრატორი გია იმნაძეც ჩამოსულა ავტობუსიდან, მაგრამ ადგილიდან არ იძვრის. აშკარად ვიღაცას ეძებს. იპოვა კიდეც.

„გამარჯობა, იურა, გენაცვალე. როგორ ხარ. ერთი, თუ ძმა ხარ, „ნასოსი" მათხოვე, ბურთები უნდა დავბერო".

მასპინძელმა იური გვაზავამ სტუმარს სიტყვის დამთავრება არ აცალა. „ნასოსიც" იქვე გაჩნდა და ბურთების დასაბერად საჭირო სპეციალური ნემსიც. ზრდილობისთვის სტუმარ-მასპინძელმა ერთმანეთს წარმატებები უსურვა და ორივე დაფაცურდა. გვაზავამ თავისიანებს მიაშურა, იმნაძე ორიოდ წუთს ავტობუსთან შეყოვნდა, მერე ბურთებს ხელი დაავლო და „დინამოს" გასახდელისკენ დაიძრა. ჰაერნაკლულობისა ბურთებს არაფერი ეტყობოდა. იმნაძეს ნათხოვარი არც გამოუყენებია, იქვე ავტობუსში შეინახა და თამაშის შემდეგღა დაუბრუნა მასპინძელს.

მაშინ ძალიან კი გამაკვირვა „დინამოს" ადმინისტრატორის იმგვარმა ქცევამ, მაგრამ დიდი ყურადღება არც მიმიქცევია. ის კი არა, მალევე დამავიწყდა, თუმც... იმ დროს გია იმნაძე უკვე გამოცდილი, თავის საქმეში ჭიპმოჭრილი კაცი იყო. იური გვაზავა კი ახალბედა, დამწყები ადმინისტრატორი თუ აღმასრულებელი დირექტორი.

ხუთი წლის წინანდელი ამბავი წლეულს ფოთშივე გამახსენდა. თითქმის უნებლიედ, მაგრამ მთავარი მოქმედი პირი ისევ იური გვაზავა იყო.

17 მაისს ფოთის „კოლხეთი" თბილისურ „ვიტ ჯორჯიას" მასპინძლობდა. თამაშის დაწყებამდე ნახევარი საათია დარჩენილი. იური გვაზავამ და მისმა მოწინააღმდეგე კოლეგამ, ბონდო ლომიძემ თავიანთი საქმეები თითქმის დაამთავრეს. ოქმი შევსებულია, ახლა



ჯემალ გოგია



გულსუნდა დუნდუა

ვ. ბურაკ ფოტოლაბორატორიის ფოტოები

იური მამინაშვილი

თითოეული, მეტოქის შემადგენლობას თავის ბლოკნოტში იწერს. ამ დროს ოთახის კარი გაიღო და ჭარმაგი პიროვნება შემოვიდა. ყველა ფეხზე წამოუდგა და მოწიწებით სალამი უთხრა. ჩამოჯდა კაცი, ცოტა მომავალზე ისაუბრა, ცოტაც წარსულზე და გვაზავას მიუბრუნდა. „იურა, მომაწევინე სიგარეტი". გვაზავას თითქმის ხელუხლებელი „ვაისროის" კოლოფი უდევს პერანგის ჯიბეში, მაგრამ მთხოვნელისთვის სიგარეტის მიწოდებას არ აპირებს. „თამაშის ბოლომდე ვერ მოგაწევინებთ, ბატონო, ცუდად მაქვს დაცდილი. მატჩის მერე ჩემი თავი გენაცვალოთ".

სწორედ მაშინ მომაგონდა ხუთი წლის წინანდელი ამბავი და გვაზავასაც გავახსენე. „კი, ასე იყო. გია იმნაძე ისე არ ჩამოვიდოდა, თამაშის წინ რამე არ ეთხოვა. ის გამოცდილი ადმინისტრატორი იყო, მე — დამწყები. ასე გრძელდებოდა ორი-სამი წელიწადი. მერე თვითონვე გამომიტყდა სიმართლეში, მატჩის წინ მოწინააღმდეგის მსგავს ხრიკებს არ წამოეგოო. ამის მერე თამაშამდე არავის არაფერს ვაძლევ. კაცია და გუნება".

იმ ამბების გახსენებიდან ერთი კვირაც არ იყო გასული. „ვიტ ჯორჯია" მცხეთაში „ბათუმს" ეთამაშებოდა. მატჩის შედეგს ორივე გუნდისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო პრინციპული „ბრძოლა" ჯერ კიდევ გასახდელში დაიწყო.

...ოქმის შესავსები ოთახისკენ გავეშურე. გზად იური მამინაშვილს შევხვდი. მას ხელში ბლოკნოტი და ავტოკალამი ეჭირა, სათვალეც ეკეთა. ფაქტობრივად ერთი გზა გვქონდა, მაგრამ მამინაშვილი რატომღაც შეყოვნდა.

სტუმარი ოთახში მაშინ შემოვიდა, როცა ვიტჯორჯიელ ბონდო ლომიძეს თავისი მისია დასრულებული ჰქონდა. მხოლოდ მამინაშვილს ელოდა, რათა თავის ბლოკნოტში „ბათუმის" შემადგენლობა გადაეწერა.

ჩამოჯდა სტუმარი. შევხედე და სათვალე არ უკეთია. „ბონდო ბატონო, სასტუმროში დამრჩა სათვალე, თუ არ შეწუხდებით, მათხოვეთ და..."

მივხვდი ყველაფერს, მაგრამ... მუშაობს მამინაშვილი და, თუ შეიძლება სიგარეტი მომაწევინეთო, გვეუბნება. ლომიძემ „ვაისროი" ამოიღო, მე — „კონგრესი". მამინაშვილთან უფრო ახლოს მე ვზიავარ, მაგრამ...

„ბოდიშით, მე „ვაისროის" მოვწევ, „კონგრესი" ცოტა მწარეა". სტუმარმა მასპინძლის კეთილგანწყობით ისარგებლა. „ბათუმმა" მატჩამდელი ბრძოლა მოუგო „ვიტ ჯორჯიას" და მერე რა, რომ ამან თამაშის საბოლოო შედეგზე გავლენა ვერ იქონია. ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, ხომ გაგიგონიათ.

ადრე ბოლნისის „სიონში" მუშაობდა პეტრე დანელია. სტუმარი იყო „სიონი" თუ მასპინძელი, რომ მოგეკლათ, მეტოქეზე ადრე მატჩის ოქმს ვერ შეავსებინებდი. „რას ამბობ, ცუდად მაქვს დაცდილი". თავის დასამკრეველი არაერთი ხერხიც მუდამ გამზადებული ჰქონდა, თანაც სულ მცირე, ორი.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პიროვნება თავისი საქმის ჩინებული მცოდნეა. მართალია, ზოგი ნაკლებად გამოცდილია, მაგრამ თავიანთ ამბავში წუნს ვერავინ დასდებს. თუმც ამათ შორისაც არიან საუკეთესოთა შორის საუკეთესოები.

ქართულ ფეხბურთში ჩახედულ კაცს, ალბათ, სმენია გულსუნდა დუნდუასა და ჯემალ გოგიას ფანდების შესახებ. ერთი ლანჩხუთის „გურიას" სული და გული იყო ოდითგანვე, მეორე კი — ზუგდიდური „ოდიშისა". ახლა ამ კლუბებს ძნელად თუ იპოვით ქართულ საფეხბურთო რუკაზე. დუნდუა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრია, ხოლო გოგია სამეგრელოს ფეხბურთის ფედერაციის წამყვანი მუშაკი.

ამათი დაპირისპირება უნდა გენახათ თამაშის წინ. ამოუწურავი იყო ორივეს ხრიკების არსენალი. ამის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია. დუნდუამ და გოგიამ ქართული ფეხბურთის ყველა ხვრელი ზედმიწევნით იცოდნენ. სეზონის წინ ფედერაციის საშეჯიბრო განყოფილება ყველა გუნდის მიერ წარდგენილ საბუთებში იპოვიდა რაიმე დარღვევას, მხოლოდ „გურიას" და „ოდიშის" დოკუმენტები იყო წესრიგში.

თამაშამდე ერთი მათგანიც არ მოგეკარებოდა. შეხვედრა თუ მშვიდობიანად დამთავრდებოდა, ხომ კარგი, არადა, ამუშავდებოდა წლების განმავლობაში უნივერსალიზმამდე დახვეწილი მექანიზმი. ბევრი ფაქტი რჩებოდა გამოუმზეურებელი.

ფეხბურთში ყველაფერი ხდება, მით უმეტეს, ქართულ ფეხბურთში. ვერ გეტყვით, ყველაფერი, რაც მოგახსენეთ, კარგია თუ ცუდი. ალბათ, ზოგი რამ მისაღებია, ზოგიც დასაგმობი, მაგრამ ფაქტი ერთია, სიმართლესაც და სიცრუესაც დახვეწილი პროფესიონალიზმი სჭირდება. მერწმუნეთ, ასეთები საქართველოში ბევრი არ მოგვეძევება. გუნდებს შორის ძირითადი დაპირისპირება კი, გნებავთ, ამას ბრძოლა უწოდეთ, თამაშამდე იწყება.

მამუკა კვანტალიანი

საფეხბურთო კლუბი ფოთის „კოლხეთი" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა „კოლხეთის" ადმინისტრატორი, წარსულში რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი
იური გობრონიძე
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ვინ ატყუებს ქართველებს

დაფიქრდით, ქართველო ფეხბურთელებო!

თუ ასე გაგრძელდა, მალე „სარბიელის" საშუალებით უკრაინული კლუბების სამზადისზე უფრო მეტს შეიტყობს მკითხველი, ვიდრე ქართულზე.

აგერ, ბატონო, ორი დღის წინ ტერნოპოლში საწვრთნელ-საკონტროლო მატჩი შედგა, იქაურმა „ნივამ" ზაპოროჟიეს „მეტალურგს" უმასპინძლა. შეხვედრა ფრედ 0:0 დასრულდა, თუმცა მთავარი ჩვენთვის (არც გუნდებისთვის) შედეგი არაა. ჩვენთვის საინტერესო ის ფაქტია, რომ ამ მატჩში ხუთმა ქართველმა ითამაშა. ავთანდილ გვიანიძე კარგა ხანია „ნივას" ღირსებას იცავს. შარშან შოთა ჩომახიძეც ამ გუნდში თამაშობდა. აი, პაატა ჯინჭარაძემ, ირაკლი შენგელიამ და გიორგი ადეიშვილმა კი ტერნოპოლის კლუბის მაისურა პირველად მოირგეს.

ახლა „საზაფხულო მიდი-მოდიში" „დინამოს" გასხვისებულებს ჩახედეთ და თქვენც გაკვირვებულები დარჩებით. ჯინჭარაძემ უკრაინას ცოტა ხნის წინ მიაშურა. იგი ზაპოროჟიეს „მეტალურგმა" მიიწვია გასასინჯად, გუშინწინ კი „დინამოს" მცველმა „ნივას" შემადგენლობაში ითამაშა, თუმცა მის მოქმედებას ყველაზე დიდი ინტერესით „მეტალურგის" მთავარი მწვრთნელი მირონ მარკევიჩი აკვირდებოდა. სწორედ მან მოინდომა გუნდის ორი ახალწვეულის — ჯინჭარაძისა და ფედაჩენკოს „მეტალურგის" წინააღმდეგ თამაში, ასე უკეთ გამოვცდიო. ორივემ მხოლოდ პირველი ტაიმი ჩაატარა, მერე კი „ნივას" თავკაცობამ თქვა, ჩვენც ბევრი გვყავს გამოსაცდელიო. მათ შორის იყვნენ სამტრედიის იბერიელი გიორგი ადეიშვილი და ირაკლი შენგელია, რომელიც შარშან „თბილისის" ღირსებას იცავდა. მოაწონა თუ არა ამ დუეტმა „ნივას" მწვრთნელებს თავი, ჯერჯერობით უცნობია. ასევე გაურკვეველია პაატა ჯინჭარაძის ბედიც. მისი მენეჯერი დავით ქარაული გუშინ ლევან ქებაძესთან ერთად საბერძნეთს გაემგზავრა, „ირაკლისთან" ტრანსფერის თაობაზე.

— ქებაძის საკითხს მოვაგვარებ და მერე უკრაინას ვეწვევი, რათა ჯინჭარაძის საქმეს მივხედო — განუცხადა „სარბიელს" ორი დღის წინ ქარაულმა.

აქვე ერთსაც ვიტყვით. ბოლო დროს უკრაინული მასმედია სულ უფრო მეტს საუბრობს „ნივას" ფინანსური კრიზისის შესახებ. ეს კლუბი დაშლის პირასაა, უმაღლეს დივიზიონში დარჩენის უმცირესი შანსიც კი არა აქვსო, ერთხმად აცხადებენ უკრაინელები. ყოველივე ამის შემდეგ „ნივაში" ახალი ქართველი ფეხბურთელების გამოჩენა ცოტა გაუგებარია. ფაქტია, მათ ცრუ დაპირებებით იტყუებენ ტერნოპოლში.

ისე, საზღვარგარეთიდან მოტყუებული და უხასიათოდ მობრუნებული ქართველიც არაერთი გვინახავს.

ვანო ოქროპირიძე

ვ. ბურაკ ფოტოლაბორატორიის ფოტო

დინამოელი პაატა ჯინჭარაძე (მარჯვნივ) „ტორპედოსთან" თამაშისას

სილვიო ბერლუსკონი



დინო ძოფი

ძოფი გააცოფეს

სილვიო ბერლუსკონის კრიტიკამ პაპა დინო მთელი ღამე არ დააძინა: მან ნაკრების დატოვება გადაწყვიტა

ITALIIIS ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დინო ძოფმა თანამდებობის დატოვება გადაწყვიტა.

ევროპის ჩემპიონატის ფინალში საფრანგეთთან დამარცხების შემდეგ იტალიის მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერმა სილვიო ბერლუსკონიმ მწვრთნელს ტაქტიკა დაუწუნა. ძოფმა თავისი გადაწყვეტილება სწორედ ბერლუსკონის კრიტიკას დაუკავშირა.

„ბერლუსკონისგან ჭკუის სწავლება არ მჭირდება — განაცხადა პაპა დინომ გუშინდელ პრესკონფერენციაზე, — ვერ გამიგია, რატომ ცდილობს ზოგიერთი, ცილი დამწამოს. ბერლუსკონის პირადად გავცემ პასუხს“.

პრესკონფერენციაზე ძოფი ერთობ აღელვებული იყო. მისი თქმით, ბერლუსკონის შეტევის შემდეგ მთელი ღამე არ ეძინა.

„ჩვენ მოგება შეგვეძლო და აუცილებლად უნდა გაგვემარჯვა — უთქვამს იტალიელ მაგნატსა და „მილანის“ პრეზიდენტს — უბრალო მოყვარულიც კი შეძლებდა წარმატების მიღწევას, თუ ზიდანს გააჩერებდა. პროფესიონალი მწვრთნელი მოვლენებს საღად უნდა აფასებდეს“.

საოცარია, მაგრამ ძოფის გადაწყვეტილებამ ბერლუსკონი გააკვირვა: „არასდროს არავინ გამინაწყენია, მით უმეტეს, დინო ძოფი. მწვრთნელისთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია, უბრალოდ მისი ტაქტიკა გავაკრიტიკე“.

შეგახსენებთ, რომ 59 წლის ძოფმა „სკუადრა აძურა“ წინა მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ჩაიბარა. 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონს სამწვრთნელო კარიერაშიც შეეძლო წარმატების მიღწევა, მაგრამ მის გუნდს სულ რამდენიმე წამი დააკლდა.

ჯერ კიდევ ორი დღის წინ პაპა დინო ამბობდა, ნაკრებიდან წასვლას არ ვაპირებ, „სკუადრა აძურას“ მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლშიც ვუხელმძღვანელებო. თუმცა მან აზრი მალევე შეიცვალა. გასარკვევი ერთიღა დარჩა, დაკმაყოფილებს იტალიის ფეხბურთის ფედერაცია ძოფის განცხადებას გადადგომის შესახებ? „ვგონებ, კი“ — განაცხადა ფედერაციის პრესატაშემ.

ძოფის შესაძლო წასვლამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ფეხბურთელები, პოლიტიკოსები, რიგითი იტალიელები პაპა დინოს ამხნევებენ და ნაკრებში დარჩენას სთხოვენ.

ძოფის თხოვნა გადადგომის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილონ“ — აცხადებს „სკუადრა აძურას“ მცველი ფაბიო კანავარო.

ქვეყნის შვიდგზის პრემიერ ჯულიო ანდრეოტის თქმით, ძოფი კრიტიკას არ იმსახურებს: „ერთი თვის წინ ვიხმეს რომ ეთქვა, იტალია ფინალში გავაო, ბევრი უდიდეს მიღწევად ჩათვლიდა. ევროპაში მეორე გუნდი გვყავს, თანაც ჩემპიონობა ბოლო წამებზე დავკარგეთ. ვგონებ, უსამართლოდ მოვიქცევით, თუ ძოფს რაიმეს დავაბრალებთ“.

მემარცხენეთა პარტიამ ბერლუსკონი ხალხის საყვარელი სპორტით მანიპულირებაში და პოლიტიკური ქულების დაგროვებაში დაადანაშაულა.

ძოფის შესაძლო შემცვლელზე იტალიური სააგენტოები უკვე ალაპარაკდნენ. ჯერჯერობით ორი კანდიდატურა გამოიკვეთა — ჯოვანი ტრაპატონი და მარკო ტარდელი.

„იტალიის ნაკრების მწვრთნელობა ყველასთვის უდიდესი პატივია, ცხადია, ჩემთვისაც“ — განაცხადა გამოცდილმა ტრაპატონიმ რამდენიმე თვის წინ, როცა ის „ფიორენტინადან“ წავიდა და „სკუადრა აძურას“ შესაძლო ჩაბარებაზე შეეკითხნენ.

მარკო ტარდელი იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელია, ერთი თვის წინ სლოვაკეთში დასრულებულ ევროპის ახალგაზრდულ ნაკრებთა ჩემპიონატზე მისმა გუნდმა ოქროს მედლები მოიპოვა.

იტალიელები აქა-იქ ფაბიო კაპელოს და მარჩელო ლიპისაც მოიხსენიებენ.

ნუნუს ცრემლები

უეფამ პორტუგალიელები უმკაცრესად დასაჯა

_UEFAს დისციპლინარულმა კომისიამ დაადგინა, პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაცია დაჯარიმდეს 175 ათასი შვეიცარიული ფრანკით, ხოლო ნაკრების ფეხბურთელებს — აბელ შავიერს (9 თვით), ნუნუ გომეშს (8 თვით) და პაულუ ბენტუს (ნახევარი წლით) აეკრძალოთ საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობა როგორც ნაკრების, ისე კლუბის სახელით.

პორტუგალიელებს აბელ შავიერს (№14) და ნუნუ გომეშს (№21) მსაჯ გიუნტერ ბენკოსთან საქმის გარჩევა ძვირად დაუჯდათ

ვერაფერს იტყვი, უმკაცრესი გადაწყვეტილებაა. ასე ფიქრობენ მსოფლიოს საგენტოები და ჟურნალისტები, თუმცა თავად უეფა ამაში უჩვეულოს ვერაფერს ხედავს: „მსაჯები — ავსტრიელი გიუნტერ ბენკო (არბიტრი) და სლოვაკი იგორ შრამკა (გვერდითი), მას შემდეგ, რაც საფრანგეთთან მატჩში პორტუგალიელთა კარში 117-ე წუთზე თერთმეტმეტრიანი დაინიშნა, ერთობ დაზარალდნენ. როდესაც ბენკომ ნუნუ გომეშს წითელი ბარათი უჩვენა, უკნიდან ზურგში გამეტებით მუშტი ჩაარტყეს. აბელ შავიერმა ბენკოს ბარათიანი ხელი დაუკავა, ხოლო პაულუ ბენტუ სულაც მის წართმევას ცდილობდა. მორალურად დაზარალდა ამ მატჩის სათადარიგო მსაჯიც, მას პორტუგალიელებმა კულტურული მსაჯობის დონეზე ჩაუტარეს „ლექცია“. ყოველივე ამას კი ლუიშ ფიგუს ღვარძლიანი გადაფურთხება და მაისურის საჯაროდ გახდა მოჰყვა“.

ესეც ასე. პორტუგალიის ნაკრები, რომელიც ევრო 2000-ზე ჩინებულად და ლამაზად თამაშობდა, ახლა უეფამ „მოიძულა“. რაც შეეხებათ მოკვეთილ ფეხბურთელებს, ისინი მხოლოდ შინაურ ჩემპიონატებში ითამაშებენ.

MERCI!

ხალხი და ნაკრები ერთმანეთს ემადლიერებიან

„ასეთი ამბავი ორი წლის წინაც გადაგვხდა, მაგრამ მაინც უზომოდ გვიხარია“ — ეს ევროპის ახალი ჩემპიონის, საფრანგეთის ნაკრების საუკეთესო ფეხბურთელის ზინედინ ზიდანის სიტყვებია. იგი პარიზში მოწყობილ ზეიმს გულისხმობდა. რა თქმა უნდა, ადრინდელივით ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი არ გამოსულა შანზ-ელიზეზე ტრიუმფატორი „ლურჯების“ შესახვედრად, მაგრამ... ამ ისტორიული წარმატების შემოქმედთ დიდხანს უკრავდა ტაშს კონკორდის მოედანზე თავმოყრილი 35 ათასი ქომაგი. სასტუმრო „კრიიონის“ აივანზე ზოგიერთი „ლურჯი“ თეთრ მაისურაში (წარწერით „მერსი“) გამოწყობილი გამოვიდა. საფრანგეთის ნაკრები თავის გულშემატკივრებთან ერთად დაახლოებით ერთ საათს დარჩა, მერე დასასვენებლად ნავიდა, საღამოს კი ერთ-ერთ პარიზულ კაბარეში შეიკრიბა და თავის გემოზეც მოულხინა. მანამდე კი...

პეტი დაქორწინდა

29 წლის ემანუელ პეტიმ ორშაბათ საღამოს, პარიზის დროით 17 საათზე, მსახიობ ავატ დე ლა ფონტენთან ურთიერთობას ოფიციალური სახე მისცა. „გუშინდელ ბედნიერებას დღევანდელი დაემატა. მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ ეს მესამე უბედნიერესი დღეა ჩემთვის“ — თქვა ფრანგული ტელეკომპანია „TF 1“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში პეტიმ. 28 წლის აგატმა, ვინც დანარჩენ „ლურჯებთან“ და მათი ცხოვრების მეგზურებთან ერთად იყო გადმომდგარი „კრიიონის“ აივნიდან, ქორწინების ადგილის გამხელა არ ისურვა. მან უბრალოდ თქვა, რომ ეს სამოქალაქო ქორწინება იქნება და მეტად უხმაურობდაც ჩავლის. „როტერდამული ფინალის შემდეგ თითქმის ყველა ფეხბურთელი მღეროდა. ემანუელი კი მე მომწებებოდა და დღევანდელ დღეზე მელაპარაკებოდა“ — დაამატა მადამ პეტიმ.

შანზ-ელიზეზე 72 ადამიანი დააპატიმრეს

ორშაბათს თუ მხოლოდ 35 ათას კაცს მოეყარა თავი შანზ-ელიზესა და კონკორდზე, წინა ღამით იქ 400 ათასიანი ბრბო ხარობდა და წესრიგის დამცველებსაც საქმე თავზესაყრელად ჰქონდათ. ას ადამიანზე მეტი დაშავდა, უმრავლესობა მსუბუქად, პოლიციამ კი 72 ვაი-გულშემატკივარი დააპატიმრა. მათი დანაშაული ძირითადად პოლიციელებთან კონფლიქტი ანდა მცირედი ქურდობა იყო. ყველაზე დიდი შეტაკება ნაშუალამევს მოხდა, როცა 400 ხულიგანი ფორმიანების ერთ-ერთ რაზმს ჯოხებით და ქვებით შეიარაღებული დაესხა თავს. პოლიციელებს ცრემლსადენი აირის გამოყენება მოუხდათ. ინციდენტი საათნახევარში ჩაცხრა. ბევრი მაღაზიისა და კაფე-ბარის ვიტრინები ჩაიმსხვრა, ზოგიერთი მათგანი გაქურდეს კიდეც, დამტვრეულ მანქანებს კი თვლა აღარ ჰქონდა. დილისკენ პარიზის ცენტრი ნამარ ველს ჰგავდა, მაგრამ როცა „ლურჯები“ ჩავიდნენ, ყველაფერი უწინდელივით ლამაზად გამოიყურებოდა. არეულობები საფრანგეთის სხვა დიდ ქალაქებშიც იყო, ოღონდ გაცილებით ნაკლები მასშტაბის.

TF 1-ის რეკორდი

ამ ფრანგულმა არხმა საფრანგეთის ყველა დროის რეკორდი დაამყარა. ევრო 2000-ის ფინალს მისი ⅔ეშვეობით მილიონობით ფრანგმა უყურა. მატჩის დამატებით დროს 24 873 510 ტელემაყურებელს ჰქონდა თავისი ტელევიზორი ამ არხზე ჩართული, რაც მთლიანი ტელეაუდიტორიის 80,9 პროცენტია. რაც ყველაზე საინტერესოა, საფრანგეთში ქალებსაც ძალიან ჰყვარებიათ ფეხბურთი, რადგან მაყურებელთა მესამედზე მეტი (8 713 500) სწორედ მშვენიერი სქესის წარმომადგენლები იყვნენ. იტალიაში „რაი უნოს“ მეშვეობით 23 208 000 კაცმა ადევნა თვალი თავისიანების მარცხს, რაც საკმაოდ ჩამორჩება 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალის (იტალია — არგენტინა) ტელემაყურებელთა რიცხვს (27 537 000)

ზიდანმა წააგო

ნიძლავები მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელსაც ჰყვარებია, მაგრამ იგი ფულზე თამაშისგან, ეტყობა, მაინც თავს იკავებს. სწორედ თავზე მოგახსენებთ. სასტუმრო „კრიიონის“ აივანზე გამოსულ ზიდანს თუ დააკვირდით ტელევიზორში ანდა ფოტოსურათებზე? ჰოდა, შეიძლება შეამჩნიეთ კიდეც, რომ ზიზუს სიმელოტეშეპარული თავი გადახოტრილი ჰქონდა. არა, რა თქმა უნდა, ბარტეზის, ლებეფის ანდა ანელკას მსგავსად არ ულაპლაპებდა, მაგრამ გადახოტრილი ნამდვილად ჰქონდა. ეს ნიკოლა ანელკასთვის მიცემული სიტყვის შედეგია. „ჩემპიონატის დაწყებამდე ვუთხარი, რომ თუ გავიმარჯვებდით, ჩემი თავის გადახოტვრის პატივი ეჭნებოდა. გადაპარსვას კი იმიტომ გადავურჩი, რომ ამისთვის მას ფინალში გოლის გატანა სჭირდებოდა“ — თქვა ზიდანმა. ის კი აღარ გაამხილა, წარუმატებლობის შემთხვევაში თავად რას მოიგებდა. თუმცა მაშინ, ალბათ, ის ნიძლავი აღარც გაახსენდებოდა...

3 მილიონი იმას, ვინც...

ევროპის ჩემპიონი გახდება. უფრო სწორად, საფრანგეთის ნაკრების თითოეული ფეხბურთელი 3 მილიონ ფრანგზე (800 ათას ლარზე მეტი) ცოტათი მეტ თანხას მიიღებს ევრო 2000-ის მოგებისთვის. ამ პრემიაზე დეშამპმა, ბლანმა და დესაიმ ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე დაიყაბულეს საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცები. რადგან შეჯიბრი ოდენ კონტინენტური იყო, ფედერაციამ მსოფლიოს ჩემპიონობაზე გაღებული ოთხოთხი მილიონი საკმაოდ შეამცირა. აქედან 1,3 მილიონ ფრანკს საკუთრივ ფედერაციისგან მიიღებენ „ლურჯები“, დანარჩენს კი სპონსორებისგან. წინასწარი მონაცემებით, ეს დანარჩენი 2,2 მილიონს მიაღწევს, რითიც ზემოთ ნახსენები „ცოტათი მეტი“ ნახევარ მილიონ ფრანკს მიაღწევს.

კარგია ჩემპიონობა, თუნდაც მხოლოდ ევროპის!

გაიოზ თალაკვაძე

სიძე-პატარძალი ემანუელ და აგატ პეტიები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონატი

27.05.1934	ტურინი	მერვედფინალი	ავსტრია 3:2დ.დ. (1:1) საფრანგეთი *0:1 ნიკოლია (22), 1:1 სინდელარი (41), 2:1 შალი (93), 3:1 ბიკანი (115), 3:2 ვერიე (119ს)*
31.05.1934	ფლორენცია	მეოთხედფინალი	იტალია 1:1დ.დ. (1:1) ესპანეთი *0:1 რეგეირო (29), 1:1 ფერარი (46)*
1.06.1934	ფლორენცია	მეოთხედფინალი	იტალია 1:0ესპანეთი (გადათამაშება) *1:0 მეაცა (12)*
10.06.1934	რომი	ფინალი	იტალია 2:1დ.დ. (1:1) ჩეხოსლოვაკია *0:1 პუჩი (71), 1:1 ორსი (81), 2:1 სკიავიო (95)*
4.06.1938	პარიზი	მერვედფინალი	შვეიცარია 1:1დ.დ. (1:1) გერმანია *0:1 გაუხელი (36), 1:1 აბეგლენი (42)*
9.06.1938	პარიზი	მერვედფინალი	შვეიცარია 4:2 გერმანია (გადათამაშება) *0:1 ჰანემანი (8), 0:2 ლიორჩელი (21ს.კ.), 1:2 ვალაჩეკი (46), 2:2 ბიკელი (64), 3:2, 4:2 აბეგლენი (75, 87)*
5.06.1938	ჰავრი	მერვედფინალი	ჩეხოსლოვაკია 3:0დ.დ. (0:0) ჰოლანდია *1:0 კოშტიალეკი (96), 2:0 ნეედლი (110), 3:0 ზემანი (118)*
5.06.1938	სტრასბური	მერვედფინალი	ბრაზილია 6:5დ.დ. (4:4) პოლონეთი *1:0 ლეონიდასი (18), 1:1 შერფკე (29), 2:1 ლეონიდასი (33), 3:1 პერასიო (45), 3:2, 3:3 ვილიმოვსკი (53ს, 59), 4:3 პერასიო (70), 4:4 ვილიმოვსკი (90), 5:4 რამეუ (94), 6:4 ლეონიდასი (114), 6:5 ვილიმოვსკი (119)*
5.06.1938	მარსელი	მერვედფინალი	იტალია 2:1დ.დ. (1:1) ნორვეგია *1:0 ფერარისი (2), 1:1 ბრუსტადი (83), 2:1 პიოლა (94)*
5.06.1938	ტულუზი	მერვედფინალი	კუბა 3:3დ.დ. (2:2) რუმინეთი *0:1 ბინდია (35), 1:1 სოკორო (45), 2:1 მაკუინა (88), 2:2 ბარატკი (89), 3:2 სოკორო (103), 3:3 დობაი (105)*
9.06.1938	ტულუზი	მერვედფინალი	კუბა 2:1 რუმინეთი (გადათამაშება) *0:1 დობაი (35), 1:1 სოკორო (50), 2:1 ფერნანდესი (57)*
12.06.1938	ბორდო	მეოთხედფინალი	ბრაზილია 1:1დ.დ. (1:1) ჩეხოსლოვაკია *1:0 ლეონიდასი (30), 1:1 ნეედლი (65პ)*
14.06.1938	ბორდო	მეოთხედფინალი	ბრაზილია 2:1 ჩეხოსლოვაკია (გადათამაშება) *0:1 კოპეცკი (24), 1:1 ლეონიდასი (56), 2:1 რობერტო (62)*
19.06.1954	ლოზანა	I ეტაპი	ბრაზილია 1:1დ.დ. (1:1) იუგოსლავია *0:1 ზებეცი (48), 1:1 დიდი (70)*
17.06.1954	ბაზელი	I ეტაპი	ინგლისი 4:4დ.დ. (3:3) ბელგია *0:1 ანული (6), 1:1 ბროუდი ზი (25), 2:1 ლოფტჰაუსი (37), 3:1 ბროუდი ზი (65), 3:2 ანული (72), 3:3 კოპენსი (77), 4:3 ლოფტჰაუსი (92), 4:4 დიკინსონი (94ს.კ.)*
30.06.1954	ლოზანა	ნახევარფინალი	უნგრეთი 4:2დ.დ. (2:2) ურუგვაი *1:0 ციბორი (12), 2:0 ჰიდეგკუტი (47), 2:1, 2:2 ხოხბერგი (76, 86), 3:2, 4:2 კოჩიში (110, 117)*
30.07.1966	ლონდონი	ფინალი	ინგლისი 4:2დ.დ. (2:2) გფრ *0:1 ჰალერი (12), 1:1 ჰერსტი (18), 2:1 პიტერსი (78), 2:2 ვებერი (90), 3:2, 4:2 ჰერსტი (100, 120)*
14.06.1970	მეხიკო	მეოთხედფინალი	ურუგვაი 1:0დ.დ. (0:0) სსრკ *1:0 ესპარაგო (118)*
14.06.1970	ლეონი	მეოთხედფინალი	გფრ 3:2დ.დ. (2:2) ინგლისი *0:1 ა. მიულერი (31), 0:2 პიტერსი (50), 1:2 ბეკენბაუერი (69), 2:2 ზეელერი (81), 3:2 გ. მიულერი (108)*
17.06.1970	მეხიკო	ნახევარფინალი	იტალია 4:3დ.დ. (1:1) გფრ *1:0 ბონინსენია (7), 1:1 შნელინგერი (90), 1:2 მიულერი (95), 2:2 ბურგნიჩი (99), 3:2 რივა (103), 3:3 მიულერი (109), 4:3 რივერა (111)*
25.06.1978	ბუენოს აირესი	ფინალი	არგენტინა 3:1დ.დ. (1:1) ჰოლანდია *1:0 კემპესი (38), 1:1 ნანინგა (81), 2:1 კემპესი (105), 3:1 ბერტონი (114)*
8.07.1982	სევილია	ნახევარფინალი	გფრ პენ. 5:4 (3:3დ.დ., 1:1) საფრანგეთი *1:0 ლიტბარსკი (17), 1:1 პლატინი (26პ), 1:2 ტრეზორი (92), 1:3 ფირესი (98), 2:3 რუმენიგე (102), 3:3 ფიშერი (108)*
15.06.1986	ლეონი	მერვედფინალი	ბელგია 4:3დ.დ. (2:2) სსრკ *0:1 ბელანოვი (27), 1:1 შიფო (56), 2:1 ბელანოვი (70), 2:2 კულემანსი (77), 3:2 დემოლი (102), 4:2 კლასენი (110), 4:3 ბელანოვი (111პ)*
21.06.1986	გვადალახარა	მეოთხედფინალი	საფრანგეთი პენ. 4:3 (1:1დ.დ., 1:1) ბრაზილია *0:1 კარეკა (17), 1:1 პლატინი (40)*
21.06.1986	მონტერეი	მეოთხედფინალი	გფრ პენ. 4:1 (0:0დ.დ., 0:0) მექსიკა
22.06.1986	პუებლა	მეოთხედფინალი	ბელგია პენ. 5:4 (1:1დ.დ., 1:1) ესპანეთი *1:0 კულემანსი (35), 1:1 სენორი (85)*
28.06.1986	პუებლა	მატჩი III ადგილისთვის	საფრანგეთი 4:2დ.დ. (2:2) ბელგია *0:1 კულემანსი (11), 1:1 ფერერი (27), 2:1 პაპენი (43), 2:2 კლასენი (73), 3:2 ჟენგინი (104), 4:2 ამორო (111პ)*
23.06.1990	ნეაპოლი	მერვედფინალი	კამერუნი 2:1დ.დ. (0:0) კოლუმბია *1:0, 2:0 მილა (106, 108), 2:1 რედინი (115)*
25.06.1990	გენუა	მერვედფინალი	ირლანდია პენ. 5:4 (0:0დ.დ., 0:0) რუმინეთი
26.06.1990	ვერონა	მერვედფინალი	იუგოსლავია 2:1დ.დ. (1:1) ესპანეთი *1:0 სტოიკოვიჩი (78), 1:1 სალინასი (84), 2:1 სტოიკოვიჩი (93)*
26.06.1990	ბოლონია	მერვედფინალი	ინგლისი 1:0დ.დ. (0:0) ბელგია *1:0 პლატი (119)*
30.06.1990	ფლორენცია	მეოთხედფინალი	არგენტინა პენ. 3:2 (0:0დ.დ., 0:0) იუგოსლავია
1.07.1990	ნეაპოლი	მეოთხედფინალი	ინგლისი 3:2დ.დ. (2:2) კამერუნი *1:0 პლატი (25), 1:1 კუნდე (61პ), 1:2 ეკეკე (65), 2:2, 3:2 ლინეკერი (83პ, 105პ)*
3.07.1990	ნეაპოლი	ნახევარფინალი	არგენტინა პენ. 4:3 (1:1დ.დ., 1:1) იტალია *0:1 სკილაჩი (17), 1:1 კანიჯა (67)*
4.07.1990	ტურინი	ნახევარფინალი	გფრ პენ. 4:3 (1:1დ.დ., 1:1) ინგლისი *1:0 ბრემე (59), 1:1 ლინეკერი (80)*
5.07.1994	ბოსტონი	მერვედფინალი	იტალია 2:1დ.დ. (1:1) ნიგერია *0:1 ამუნიკე (26), 1:1, 2:1 რ. ბაჯო (88, 100პ)*
5.07.1994	ნიუ იორკი	მერვედფინალი	ბულგარეთი პენ. 3:1 (1:1დ.დ., 1:1) მექსიკა *1:0 სტოიჩკოვი (7), 1:1 გარსია ასპე (173)*
10.07.1994	სანფრანცისკო	მეოთხედფინალი	შვედეთი პენ. 5:4 (2:2დ.დ., 1:1) რუმინეთი *1:0 ბროლინი (79), 1:1, 1:2 რადუჩიოიუ (88, 102), 2:2 კ. ანდერსონი (114)*
17.07.1994	ლოს ანჯელესი	ფინალი	ბრაზილია პენ. 3:2 (0:0დ.დ., 0:0) იტალია
28.06.1998	ლანსი	მერვედფინალი	საფრანგეთი 1:0დ.დ. (0:0) პარაგვაი *1:0 ბლანი (113-ოქროს გოლი)*
30.06.1998	სენტ ეტიენი	მერვედფინალი	არგენტინა პენ. 4:3 (2:2დ.დ., 2:2) ინგლისი *1:0 ბატისტუტა (6პ), 1:1 შირერი (10პ), 1:2 ოუენი (16), 2:2 ძანეტი (45)*
3.07.1998	სენდენი	მეოთხედფინალი	იტალია პენ. 3:4 (0:0დ.დ., 0:0) საფრანგეთი
7.07.1998	მარსელი	ნახევარფინალი	ბრაზილია პენ. 4:2 (1:1დ.დ., 1:1) ჰოლანდია *1:0 რონალდო (46), 1:1 კლუივერტი (87)*

დ.დ.

მსაჯის წამატებული დრო, დამატებითი დრო, პენალტები... მოკლედ, ფეხბურთი დროში ვეღარ ეტევა, რაშიც ევრო 2000-მაც დაგვარწმუნა

60 — ბევრია თუ ცოტაა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში ზუსტად ამდენჯერ დაინიშნა დამატებითი დრო. პირველად ეს 1934 წელს მოხდა, მსოფლიოს მეორე ჩემპიონატის მერვედფინალში ძირითადის 1:1-ის მერე ავსტრიელებმა ფრანგებს 3:2 მოუგეს. ხუთჯერ ორივე ტურნირისას მეტოქეთ არათუ დამატებითი დრო, დამატებითი მატჩებიც კი დასჭირდათ. ეს იმიტომ, რომ პენალტების სერია ჯერ არ „გამოეგონებინათ“. 1968 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალისტი სულაც წილისყრით გაირკვა: იტალიამ ილბლით აჯობა საბჭოთა კავშირს. პენალტების სერიაზე საქმე 23-ჯერ მიდგა. რაც შეეხება ოქროს გოლს, ამ ახალმა წესმა სულ ოთხჯერ იმოქმედა და აქედან სამჯერ ფრანგებმა იმარჯვეს, ერთხელაც გერმანელებმა.

ევროპის ჩემპიონატი

10.07.1960	პარიზი	ფინალი სსრკ 2:1დ.დ. (1:1) იუგოსლავია *0:1 გალიჩი (40), 1:1 მეტრეველი (50), 2:1 პონედელნიკი (112)*
17.06.1964	მადრიდი	ნახევარფინალი ესპანეთი 2:1დ.დ. (1:1) უნგრეთი *1:0 პერედა (36), 1:1 ბენე (85), 2:1 ამანსიო (112)*
20.06.1964	ბარსელონა	მატჩი III ადგილისთვის უნგრეთი 3:1დ.დ. (1:1) დანია *1:0 ბენე (12), 1:1 კ. ბერტელსენი (82), 2:1, 3:1 ნოვაკი (107პ, 111)*
5.06.1968	ნეაპოლი	ნახევარფინალი იტალია 0:0დ.დ. (0:0) სსრკ წილისყრით იმარჯვა იტალიამ
8.06.1968	რომი	ფინალი იტალია 1:1დ.დ. (1:1) იუგოსლავია *0:1 ჯაიჩი (39), 1:1 დომენგინი (81)*
10.06.1968	რომი	ფინალი იტალია 2:0 იუგოსლავია (გადათამაშება) *1:0 რივა (12), 2:0 ანასტაზი (31)*
16.06.1976	ზაგრები	ნახევარფინალი ჩეხოსლოვაკია 3:1დ.დ. (1:1) ჰოლანდია *1:0 ონდრუში (19), 1:1 ონდრუში (73ს.კ.), 2:1 ნეჰოდა (114), 3:1 ფ. ვესელი (118)*
17.06.1976	ბელგრადი	ნახევარფინალი იუგოსლავია 2:4დ.დ. (2:2) გფრ *1:0 პოპივოდა (19), 2:0 ჯაიჩი (31), 2:1 ფლოე (64), 2:2, 2:3, 2:4 დ. მიულერი (81, 114, 119)*
19.06.1976	ზაგრები	მატჩი III ადგილისთვის იუგოსლავია 2:3დ.დ. (2:2) ჰოლანდია *0:1 გეელსი (27), 0:2 ვ. ვან დე კერკჰოფი (38), 1:2 კატალინსკი (43), 2:2 ჯაიჩი (83), 2:3 გეელსი (107)*
20.06.1976	ბელგრადი	ფინალი ჩეხოსლოვაკია პენ. 5:3 (2:2დ.დ., 2:2) გფრ *1:0 შვეჰლიკი (9), 2:0 დობიაში (26), 2:1 დ. მიულერი (28), 2:2 ჰოლცენბაინი (90)*
21.06.1980	ნეაპოლი	მატჩი III ადგილისთვის იტალია პენ. 8:9 (1:1დ.დ., 1:1) ჩეხოსლოვაკია *0:1 იურკემიკი (54), 1:1 გრაციანი (73)*
23.06.1984	მარსელი	ნახევარფინალი საფრანგეთი 3:2დ.დ. (1:1) პორტუგალია *1:0 დომერგი (25), 1:1, 1:2 ჟორდაუ (74, 98), 2:2 დომერგი (115), 3:2 პლატინი (119)*
24.06.1984	ლიონი	ნახევარფინალი ესპანეთი პენ. 5:4 (1:1დ.დ., 1:1) დანია *0:1 ლერბიუ (6), 1:1 მასედა (66)*
22.06.1992	გიოტებორგი	ნახევარფინალი დანია პენ. 5:4 (2:2დ.დ., 2:2) ჰოლანდია *1:0 ჰ. ლარსენი (6), 1:1 ბერხკამპი (24), 2:1 ჰ. ლარსენი (33), 2:2 რაიკარდი (86)*
22.06.1996	ლივერპული	მეოთხედფინალი საფრანგეთი პენ. 5:4 (0:0დ.დ., 0:0) ჰოლანდია
22.06.1996	ლონდონი	მეოთხედფინალი ესპანეთი პენ. 2:4 (0:0დ.დ., 0:0) ინგლისი
26.06.1996	მანჩესტერი	ნახევარფინალი საფრანგეთი პენ. 5:6 (0:0დ.დ., 0:0) ჩეხეთი
26.06.1996	ლონდონი	ნახევარფინალი გერმანია პენ. 6:5 (1:1დ.დ., 1:1) ინგლისი *0:1 შირერი (3), 1:1 კუნცი (16)*
30.06.1996	ლონდონი	ფინალი ჩეხეთი 1:2დ.დ. (1:1) გერმანია *1:0 ბერგერი (59პ), 1:1, 1:2 ბირჰოფი (73, 96-ოქროს გოლი)*
28.06.2000	ბრიუსელი	ნახევარფინალი საფრანგეთი 2:1დ.დ. (1:1) პორტუგალია *0:1 ნუნუ გომეში (19), 1:1 ანრი (51), 2:1 ზიდანი (117პ-ოქროს გოლი)*
29.06.2000	ამსტერდამი	ნახევარფინალი იტალია პენ. 3:1 (0:0დ.დ., 0:0) ჰოლანდია
2.07.2000	როტერდამი	ფინალი საფრანგეთი 2:1დ.დ. (1:1) იტალია *0:1 დელვეკიო (56), 1:1 ვილტორდი (90), 2:1 ტრეზეგე (103-ოქროს გოლი)*

არსენალი ძლიერდება

რობერ პირესი და ედუ მეთოფეებს შეუერთდნენ

ლონდონელთა ახალწვეულნი: რობერ პირესი (№7) და ედუ

ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი რობერ პირესი მომავალ სეზონს ახალ კლუბში დაიწყებს. ფინალის მოგების შემდეგ პირესი როტერდამიდან პირდაპირ ლონდონში ჩაფრინდა და „არსენალთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა.

„ლონდონური კლუბის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებს ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ვაწარმოებდი — განაცხადა ფრანგმა — ბოლო დღეები ნამდვილი სიზმარივითაა, კვირას ევროპის ჩემპიონი გავხდი, ახლა კი უკვე კონტინენტის ერთ-ერთი ძლიერი კლუბის წევრი ვარ. არსენ ვენგერის გუნდში თამაში სასიამოვნოა, მან, როგორც ნამდვილმა პროფესიონალმა, რამდენიმე ჩემი თანამემამულის კარიერის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა. რომელი ერთი ჩამოთვალო: ტიერი ანრი, პატრიკ ვიეირა, ემანუელ პეტი, ჟილ გრიმანდი, და რა თქმა უნდა, ნიკოლა ანელკა. „არსენალს" ოთხწლიანი ხელშეკრულებით დავუკავშირდი, ბედნიერი ვარ, ახალ კლუბში ჩემს თანამემამულეებთან ერთად ვითამაშებ".

პირესის გარდა „არსენალმა" „კორინთიანსის" ფეხბურთელი ედუ შეიძინა. მისი სრული სახელი ედუარდო სესარ დაუდ გასპარია, გუნდის შემადგენლობაში ედუმ ორჯერ ბრაზილიის, ხოლო 1999 წელს სან პაულუს შტატის ჩემპიონატი მოიგო, წლეულს მან პირველი საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატშიც ითამაშა და პრიზიორი გახდა.

„კორინთიანსში" ჩინებული დრო გავატარე, მაგრამ, ალბათ, დრო მოვიდა, ევროპაშიც მოვსინჯო ძალები. ჩემს თანამემამულე სილვინიოსთან ერთად ვითამაშებ და ძალიან მიხარია, ის ჩემი ყოფილი თანაგუნდელია, ჩვენ ერთმანეთთან ვმეგობრობთ. „არსენალში" თამაში ყველა ფეხბურთელისთვის საამაყოა, გუნდს დიდებული ისტორია და ტრადიციები აქვს, ერთგული ქომაგების მხარდაჭერაც არ აკლია. ძალიან მინდა, გუნდს მოვერგო და რაც შეიძლება მეტი ჯილდო მოვიგო" — განაცხადა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა.

ლონდონური კლუბის თავკაცმა არსენ ვენგერმა კლუბის ახალშეძენილ ფეხბურთელებზე და მომავალ გეგმებზე ისაუბრა:

— „უეჭველია, ინგლისის ჩემპიონობისთვის კვლავ ვიბრძოლებთ — განაცხადა ფრანგმა — ვიმედოვნებ, ჩემპიონთა ლიგაშიც მივაღწევთ წარმატებებს. ახალი ფეხბურთელები „არსენალს" სიმხნევეს და ძალისხმევას შეჰმატებენ, პირესისა და ედუს შეძენა მართლაც სასიამოვნოა. ორივე ძალიან ნიჭიერია. თუ მოინდომებენ და ჩვენც ხელს შევუწყობთ, ნამდვილად ძლიერად ითამაშებენ.

გუნდი კიდევ უნდა მოღონიერდეს. იმედი მაქვს, ახალი სეზონის დაწყებამდე რამდენიმე ახალ მოთამაშეს კიდევ მოვიწვევ".

ინგლისური პრესა „არსენალის" შესაძლო ახალწვეულებსაც ასახელებს. ერთ-ერთი მათგანი „ბოლონიას" შვედი ფორვარდი კენეტ ანდერსონია. იგი ვენგერს შეტევის გასაძლიერებლად სჭირდება.

აჯა-იქ სილვენ ვილტორდის სახელმაც გაიელვერა. „ბორდოს" თავდამსხმელი, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის ფინალში ბოლო წამებზე თავის კარიერის უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა, ალბათ, კლუბს დატოვებს. არ არის გამორიცხული, იგიც შეუერთდეს თანამემამულეებს „არსენალში".

ზოგი „დეპორტივოს" ნახევარმცველ ფლავიო კონსეისაოსა და „სან პაულუს" მცველ ედმილსონზეც საუბრობს, თუმცა რა გამოვა აქედან, ჯერჯერობით არავინ იცის.

მოკლედ, „არსენალი" ძლიერდება, არსენ ვენგერი კი მომავალ სეზონში ინგლისის ჩემპიონობას უმიზნებს. მალე პრემიერლიგაც გახურდება, გუნდებს წინ გრძელი და მომქანცველი სეზონი ელით. ვინ იქნება ძლიერი, ვის გაუმართლებს? ამას გაისად შევიტყობთ.

ნიკა შუბლაძე

ეფენბერგი: არ დავბრუნდები

ფიოლერი: ვეცდები, დავაბრუნო

შტეფან ეფენბერგი

მიუნხენის „ბაიერნის" ნახევარმცველმა შტეფან ეფენბერგმა, რომელმაც გერმანიის ნაკრების ხელმძღვანელობასთან უთანხმოების გამო ევროპის ჩემპიონატზე არ ითამაშა, განაცხადა, რომ აზრს არ შეიცვლის და ბუნდესნაკრებში რუდი ფიოლერის მწვრთნელობის დროსაც არ დაბრუნდება.

„რუდი ფიოლერის გერმანიის ნაკრების თავკაცად დანიშვნა კარგი აზრი იყო — განაცხადა 31 წლის ეფენბერგმა — მას პირადად კარგად ვიცნობ, მაგრამ ჩემს სიტყვას არასდროს ვუღალატებ. ნაკრებიდან საბოლოოდ წავედი. მწვრთნელად ოტმარ ჰიცფელდიც რომ დაენიშნათ, აზრს არც მაშინ შევიცვლიდი".

შეგახსენებთ, რომ შტეფანი ნაკრებიდან თავიდან 1994 წელს გაადგეს. იგი მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის დროს ფანებს უხამსად მოექცა, ორი წლის შემდეგ გუნდში დაბრუნდა, მაგრამ უთანხმოების გამო კვლავ ჩამოშორდა მას. როგორც ნახევარმცველი ამბობს, სურს, ოჯახთან მეტი დრო გაატაროს, მთელ ყურადღებას თავის კლუბზე ამახვილებს.

გერმანიის ნაკრების ახალდანიშნულმა თავკაცმა, რუდი ფიოლერმა, რომელიც გუნდს 2001 წლის 1 ივნისამდე უხელმძღვანელებს (ამის შემდეგ პოსტს „ლევერკუზენის" თავკაცი კრისტოფ დაუმი ჩაიბარებს), განაცხადა, რომ იგი ეფენბერგთან გასაუბრებას პირადად აპირებს.

„მსურს, შტეფანს დავურეკო. იგი ჩინებული მოთამაშეა და თუ დაბრუნდება, გუნდისთვის უკეთესი იქნება" — განაცხადა ფიოლერმა.

ფეხბურთი მსოფლიოში

იტალიელ პაოლო მალდინის ევროპის ჩემპიონატის ფინალში დრამატული მარცხის მიუხედავად სანაკრებო კარიერის გაგრძელება სურს. „დინო ძოფმა ფრანგებთან მატჩის შემდეგ გაგვამხნევა და გვითხრა, რომ ჩვენ უნდა ვიამაყოთ იმით, რასაც მივაღწიეთ — განუცხადა „მილანის" კაპიტანმა „გაძეტა დელო სპორტს" — ევროპის ჩემპიონატი რომ მომეგო, სანაკრებო კარიერას, ალბათ, დავასრულებდი, მაგრამ კვლავ თამაში და გუნდთან ერთად რაიმე ტიტულის მოგება მწადია".

თურქულ „ფენერბაჰჩეს" „პერუჯას" ხორვატი ნახევარმცველის, მილან რაპაიჩის შეძენა განუზრახავს. ერთ-ერთი სააგენტო იმასაც იუწყება, რომ კონტრაქტი თითქმის შეთანხმებულია და რაპაიჩი მომავალი სეზონიდან სტამბოლური კლუბის ღირსებას დაიცავს. სატრანსფერო თანხა 3 მილიონი გირვანქაა, 27 წლის ფეხბურთელი კი სამი წლის მანძილზე 4 მილიონ გირვანქას მიიღებს. არ არის გამორიცხული, „პერუჯადან" „გალათასარაიში" დმიტრი ალენიჩევიც გადავიდეს, თურქეთის ჩემპიონები რუსი ფეხბურთელის სანაცვლოდ 5 მილიონ გინვანქას იხდიან. „პერუჯას" 32 წლის მეკარის, ანდრეა მაცანტინის და 34 წლის მცველის, ალესანდრო კალორის ყიდვას კი სერია A-ში ახალგადასული „ბრეშა" გეგმავს. გუნდი შესაძლოა, მარკო მატერაციმაც დატოვოს, ფეხბურთელს მილანის „ინტერი" ეპატიჟება და „პერუჯას" მის სანაცვლოდ 5 მილიონ გირვანქას სთავაზობს.

ბელგიელ ფორვარდ ემილ მპენზას „ნიუკასლ იუნაიტედი" 8 მილიონ გირვანქად ყიდულობს „შალკესგან". გელზენკირხენული კლუბის მეთაური აცხადებს, რომ ტრანსფერის თაობაზე ჯერჯერობით მოლაპარაკებები მიმდინარეობს. „კაჭკაჭთა" მთავარი მწვრთნელი ბობი რობსონი ამბობს: „ძირითადი დეტალები უკვე შევათანხმეთ, მპენზა ახალი სეზონიდან, ალბათ, „ნიუკასლის" ღირსებას დაიცავს". ემილს „ნაპოლიშიც" და „ტოტენჰემშიც" იწვევენ, თუმც მეტად სავარაუდოა, რომ იგი სწორედ „ნიუკასლში" გადავა.

იტალიელი მეკარე მასიმო ტაიბი შესაძლოა „კაიზერსლაუტერნში" გადავიდეს. იგი „მანჩესტერ იუნაიტედში" ირიცხება, თუმცა წინა სეზონი წარუმატებლად დაიწყო და „რეჯინაში" გაანათხოვრეს. ინგლისის ჩემპიონთა ძირითად შემადგენლობაში ტაიბი, ალბათ, ვერც მომავალ სეზონში მოხვდება, ამიტომ ალბიონზე არ დაბრუნდება. „კაიზერსლაუტერნი" კი ანდრეას რაინკემ დატოვა. მან „ირაკლისს" მიაშურა. ოტო რეჰაგელი კი ახალ გოლკიპერს ეძებს. ეგებ სწორედ ტაიბი შეიძინოს.

ინგლისის ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედის" მცველმა დევიდ მეიმ შესაძლოა კარიერა დაასრულოს. 30 წლის ფეხბურთელი ტრავმის შემდეგ სათანადოდ ვერ გამოჯანმრთელდა. „მუხლის მყესების ურთულესი ტრავმა მივიღე, როცა ოპერაცია გამიკეთეს, მითხრეს, რომ 9 თვეში მოვმჯობინდებოდი. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება" — განუცხადა მეიმ ერთ-ერთ მანჩესტერულ გაზეთს.

ესპანურმა „სოსიედადმა" ცოტა ხნის წინ „გალათასარაიდან" ორი თურქი ფეხბურთელი — ტაიფუნი და არიფი შეიძინა, რომლებიც ახლა სანსებასტიური პრესისა და გულშემატკივრის წინაშე წარდგნენ. „ჩვენი მიზანი და სურვილია, „სოსიედადში" ძლიერი სეზონი ჩავატაროთ და გუნდს დავეხმაროთ, იმედს არავის გავუცრუებთ" — განაცხადა არიფმა, მისმა თანამემამულემ კი დასძინა: „გვსურს დაგიმტკიცოთ, რომ თურქულმა ფეხბურთმა ახლა განვითარების მწვერვალს მიაღწია". ახალშეძენილებზე თავისი აზრი გუნდის მწვრთნელმა ხავიერ კლემენტემაც გამოთქვა: „ტაიფუნი გამოცდილი ფეხბურთელია, ძალიან ტექნიკურია და მინდორზე დიდ სამუშაოს ასრულებს. არიფს მოედნის ჩინებული ხედვა აქვს, ისიც ძალიან სასარგებლო მოთამაშეა". არიფს „გალათასარაის" შემადგენლობაში ექვსჯერ თურქეთის ჩემპიონობა და ოთხჯერ ქვეყნის თასი მოუგია. წლეულს მან უეფას თასიც მოიპოვა.

ესპანური სააგენტოების ცნობით, „ბარსელონას" ფრანგი ნახევარმცველის ემანუელ პეტის შეძენა სურს და „არსენალს" მის სანაცვლოდ 12 მილიონ დოლარს სთავაზობს. იმასაც იუწყებიან, რომ თუ არსენ ვენგერმა ხელსაყრელი წინადადება მიიღო, შესაძლოა პეტი გაუშვას. კატალონიური გრანდი ჯერჯერობით პრეზიდენტის არჩევნებს ელოდება. ახალი ხელმძღვანელებისა და მწვრთნელის მოსვლის შემდეგ, ალბათ, რამდენიმე ახალ ფეხბურთელსაც შეიძენს. სავარაუდოა, „ბარსელონას" „არსენალის" ჰოლანდიელმა ლეგიონერმა მარკ ოვერმარსმაც მიაშუროს.

ფრანგული „სტრასბურის" ნახევარმცველი მიშელ მარსელია „ოლიმპიკში" გადავიდა. იგი რობერ პირესს შეცვლის, რომელიც „არსენალმა" იყიდა. მარსელია მარსელში მალე ჩავა, სამედიცინო შემოწმებას გაივლის და ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. „ოლიმპიკმა" „სტრასბურს" მარსელიაში მცველი იანიკ ფიშერი გაუცვალა. შეგახსენებთ, რომ მარსელურ კლუბს ამჟამად ბრაზილიელი აბელი წვრთნის. მან რამდენიმე ფეხბურთელი უკვე გაყიდა, საფრანგეთის 21-წლამდელთა ნაკრების მოთამაშეები — სტეფან დალმა და პეტერ ლუქსენი პსჟ-ში, ხოლო რობერ პირესი „არსენალში" გაუშვა.

რუსმა ფორვარდმა ანდრეი კანჩელსკისმა უარყო ზოგიერთი სააგენტოს ცნობა იმის თაობაზე, თითქოს „გლაზგო რეინჯერსიდან" „ბეშიქთაშში" გადასვლას აპირებდეს. „ხმები მეც მომივიდა, მაგრამ სრული სიცრუეა, ამაზე კომენტარიც კი ზედმეტია" — განუცხადა 31 წლის ფეხბურთელმა გაზეთ „სპორტ ექსპრესს" „მანჩესტერ იუნაიტედის", „ევერტონისა" და „ფიორენტინას" ყოფილმა ფეხბურთელმა დასძინა, რომ კვლავ „რეინჯერსში" დარჩენას აპირებს და გუნდთან ერთად ვარჯიში უკვე დაიწყო.

ინგლისურმა „ევერტონმა" „ასტონ ვილას" მცველი სტივ უოტსონი იყიდა, ბირმინგემულ კლუბს კი მის სანაცვლოდ 3,7 მილიონი დოლარი გადაუხადა. კლუბები მოლაპარაკებებს კარგა ხანი აწარმოებდნენ, საბოლოოდ შეთანხმდნენ, ფეხბურთელი მალე ლივერპულში ჩავა, სამედიცინო შემოწმებებს ჩაიტარებს და „ევერტონთან" ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

გერმანიის ნაკრებისა და ბერლინის „ჰერტას" ფეხბურთელ მარკო რემერს ტურინის „იუვენტუსმა" დაადგა თვალი. იტალიური სააგენტოების ცნობით, „ბებერი ქალბატონი" მზადაა, ბერლინურ კლუბს რემერის სანაცვლოდ 15 მილიონი დოლარი გადაუხადოს. გერმანელთა პასუხი ჯერჯერობით უცნობია. ამასთანავე კარლო ანჩელოტის „არსენალიდან" პატრიკ ვიეირას გადაბირება სურს. სატრანსფერო თანხა დაახლოებით 21 მილიონი დოლარია.

თურქული „ფენერბაჰჩეს" ხორვატი მცველის, ზორან მირკოვიჩის შეძენა სურს. იტალიური სააგენტოს ცნობით, „ფენერბაჰჩე" „იუვენტუსს" უკვე შეუთანხმდა და სულ მალე ფეხბურთელს სტამბოლში ელის. მირკოვიჩის თავისთან გადაყვანა აღრე „ლიდს იუნაიტედსაც" სურდა, თუმცა მაშინ შეთანხმება ჩაიშალა. თუ ხორვატი თურქეთში არ გადავიდა, ლიდსელთა თავკაცმა დეივიდ ოლირიმ, შესაძლოა, ხელმეორედ მიმართოს „იუვენტუსის" ხელმძღვანელობას ამ ტრანსფერის თაობაზე.

ფეხბურთი მსოფლიოს გარშემო მოგზაურობს

ევროპის, ამერიკის და აზიის მერე მსოფლიოს ჩემპიონატი შესაძლოა აფრიკაში გაიმართოს

ევროპა დასრულდა. ახალ მსოფლიოსთვის მზადება იწყება. ფიფა ჩქარობს, კორეა-იაპონიამდე ორი წელი დარჩა, დღეს კი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლის ვინაობა უნდა გაირკვეს. უფრო სწორად, მსჯელობა დღეს დაიწყება, ვერდიქტს კი ფიფას ოცდათხუთმეტრიანი აღმასრულებელი კომიტეტი ხვალ გამოიტანს.

იქამდე ერთხელაც გადავხედოთ კანდიდატთა სიას და მათი სუსტი და ძლიერი მხარეები განვიხილოთ. ჯერ კიდევ ორი დღის წინ ისინი ხუთნი იყვნენ: ინგლისი, გერმანია, ბრაზილია, სამხრეთ აფრიკა და მაროკო. გუშინ კი ოთხნი დარჩნენ. თუ რატომ, ამაზე ქვემოთ...



იოზეფ ბლატერს ერთი ხმა და დიდი ძალაუფლება აქვს

ინგლისელი ფანები ინგლისის წინააღმდეგ

ცხადია, მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა თითოეული ინგლისელის ოცნებაა. მიზეზი რა საკითხავია? თუნდაც იმიტომ, რომ ინგლისის ნაკრები ერთხელ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და ისიც სამშობლოში, მათ კი გამარჯვების მეორედ მოპოვება სურთ.

ყველაფერი კარგად დაიწყო. ფიფას სპეციალური კომისია ალან როზენბერგის ხელმძღვანელობით ალბიონს ესტუმრა და იქაურების მზადყოფნა შეამოწმა. კომისია კმაყოფილი დარჩა. ერთი იმიტომ, რომ ინგლისში საფეხბურთო და სხვა ინფრასტრუქტურა მართლაც ჩინებულია და მეორეც, ინგლისელებს სტუმართა მიღება-პატივისცემა არ ეშლებათ. მოკლედ, დიდებულად უმასპინძლეს, ბანკეტები არ მოაკლეს.

მერე ყველაფერი აირია. ჯერ იყო სტამბოლი, დანების ტრიალით და მკვლელობებით. მართალია, დამნაშავეებად თურქები შერაცხეს, მაგრამ საეჭვოა, ინგლისელი გულშემატკივრები უცოდველი კრავები ყოფილიყვნენ. სტამბოლის ამბები კოპენჰაგენში გაგრძელდა. ღვთის მადლით, არავინ მოუკლავთ, თორემ ქომაგთა თავებზე გადამტვრეული სკამები მრავლად იყო. ცხადია, დანების ტრიალიც. ბოლოს კი შარლერუა. ინგლისი — გერმანიის მატჩის წინ და შემდეგ პატარა ბელგიური ქალაქის მცხოვრებლებმა იმდენი მძაფრი შთაბეჭდილება მიიღეს, მთელი ცხოვრება ეყოფათ. იმ ამბების თვითმხილველია „სარბიელის“ რეპორტიორიც, რომელიც ინგლისელთა ბრძოლისუნარიანობაში თავადაც დარწმუნდა.

ყოველივე ამის მერე ფიფამ საკუთარ თავს არცთუ უსაფუძვლო კითხვა დაუსვა: გვინდა მსოფლიოს ჩემპიონატის ინგლისში გამართვა? ამის საპასუხოდ ინგლისელები კონტრარგუმენტს იშველიებენ. ისინი ამბობენ, თუ ჩემპიონატს ჩვენი ქვეყანა უმასპინძლებს, ხულიგნებს წასვლა არსად მოუწევთ, სხვა ქვეყნის მოსახლეობას და მეტადრე პოლიციას არ შეაწუხებენ და მათ ალაგმას სკოტლანდიარდი ითავებსო. რამდენად გაჭრის ეს არგუმენტი, ამ ორ დღეში შევიტყობთ, თუმც ინგლისელებს სხვა პრობლემებიც აქვთ.

ხულიგნობის არ იყოს, ჯენტლმენობაც ინგლისელთა მოგონილია, მაგრამ აქა-იქ ეჭვს გამოთქვამენ, ისინი სიტყვის გამტეხნი არიან, კეთილშობილებისა არაფერი ეტყობათო. ეს გერმანელთა სიტყვებია, საქმე კი აი, რას ეხება. გერმანელთა პუნქტუალურობის ამბავი ხომ მოგეხსენებათ, მათ თადარიგი ადრევე დაიჭირეს. 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი ჯერ კიდევ 1993 წელს გამოთქვეს. მაშინ ინგლისი და გერმანია შეთანხმდნენ, გერმანია ინგლისს ევრო 96-ის მასპინძლობაზე დაუჭერდა მხარს, სამაგიეროდ, ინგლისი 2006 წლის ჩემპიონატზე გერმანიას უქომაგებდა. ინგლისმა თავისი გაინაღდა, მადა გაეხსნა და დღეს მათი კამპანიის ხელმძღვანელი ტონი ბენკსი ადრე არსებულ შეთანხმებას უარყოფს, არანაირი მოლაპარაკება არ გვქონიაო.

და კიდევ ერთი: ფიფას პრეზიდენტის არჩევნებზე, ორი წლის წინ, ინგლისმა მხარი ლენარტ იუჰანსონის კანდიდატურას დაუჭირა, პრეზიდენტი კი ზეპ ბლატერი გახდა. ახლა გამოჩნდება, ბლატერს ძველი წყენა გულში ჩარჩა, თუ არა.

ბეკენბაუერი ღონეს ხერხს ამჯობინებს

„გერმანიას მძლავრი ეკონომიკა და უდიდესი კულტურა აქვს. მათი საფეხბურთო ინფრასტრუქტურა საუკეთესოა, ორგანიზაციული ნიჭი — ყველასთვის მისაბაძი. ამას ძლიერი ეროვნული ნაკრებიც დავუმატოთ“ — ეს სიტყვები რამდენიმე წლის წინ ითქვა და მისი ავტორი ფიფას ყოფილი პრეზიდენტი ჟოაო აველანჟია. ბოლო ევროპის ჩემპიონატის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ნაკრების ძალაზე რა მოგახსენოთ, სხვა მხრივ კი აველანჟის გამონათქვამს ხინჯს ვერ უპოვი.

დროება შეიცვალა. აველანჟი საფეხბურთო საქმიანობას განერიდა და მისი პოსტი ზეპ ბლატერმა დაიკავა. ახალი პრეზიდენტის გერმანული შთაბეჭდილება ძველისგან დიდად არ განსხვავდება, როზენბერგისეული დასკვნაც გერმანელთა სასარგებლოდ მეტყველებს, მაგრამ... თუმცა სანამ გერმანიის კანდიდატურის სუსტ მხარეზე ვისაუბრებთ, იქამდე მის ძლიერებაზე რამდენიმე ცნობასაც გავეცნოთ.

გერმანიამ 1974 წელს მსოფლიოს, ხოლო 1988-ში ევროპის ჩემპიონატებს უმასპინძლა. მაშინ მათ მიმართ პრეტენზიები არავის წაუყენებია, აქაოდა, ესა და ეს საკითხი მოუგვარებელი იყოო. მით უმეტეს, ასე იქნება ახლა, როცა გერმანიამ ინფრასტრუქტურის სრულყოფისთვის უზარმაზარი თანხები დახარჯა. კეთილმოწყობის და უსაფრთხოების თვალსაზრისით ბერლინის და მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონებსაც ველარ იცნობთ და საერთოდაც, გერმანელებმა ფიფას იმ თექვსმეტი ქალაქის სია წარუდგინეს, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის სრულ მზადყოფნაში არიან.

ხულიგნებთან ბრძოლის საკითხი გერმანიაშიც საკმაოდ აქტუალურია და როგორც ჩანს, კარგად არის მოგვარებული. ყოველ შემთხვევაში, გერმანელები ხელიდან შესაძლებლობას არ უშვებენ, რომ ინგლისელებს კბილი არ გაჰკრან, ხომ ხედავთ, ბრიტანელები რასაც სჩადიან, ჩვენთან ასეთი რამეები გამორიცხულიაო. თუ ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე მომხდარ ამბავს გაიხსენებთ, როცა ოთხმა გალეშილმა გერმანელმა ქომაგმა ფრანგ ჟანდარმს სასტიკად სცემა და ინვალიდის ეტლს მიაჯაჭვა, მოგიგებენ, ის ინციდენტი ჩვენთვის სამარცხვინო კი იყო, მაგრამ მაინც გამონაკლისია და განზოგადება არ შეიძლებაო. თან დაუმატებენ, ისიც ხომ ნახეთ, დამნაშავეები სასტიკად რომ დავსაჯეთ, აბა, ინგლისში ვინ დაუსჯიათო.

ახლა კი იმ საკითხს მივუბრუნდეთ, გერმანელებს მოსვენებას რომ არ აძლევთ. კენჭისყრაზე გერმანიის მასპინძლობის შანსს ინგლისისაზე მაღლა კი აყენებენ, მაგრამ მის გამარჯვებას მაინც ეჭვის თვალით უყურებენ. ამაში დამნაშავე კი, ნუ გაიკვირვებთ და, გერმანელთა ევროპელობაა.

მოგეხსენებათ, ადრე მსოფლიოს ჩემპიონატები ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში რიგრიგობით იმართებოდა. დღეს საფეხბურთო გეოგრაფია გაიზარდა — ჩრდილოეთ ამერიკაო, აზიაო. აფრიკამ რაღა დააშავა? არც არაფერი. ჰოდა, ამბობენ, თუ სამართალია, ეს პატივი შავ კონტინენტსაც უნდა ვარგუნოთო.

ფრანც ბეკენბაუერი, გერმანელთა წინასაარჩევნო შტაბის მეთაური, როგორ იტყვის, ფეხბურთს აფრიკაში რა ესაქმებაო, ამიტომ სხვა ტაქტიკა შეურჩევია. დადის კაიზერი ფრანცი მთელ მსოფლიოში და ქადაგებს: „აფრიკა? ცხადია, მათ ეს დაიმსახურეს და საწინააღმდეგო რა უნდა გვქონდეს. პირიქით, მივესალმებით და მხარსაც დავუჭერთ — აქ ბეკენბაუერი მცირე პაუზას აკეთებს, საზოგადოებას თვალს მოავლებს და ეშმაკური ღიმილით კითხულობს — მზად არიან აფრიკელები მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის? დარწმუნებული ვარ, არა. ჰოდა, გვაცალონ. 2006 წელს ტურნირს ჩვენ ვუმასპინძლებთ, 2010 წლისთვის კი ისინიც მოღონიერდებიან და წინ ვეღარაფერი დაუდგებათ“.

ბრაზილიური ლოგიკა: სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ რიკარდო ტეიშეირას გუშინ გაკეთებულმა განცხადებამ ბრაზილიის კანდიდატურაზე საუბრის საშუალება მოგვისპო. რა თქვა ტეიშეირამ? „ჩვენ ვხსნით კანდიდატურას სამხრეთაფრიკელთა სასარგებლოდ“. მაშ ასე, ჯერ იყო ეგვიპტე, განა და ნიგერია. მათ ბრძოლაზე ადრევე თქვეს უარი, ახლა მათ კიდევ ერთი პრეტენდენტი შეუერთდა, თან ზედ კენჭისყრის დაწყების წინ. იყო ვარაუდი, რომ ფიფა ბრაზილიას დააჯარიმებდა, კანდიდატურის მოხსნას თუ აპირებდით, ადრევე რად არ თქვითო. ასე არ მოხდა. ზეპ ბლატერმა განაცხადა: „ჩვენი წესებით, ნებისმიერ ქვეყანას ნებისმიერ დროს შეუძლია კანდიდატურის მოხსნა, ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ“.

მართალია, ვთქვით, ბრაზილიის კანდიდატურაზე სათქმელი არაფერი დარჩაო, მაგრამ ალბათ საინტერესო უნდა იყოს ის მიზეზები, რამაც ბრაზილიელებს ასეთი ნაბიჯი გადაადგმევინა.

რამდენიმე თვის წინ ალან როზენბერგის კომისია სამხრეთამერიკულ ქვეყანას ესტუმრა და გაოგნებული დარჩა. ინგლისში, გერმანიაში, სამხრეთ აფრიკაში და მაროკოში ხალხი მუშაობდა, ახალ სტადიონებს აშენებდა, ძველებს არემონტებდა, სასტუმროები, ბაზები, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა — ყველაფერი ჩემპიონატისთვის მზადდებოდა. ბრაზილიაში კი მსგავსი ვერაფერი შენიშნეს. არა, ზიკოს (ბრაზილიელთა შტაბის ხელმძღვანელს) სურვილი და მონდომება არ აკლდა, მაგრამ ფული თუ არ გაქვს... ფულს კი ბრაზილიის ხელისუფლება არ იძლეოდა. ვერც გაამტყუნებ, არ გვაქვსო, ამბობდნენ. მოკლედ, დარჩნენ ბრაზილიელები შიშველი ენთუზიაზმის ამარა. ფიფასთვის კი ასეთი რამ მიუღებელია.

ზიკომ ბევრი ილაპარაკა, ბრაზილიელებისთვის ფეხბურთი ყველაფერიაო, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები ვართო, აგერ თქვენი მეგობარი პელეც ჩვენს გვერდით დგასო. არაფერმა გაჭრა, ბრაზილიის კანდიდატურა ფიფაში სერიოზულად არ აღიქმებოდა და ისინიც დანებდნენ. მათ ერთი საქმე კი მაინც გააკეთეს, ახლა ამბობენ, სამხრეთ აფრიკას ვუჭერთ მხარსო და უმატებენ, ვიმედოვნებთ, 2010 წელს აფრიკელები ჩვენს სასარგებლოდ გაირკვევიანო.

აფრიკული კოზირი

სამხრეთ აფრიკის სპორტის მინისტრი ნგკონდე ბალფური ციურიხში კარგ ხასიათზე გაემგზავრა და მოსახლეობას იქიდან სასურველი პასუხის ჩამოტანას დაპირდა. მინისტრს წარმატების იმედი რომ არ ჰქონდეს, უხვ დაპირებას, ალბათ, არ დაარიგებდა.

რას არ ამბობდნენ სამხრეთაფრიკელებზე. ქუჩებში ხალხს პანტაპუნტით ხოცავენო, შიდსი მძვინვარებსო, ინფრასტრუქტურა განვითარებული კი აქვთ, მაგრამ ევროპელებისას ვერ შეედრებაო და ასე შემდეგ. ეს იქნებ გადამეტებულიც იყოს, თუმცა სიმართლის მარცვალიც რომ ურევია, ფაქტია. ამიტომ სამხრეთაფრიკელებმა ხერხს მიმართეს, აღნიშნულ საკითხებზე ბევრს არ საუბრობენ, სამაგიეროდ, „აფრიკული კოზირის“ გათამაშებას ცდილობენ.

როგორ, დიდმა ფეხბურთმა მსოფლიოს ყველა კუთხე შემოიარა და ჩვენ განა ხალხი არა ვართო, ჩვიან ისინი. თან ფიფას ფულის შოვნის ახალ წყაროზეც მოუთითებენ — მსოფლიოს ჩემპიონატის ჩვენთან გამართვა კონტინენტზე ფეხბურთის განვითარების დონეს ერთიორად აამაღლებს და შემოსავალი მერე ნახეთო.

აქ ერთი საინტერესო ფაქტიც უნდა აღვნიშნოთ. სამხრეთაფრიკელები თავიანთ ქვეყანაზე მეტად კონტინენტს ახსენებენ, არადა, მათ აფრიკელი კონკურენტიც ჰყავთ — მაროკო. აქ ასეთი გათვლაა, მთავარია, ჩემპიონატის აფრიკაში გამართვის იდეამ გაიმარჯვოს და მაროკოსი არ გვეშინია, მათი განვითარების და მასპინძლობისთვის მზადყოფნის დონე ჩვენთან ახლოსაც ვერ მოვაო.

ახლა სამხრეთელთა ორგანიზატორულ ნიჭსაც შევეხოთ. 1995 წელს სამხრეთ აფრიკამ რაგბის მსოფლიოს თასის გათამაშებას უმასპინძლა, წინა წელს კი იგივე ტურნირი ბრიტანეთში გაიმართა. როგორ ფიქრობთ, რომელმა ქვეყანამ უკეთ უმასპინძლა ჩემპიონატს? მსოფლიოს რაგბის მამებს თუ ვერწმუნებით, სამხრეთ აფრიკამ. ჰოდა, ესეც კიდევ ერთი ძლიერი არგუმენტი მათი კანდიდატურის სასარგებლოდ.

ბრაზილიამ თავის წინასაარჩევნო კამპანიაში პელე და ზიკო ჩართო, გერმანიამ — ფრანც ბეკენბაუერი, მოკლედ, ფრიად პატივსაცემი პიროვნებები. ერთი ასეთი კაცი აფრიკელებსაც ჰყავთ. რა გამოცნობა უნდა, მათი ქვეყნის ყოფილ მეთაურ ნელსონ მანდელაზე მოგახსენებთ. ამ ჭარმაგმა კაცმა ნახევარი ცხოვრება ციხეებსა და აპარტეიდთან ბრძოლაში გაატარა, მერე პრეზიდენტი გახდა, ცოლს გაეყარა, მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტის ქვრივი ითხოვა და ახლა სახელმწიფო საქმეებს ოფიციალურად ჩამოშორდა. ეს ოფიციალურად, თორემ მანდელა რიგი მანდელაა, ქვეყნის სასიკეთოდ არ იტაჯრება.

მანდელა ამბობს: „როზენბერგის კომისიის დასკვნა წავიკითხე, რომლის მიხედვითაც სამხრეთ აფრიკამ და გერმანიამ უმაღლესი შეფასებები მიიღეს. ისიც ვიცი, რომ ფიფას აღმასკომის წევრთაგან თორმეტი მხარს გვიჭერს, თუმცა იმის თქმას, რომ გავიმარჯვებთ, ვერ ვრისკავ. ამ ორ დღეში შესაძლოა ბევრი რამ შეიცვალოს. ჩვენი კონკურენტები გულხელდაკრეფილები არ სხედან და თავიანთ სასარგებლოდ მუშაობენ.

სამხრეთ აფრიკაში მოსახლეობის ორმოცი პროცენტი უმუშევარია. მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებას თუ მივიღებთ, უამრავი ახალი სამუშაო ადგილი გაჩნდება და ხალხი შვებით ამოისუნთქებს“.

რაღა დავამატოთ? ბლატერი და კომპანია სამხრეთაფრიკელ უმუშევართა პრობლემას გულთან ახლოს თუ მიიტანს, მათი შანსი ერთიორად გაიზრდება.

მაროკოს მესამე ცდა

„სამხრეთაფრიკელებს მანდელა ჰყავთ, თავისი ავტორიტეტით და ფინანსური მხარდაჭერით. ჩვენ რა გვეშველება?“ — ჩივის ხალიდ ჯამი, ერთი ერთი მაროკოული გაზეთის რედაქტორი. მართლაც, რა ეშველებათ? მაროკომ მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი აქამდეც ორჯერ გამოთქვა (1998 და 2002 წლების), მათი მცდელობა ორჯერვე წარუმატებლად დასრულდა, ახლა მესამე ცდაა და მართალია, ამბობენ, ღმერთი სამობითაო, როგორც ჩანს, ეს მაროკოს არ ეხება.

მიზეზი ამ ჩრდილოაფრიკული მონარქიის არცთუ მძლავრად განვითარებული საფეხბურთო თუ სხვა ინფრასტრუქტურაში უნდა ვეძებოთ. თუმცა თავად მაროკოელები თავიანთ მცირე შანსს განსხვავებული არგუმენტით ასაბუთებენ.

მოგეხსენებათ, ზეპ ბლატერმა როგორღაც ხმამაღლა განაცხადა, დროა, დიდი ფეხბურთი აფრიკასაც ესტუმროსო. მაროკოს იმედი მიეცა, ფორტუნა ამჯერად მაინც გაგვიღიმებსო, მაგრამ... აქ სცენაზე სამხრეთაფრიკელები გამოვიდნენ, კონტინენტზე ვინმე ღირსეული თუა, ასეთები ჩვენ ვართო.

მაროკოელები შეშინდნენ, მიხვდნენ, რომ სამხრეთაფრიკელთათვის კონკურენციის გაწევას ვერ შეძლებდნენ და არაბულ ხრიკს მიმართეს. სამხრეთელებს ნელ-ნელა შეაპარეს, კანდიდატურის მოხსნას ხომ არ ინებებთო, ალბათ, მათი გულუბრყვილობის იმედი ჰქონდათ. ტყუილად გაიარჯნენ, სამხრეთაფრიკელები იოლად მოსათაფლი ხალხი როდია.

სადაც თხოვნა არ ჭრის, იქ მუქარის გამოყენებაც შეიძლებაო, განსჯეს მაროკოელებმა და ფიფას შეუტიეს, ორჯერ უარგყავით და მესამედაც იგივეს თუ გაიმეორებთ, მთელ არაბულ სამყაროში, თავის მაღრიბიანად (მაროკო, ტუნისი, ალჟირი, ლიბია და მავრიტანია), ფეხბურთს ჩაკლავთო.

პასუხი ფიფაზეა, ან მუქარის სერიოზულობას არ დაიჯერებენ, ან მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლად მაროკოს აირჩევენ, სადაც ფიფასეულ სტანდარტებს ორადორი სტადიონი შეესაბამება. ისე, მაროკოელთა მეფე მოჰამედს უთქვამს, მზად ვარ, საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად 560 მილიონი დოლარი გავიღო, მაგრამ ვინ იცის, ეყოფა?

შანსები

ფიფას აღმასრულებელი კომიტეტი 24-წევრიანია და ადგილები ასეა განაწილებული: სამხრეთ ამერიკა — 3, კონკაკაფი — 3, აზია — 4, ევროპა — 8, ოკეანეთი — 1, აფრიკა — 4 და ოცდამეოთხეც ზეპ ბლატერი.

ბრაზილიის მიერ კანდიდატურის მოხსნის შემდეგ ვარაუდობენ, რომ გამარჯვება სამხრეთ აფრიკას დარჩება. არითმეტიკა ასეთია: სამხრეთამერიკელთა და კონკაკაფის ექვს ხმას (ბრაზილიას რომ უნდა მიეღო) სამხრეთ აფრიკა მიიღებს, ამას თავად აფრიკელთა ოთხი და აზიელთა სამი ხმა დაემატება. ჯამში 13 გამოდის. ეს კი გასამარჯვებლად საკმარისია.

გიორგი დარჯანია

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ავსტრია. 1-ლი ტური

5 ივლისი

002	ზალცბურგი-რაპიდი	2,5	2,9	2,5
003	აუსტრია-გრაცერი	1,75	2,9	4,4
004	რიდი-ბრეგენცი	1,5	3,5	5,3
005	შტურმი-ლინცერი	1,35	3,8	7,0

რუსეთი. გადადებული მატჩი

5 ივლისი

007	დინამო-ზენიტი 18.00	1,75	2,9	4,4

შვედეთი. მე-9 ტური

5 ივლისი

010	ჰელსინგბორგი-ფრიოლუნდა	1,25	4,4	8,0
011	ნორჩიოპინგი-აიკ	2,5	2,9	2,5
012	სუნდსვალი-გიოტებორგი	3,4	3,1	1,9
013	იორებრო-ტრელებორგი	1,8	3,0	4,0
014	იორგრიტე-ჰაკენი	1,4	3,8	6,0

ნორვეგია. მე-12 ტური

5 ივლისი

015	ბრინი-რუსენბორგი	5,6	3,6	1,45
016	ბოდიო გლიმტი-სტარტი	1,4	3,5	7,0
017	ბრანი-ლილესტრიომი	1,5	3,3	6,0
018	ჰაუგესუნდი-ტრომსიო	2,4	2,9	2,6
019	მოსი-ვიკინგი	2,3	3,0	2,7
020	სტაბეკი-მიოლდე	2,2	3,0	2,9
021	ვოლერენგა-ოდ გრენლანდი	2,0	3,0	3,3

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი; თემქა, მე 11-ე მიკრორაიონი, პირველი კვარტალი და

ახალი ბიუროები: ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან) და წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.
ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში ხანმოკლე ჯაშუნის შემდეგ კვლავ მუშაობს „კროკოს“ განახლებული ბიურო. მისამართი: შარტავას 7.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

სუპროლიგა 2000-2001

ფიბა-ს შესუსტებული სუპროლიგა შემორჩა

სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიბა) აპრილში ევროპის უმთავრესი საკლუბო შეჯიბრება — ევროლიგა სუპროლიგად გადანათლა და ამ ახალი ტურნირისთვის მზადებას შეუდგა. წამყვანმა საკალათბურთო ქვეყნებმა, ესპანეთის, იტალიის და საბერძნეთის თაოსნობით, არ ისურვეს ფიბა-სთან ურთიერთობის გაგრძელება და ამ ორგანიზაციას თავ-თავიანთი წამყვანი კლუბები აუმხედრეს. ამბოხების მიზეზი ფული, უფრო ზუსტად, კი სუპროლიგის მატჩების ტელეტრანსლაციებიდან შემოსული თანხების გადანაწილების პრინციპი იყო. ამბოხებულებმა ჩათვალეს, რომ ფიბა უსამართლოდ იქცეოდა და ახალი ორგანიზაცია — ევროპის საკალათბურთო ლიგათა კავშირი (ULEB) შექმნეს. მალე ULEB-მა სუპროლიგის ალტერნატიული ტურნირის — ახალი ევროლიგის დაფუძნება და ჩატარება გადაწყვიტეს. ახალ ლიგას ევროპის წამყვან კლუბთა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი: „ბარსელონამ“ და „რეალმა“ — ესპანეთიდან, „ფორტტუდომ“, „ბენეტონმა“ და „კინდერმა“ — იტალიიდან, „ოლიმპიაკოსმა“, პაოკ-მა და აეკ-მა — საბერძნეთიდან და ა.შ.

ფიბა-ს შესუსტებული შემადგენლობა შემორჩა. ბობოლათაგან სუპროლიგას შარშანდელი ევროლიგის „ოთხთა ფინალის“ მონაწილენი — ათენის „პანათინაიკოსი“, თელ ავივის „მაკაბი“ და სტამბოლის „ეფესი“ შემორჩნენ. აქვე არიან ფრანგული „ვილერბანი“, მოსკოვის ცსკა და სტამბოლის „ულქერი“, მაგრამ ULEB-ის ევროლიგა უფრო ძლიერად გამოიყურება. სუპროლიგას ამ ეტაპზე ერთადერთი უპირატესობა აქვს — მისი გათამაშება აუცილებლად გაიმართება, ამბოხებულებს კი ბევრი რამ ჯერ დასაზუსტებელი აქვთ.

ფიბა-მ შეარბილა ფინანსური პირობები და გარკვეულ დათმობაზე წავიდა. თან სუპროლიგაში გუნდების რაოდენობის შემცირება და გათამაშების ფორმატის შეცვლა მოუხდა. კვირას მიუნხენში ფიბა-ს ევროპის კონფერენციის ბიუროს სხდომა გაიმართა, სადაც სუპროლიგასთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხი დაზუსტდა.

მონაწილეები

ფიბა-ს გადაწყვეტილებით, 2000-2001 წლების სუპროლიგაში 20 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ისინი 14 ქვეყანას წარმოადგენენ:

„პანათინაიკოსი“, „არისი“ ან „ირაკლისი“ (ყველა საბერძნეთი), „ალბა“, „ბაიერი“, (ორივე გერმანია), „ეფესი“, „ულქერი“ (ორივე თურქეთი), „პო ორტეზი“, „ვილერბანი“ (ორივე საფრანგეთი), „სკავოლინი“, „სიენა“ (ორივე იტალია), „მაკაბი“ (თელ ავივი), „მაკაბი“ (რაანანა) (ორივე ისრაელი), „პარტიზანი“ (იუგოსლავია), „პლანა“ (შვედეთი), ცსკა (რუსეთი), „კრკა“ (სლოვენია), „ოსტენდე“ (ბელგია), „ლიეტუვოს რიტასი“ (ლიტვა) და „ცეპტერი“ (პოლონეთი).

„პანათინაიკოსს“, „ალბას“, „ეფესს“, „ულქერს“, ცსკა-ს, „პო ორტეზს“, თელ ავივის „მაკაბის“ და „ვილერბანს“ სუპროლიგის მომავალ სამ გათამაშებაში ადგილი გარანტირებული აქვთ. აღნიშნული გუნდები სუპროლიგაში მხოლოდ იმ შემთხვევაში ვერ ითამაშებენ, თუკი თავის ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატში მეხუთეზე დაბალ ადგილს დაიკავებენ.

გათამაშების ფორმატი

ჯერჯერობით ის გახლავთ დადგენილი, რომ 20 გუნდი გაიყოფა ორ ათგუნდიან ჯგუფად და პირველ ეტაპზე თამაშები მიმოსვლით გაიმართება. მეორე ეტაპის და პლეი ოფის ჩატარების სისტემას ფიბა 16 ივლისს წარადგენს მიუნხენში, სუპროლიგის კენჭისყრის დროს.

სუპროლიგის «ოთხთა ფინალი»

2000-2001 წლების სუპროლიგის „ოთხთა ფინალი“ ესპანეთის ქალაქ ვიტორიაში უნდა ჩატარებულიყო. სუპროლიგაში არც ერთი ესპანური გუნდი აღარ მონაწილეობს, ამდენად ფიბა-მ ვიტორიას „ოთხთა ფინალის“ მასპინძლობა ჩამოართვა. მით უმეტეს, ვიტორიას საკალათბურთო კლუბი „ტაუ ბასკონია“ ULEB-ის ევროლიგაში აპირებს თამაშს. სუპროლიგის „ოთხთა ფინალის“ მასპინძლის გამოსავლენად ფიბა-მ გამოაცხადა კონკურსი, რომელშიც იმ თოთხმეტ ქვეყანას შეუძლია მონაწილეობა, რომელთა გუნდებიც სუპროლიგაში თამაშობენ.

დამატებითი ცვლილებები

— სუპროლიგის მატჩებს განსჯის ორი მსაჯი ფიბა-ს მიერ დადგენილი წესებით.

— მოთამაშეს შეუძლია სუპროლიგის მონაწილე ერთი კლუბიდან მეორე კლუბში გადასვლა, ოღონდ ტრანსფერი, ყველაზე გვიან, მეორე ეტაპის დაწყებამდე 72 საათით ადრე უნდა გაფორმდეს.

— სუპროლიგის მატჩში მონაწილე გუნდს განაცხადში შეიძლება ჰყავდეს მაქსიმუმ 12 და მინიმუმ 10 მოთამაშე.

ULEB-თან დაკავშირებით

ფიბა-მ დაადასტურა, რომ არ მიიღებს არავითარ სანქციებს იმ მოთამაშეთა და მწვრთნელთა მიმართ, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ULEB-ის გათამაშებაში. სამაგიეროდ, კლუბები, რომლებიც ალტერნატიულ ლიგაში დააპირებენ თამაშს, ვერ მიიღებენ მონაწილეობას ფიბა-ს ეგიდით გამართულ ვერცერთ შეჯიბრებაში.

მსაჯები, რომლებიც მოემსახურებიან ULEB-ის თამაშებს, მოიკვეთებიან როგორც ფიბა-ს ტურნირებიდან, ასევე თავ-თავიანთი ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატებიდან.

ევროთასები

ფიბა წლეულსაც ხუთი ევროპული თასის გათამაშებას ჩაატარებს (სუპროლიგა, საპორტას თასი, კორაჩის თასი — ვაჟებში; ევროლიგა, რონკეტის თასი — ქალებში). 2000-2001 წლების გათამაშებაში 33 ქვეყნის 217 კლუბი მიიღებს მონაწილეობას, აქედან 132 — ვაჟთა ევროტურნირებში.

ქალაქი ვიტორია ბრაზობს

ვინ უმასპინძლებს «ოთხთა ფინალს»?

2000-2001 წლების სუპროლიგის „ოთხთა ფინალისთვის“ ესპანეთის ქალაქ ვიტორიას უნდა ემასპინძლა. მოგეხსენებათ, რამდენიმე კლუბმა ფიბა-სთან ურთიერთობა გაწყვიტა და ახალ, ევროპის საკალათბურთო ლიგათა კავშირში (ULEB) გაერთიანდა. ამბოხებულთა შორის ესპანური კლუბებიც არიან. საერთოდ, ეს ქვეყანა ყველაზე მეტად აქტიურობდა და სუპროლიგაში წარმომადგენელი აღარ დაიტოვა. ქალაქ ვიტორიას „ტაუ ბასკონიაც“ არ ჩამორჩა თვისტომებს და ULEB-ს მიემხრო.

ფიბა-მ არც აცია, არც აცხელა და ვიტორიას „ოთხთა ფინალის“ მასპინძლობის უფლება ჩამოართვა. ცხადია, ეს გადაწყვეტილება არ ეჭაშნიკათ ვიტორიელებს, რომლებმაც მყისვე მოახდინეს რეაგირება აღნიშნულ ფაქტზე.

„ტაუ ბასკონიამ“ ოფიციალური განცხადება გააკეთა, რომლის თანახმადაც: „ფიბა-ს გადაწყვეტილება არასწორია. კლუბი შეაგროვებს სათანადო დოკუმენტებს და შეეცდება ფიბა-ს გადაათქმევინოს აზრი“. პრესკონფერენცია მოიწვია ვიტორიას მერმა ალფონსო ალონსომ: „ცხადია, რომ ფიბა „ტაუ ბასკონიას“ სჯის ULEB-ის ევროლიგაში მონაწილეობისთვის. რა შუაშია აქ ქალაქი? ვიტორიას შეუძლია „ოთხთა ფინალის“ მასპინძლობა. ჩვენს ქალაქს არაფერი აქვს ფიბა-ს საწინააღმდეგო“.

ხმა აიმაღლა ადგილობრივმა დეპუტატმა რამინ რაბანერამ. მან წერილი მიწერა ფიბა-ს გენერალურ მდივანს ბორისლავ სტანკოვიჩს: „თქვენი გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი და უსიამოვნოა. დაპირისპირება ფიბა-სა და ULEB-ს შორის ქალაქ ვიტორიას და მის მოქალაქეებს არ უნდა შეეხოს. იმედი მაქვს გადასინჯავთ თქვენს გადაწყვეტილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებულნი ვიქნებით, სასამართლოს მივმართოთ“.

ესპანეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ერნესტო სეგურა დე ლუნა: „ველოდით, რომ ვიტორია დაკარგავდა „ოთხთა ფინალის“ მასპინძლობის უფლებას, მაგრამ ეს ნორმალური ფორმით უნდა მომხდარიყო. ფიბა-მ კი გადაწყვეტილება ერთპიროვნულად, საიდუმლო ვითარებაში მიიღო. მისი ერთადერთი არგუმენტი ისაა, რომ ვიტორიას გუნდი ULEB-ის გათამაშებაში მონაწილეობას დათანხმდა“.

ესპანელთა აღშფოთების მიუხედავად, ფიბა არაფრის შეცვლას არ აპირებს. სუპროლიგის „ოთხთა ფინალის“ მასპინძლობაზე უკვე გამოცხადდა კონკურსი, რომელშიაც იმ ქვეყნის ქალაქებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება, რომელთა წარმომადგენლები სუპროლიგაში თამაშობენ. ამბობენ, „ოთხთა ფინალის“ დასაკუთრების ყველაზე კარგი შანსი ისრაელის დედაქალაქ თელ ავივს აქვსო.



ვიტორიას „პავილიონ არაბა“ სუპროლიგის „ოთხთა ფინალს“ ვერ უმასპინძლებს

ევროპული ამბები

საბერძნეთი

ჟელკო რებრაჩა საბერძნეთის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს

რებრაჩა ყველგან საუკეთესოა

საბერძნეთის ჩემპიონატი კარგა ხნის წინ გასრულდა, მაგრამ სეზონის ლაურეატები ახლახან გამოირკვნენ. ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშის გამოკითხვა ათენის „პანათინაიკოსის“ იუგოსლავიელმა ცენტრმა ჟელკო რებრაჩამ მოიგო (34 ხმა). შეგახსენებთ, რომ წლეულს რებრაჩა ევროლიგის „ოთხთა ფინალის“ უძვირფასეს მოთამაშედაც აღიარეს, ხოლო 1999 წელს ევროპის საუკეთესო კალათბურთელი გახდა. საბერძნეთის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეობაში კი რებრაჩას მხოლოდ თანაგუნდელები ეცილებოდნენ: იუგოსლავიელი დეიან ბოდიროგა (24 ხმა), ბერძენი ფრაგისკოს ალვერტისი (5) და ებრაელი ოდედ კატაში (2). თითო ხმა აეკ-ელმა ენტონი ბოუმ და ირაკლიონელმა ჯეიმს ფორესტმა მიიღეს.

„პანათინაიკოსის“ იუგოსლავიელი მწვრთნელი, 40 წლის ჟელკო ობრადოვიჩი საბერძნეთის ჩემპიონატის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს. ქვეყნის ჩემპიონატის და ევროლიგის მომგები გუნდის დამრიგებელმა 36 ხმა მიიღო. მას კვალში კიდევ ერთი იუგოსლავიელი, აეკ-ის დუშან ივკოვიჩი მიჰყვა (21 ხმა), მომდევნო ადგილები კი ბერძენებმა გაინაწილეს: კოსტას ფლევარაკისი (პაოკ, 4), ვაგელის ალექსანდრისი (მარუსი, 2), იანის იოანიდისი (ოლიმპიაკოსი, 2), ხრისტოს მაგიციოსი (არისი, 1) და არგირის პედულაკისი (პერისტერი, 1).

საბერძნეთის ჩემპიონატის სიმბოლური ხუთეული კი ამგვარია: *აგელოს კორონიოსი (აეკ, 23 ხმა), ფრაგისკოს ალვერტისი (პანათინაიკოსი, 23), დიმოს დიკუდისი (აეკ, 37), დეიან ბოდიროგა (პანათინაიკოსი, 45), ჟელკო რებრაჩა (პანათინაიკოსი, 57)*

მეისონმა პოლიციელებზე გალახა

ალბათ ვერც ერთ ლიგაში ვერ შეხვდებით იმდენ ხულიგანს, ძველ ბიჭს თუ თრიაქის მწეველს, რამდენსაც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. კაცმა კარგად რომ მოიძიოს, აღმოაჩენს, რომ ნბა-ს მოთამაშეთა ნახევარს თუ არა, მეოთხედს მაინც აქვს ან ჰქონდა რაღაც კავშირი შავ სამყაროსთან. მათგან უდავოდ ერთ-ერთი გამორჩევა, „შარლოტ ჰორნეტსის“ თავდამსხმელი ენტონი მეისონი. რამდენიმე წლის წინ საკუთარი დების გაუპატიურებაში ეჭვმიტანილი და საერთოდ ხულიგნობით განთქმული მეისონის სახელი კვლავ წამოტივტივდა საპოლიციო უწყებებში.

ორშაბათს ღამით ქალაქ ახალი ორლეანის ფრანგული ნაწილის ერთ-ერთ მიყრუებულ უბანში შემრვლაზე მყოფმა ორმა პოლიციელმა შენიშნა, რომ „ბურბონ სტრიტის“ ერთ ბნელ კუთხეში ახმახი ბიჭების საკმაოდ მრავალრიცხოვან ჯგუფს ერთი საცოდავი ქალი გამოეჭირათ და ვინ იცის, რას უპირებდნენ. წესრიგის დამცველებმა თავიანთი სამსახურეობრივი ვალის მოხდა დააპირეს და სცადეს, ხალხი გაეფანტათ, მაგრამ გვარიან წინააღმდეგობას წაწყდნენ. პოლიციელებმა ამ ბრბოში ყველაზე გამორჩეულის დაკავება და განყოფილებაში წაყვანა განიზრახეს. ამგვარი კი სწორედ ენტონი მეისონი გახლდათ. წესრიგის დამცველებმა იქნებ ვერც იცნეს ცნობილი კალათბურთელი, ამ 203-სანტიმეტრიანმა და 120-კილოგრამიანმა გიგანტმა კი ამათ დამიხედეთო და ერთ-ერთ მათგანს ისეთი სთხლიშა, მიწაზე დაანარცხა. მეორემ ცრემლსადენი გაზის გამოყენება დააპირა, მაგრამ აყალმაყალის მოთავის დაკავების ეს მცდელობაც ჩაიშალა მას შემდეგ, რაც წესრიგის დამცველებს ბრბოს მხრიდან ბოთლების და ქვების სეტყვა დაატყდა თავს. გულადი პოლიციელები იძულებულნი იყვნენ, თავიანთ განზრახვაზე დროებით მაინც აეღოთ ხელი. ისინი განყოფილებაში მიბრუნდნენ და თან რამდენიმე ჯანიანი თანამშრომელი იახლეს. მხოლოდ ამის შემდეგღა მოხერხდა ხულიგნის დაპატიმრება. განყოფილებაში გაირკვა, რომ ეს გადარეული ცნობილი კალათბურთელი ყოფილა, მაგრამ ძნელი სათქმელია, უშველის თუ არა მეისონს კალათბურთელობა და ვარსკვლავობა. შესაძლოა მას კიდევ ერთხელ დასდონ ბრალი ქალის გაუპატიურების მცდელობაში, რომ აღარაფერი ვთქვათ პოლიციელზე თავდასხმასა და დაპატიმრებისას წინააღმდეგობის გაწევაზე.



ენტონი მეისონი

მეისონს არაერთხელ ედებოდა ბრალი ხულიგნობაში, მაგრამ იგი ყოველთვის მშრალად გამოდიოდა მდგომარეობიდან. მას ზოგჯერ კალათბურთელობა შველოდა, ზოგჯერაც არასაკმარისი სამხილი.

ირაკლი ფირაზვილი

ვაუკაცსა მხარი რკინისა

დავით ბერძენიშვილს ექიმებმა ლითონი დაუტოვეს

ეს წელი ძალიან უიღბლო გამოდგა დავით ბერძენიშვილისთვის. ქართველმა კალათბურთელმა სეზონის დასაწყისშივე რთული ტრავმა მიიღო. მართალია, მერე მომჯობინდა, მაგრამ ჩვეულად ვერც თავის კლუბ „ლევიცეს“ შეეშველა სლოვაკურ ჩემპიონატში და ვერც ეროვნულ ნაკრებს დაეხმარა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე.

როგორც ყველგან, სეზონი სლოვაკეთშიც დამთავრდა და ახლა ძირითადად ისვენებენ გუნდები. წესით ბერძენიშვილიც მონატრებულ სამშობლოში უნდა ატარებდეს შვებულებას, მაგრამ თითქმის მთელი წელი რომ გაუცდა, ამის ანაზღაურებას ცდილობს და ვარჯიშს განაგრძობს. გუშინ დათო პირდაპირ დარბაზიდან გაგვესაუბრა. ის იყო, ვარჯიში დაემთავრებინა...



1999 წელი. საქართველო — იტალია. დავით ბერძენიშვილი დენის მარკონატოსა (№8) და ჯანლუკა ბაზილეს შორის

— ტრავმამ ბევრი დამაკარგინა, ფორმის აღდგენას დიდი დრო სჭირდება და ეს პერიოდი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენო. სეზონი დამთავრდა თუ არა, ქალაქ პეზინოკში გადავბარგდი, ჩემს ძველ გუნდში, „სლოვაკოფარმაში“ მივედი და ერთ-ერთ მწვრთნელს ვთხოვე, ინდივიდუალურად მომამზადე-მეთქი. კარგა ხანია, რაც საგანგებო გრაფიკით ვვარჯიშობ.

— მახსოვს, ხელმეორე ოპერაციისთვის ემზადებოდით. ამბობდით, ლითონი უნდა ამომაცალონ მხრიდანო...

— მეც ასე ვიცოდი, რომ მაისში კიდევ ერთი ოპერაცია უნდა გამეკეთებინა, მაგრამ მერე სხვაგვარად მირჩიეს ექიმებმა. ლითონი ახლაც მხარში მაქვს და იქნებ სამუდამოდაც დავიტოვო, მთავარია, ტკივილები აღარ გამიმეორდეს.

— ახლა როგორ გრძნობთ თავს, ჩანს, უკვე მოიშუშეთ ტრავმა.

— მხარი საერთოდ აღარ მაწუხებს, ხელსაც ისე ვხმარობ, როგორც უწინ. ახლა უკვე თავს ბოლომდე ვიტვირთავ, ტრავმის გამიზეზების შიშიც აღარ მაქვს.

— მაისში რატომ იუარეთ ნაკრებში ჩამოსვლა?

— ჩემი თავის იმედი არ მქონდა. მართალია, მაგ დროისათვის ადგილობრივ ჩემპიონატში უკვე ათამაშობდი, მაგრამ ნაკრებისთვის ნამდვილად არ ვიყავი მზად. პირადად ვესაუბრე გუნდის მთავარ მწვრთნელ ზურაბ ტომარაძეს და ვთხოვე, ჩემი მიწვევისგან თავი შეეკავებინა. ავუხსენი სიტუაცია და ისიც მიხვდა, რომ აზრი არ ჰქონდა ჩემს გამოძახებას. იმისთვის რომ არ ჩამოვიდოდი, რომ სკამზე დაჯდარიყავი?

— „სლოვაკოფარმას“ რატომ მიაკითხეთ, ხომ არ წამოხვედით „ლევიცედან“?

— „ლევიციში“ არ მქონდა ვარჯიშის საშუალება, კლუბს ფინანსურად გაუჭირდა და სიტუაცია აირია. მე კი სიმშვიდე მჭირდებოდა და პეზინოკშიც ამიტომ ჩამოვედი.

— „ლევიცეს“ ფინანსური კრიზისი, ალბათ, თქვენს ჯამაგირსაც დაეტყო?

— მე ყველაფერი შემისრულეს რასაც შემპირდნენ, არაფერი მაქვს სასაყვედურო.

— მაშ, ახალ სეზონსაც „ლევიცეში“ შეხვდებით...

— მასე ვფიქრობ, მსურს კიდევ ერთი წელი გავატარო „ლევიცეში“, პატარა ქალაქია, თავს მყუდროდ ვგრძნობ, თამაშიც ხშირად მომიწევს. ამბობენ, უფულობა დროებითი იყო, ყველაფერი გამოსწორდებაო. თურმე ახალი სპონსორები გამოუჩდნენ „ლევიცეს“ და ამის იმედი აქვთ. ვნახოთ, თუ კლუბის ხელმძღვანელობა ჩემს მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, სიამოვნებით გავაფორმებ „ლევიცესთან“ კიდევ ერთწლიან კონტრაქტს.

— სხვა წინადადება არ მიგიღიათ?

— „სლოვაკოფარმაც“ მთხოვს თავისთან დარჩენას, მაგრამ არ ვაპირებ. სათამაშო პრაქტიკის უქონლობას ისედაც ვუჩივი, აქ კი სათადარიგო ვიქნები. არის კიდევ რამდენიმე მიწვევა, მგრამ „ლევიცეზე“ ხელსაყრელ პირობებს არავინ მთავაზობს.

— კლუბის თავკაცები კმაყოფილნი დარჩნენ შედეგით?

— მართალია, საპრიზო ადგილი ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ ჩვენთვის არავის უთქვამს საყვედური. პირიქით, ნასიამოვნები დარჩნენ. ისიც თქვეს, ყველანაირად ვეცდებით, მომავალი სეზონისთვისაც ეს შემადგენლობა რომ შევინარჩუნოთო. ისე, კარგი შანსი გვქონდა მესამეზე გავსულიყავით, მეხუთე, გადამწყვეტ შეხვედრაში დავუთმეთ ბრინჯაო ტატრების „სვიტს“.

— საქართველოში ჩამოსვლას ვერ ახერხებთ ამ ზაფხულს?

— ძალიან კი მინდა, მაგრამ რა ვქნა, არ ესწრება. ახალი ჩემპიონატისთვის მზადებას თხუთმეტ ივლისს იწყებს „ლევიცე“, მანამდე კი კვლავაც ინდივიდუალურად ვვარჯიშობ. მსურს, სრულფასოვნად გავიარო სწვრთნელი ციკლი და ახალ სეზონსაც მომზადებული შევხვდე.

გიორგი ბიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარ კანდელაკი

ტომარაძე კანდელაკს ბასკოშიც დაიხმარებს

ქვეყნის ჩემპიონ ბათუმის „ბასკოს“ ახალწვეულებზე გუშინდელ „სარბიელშიც“ გამცნეთ. დავით უსტიაშვილი და გიორგი ნიკოლაძე უკვე ბათუმში არიან და გუშინ პირველად ივარჯიშეს ახალ კლუბში. ამროსი ორმოცაძე კი, როგორც უკვე გითხარით, ექვს ივლისს შეუერთდება „ბასკოს“.

ზღვისპირელთა მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე გუნდის გადახალისებას ეშურება და თითქმის ყველა სასურველი მოთამაშეც გადაიბირა. გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ მატება მწვრთნელთა კორპუსზეც გავრცელდა — ტომარაძემ ნუგზარ კანდელაკი მიიწვია „ბასკოში“ სამუშაოდ, რომელიც ბოლო ხანს უგუნდოდ კი იყო, მაგრამ ეროვნულ ნაკრებში სწორედ ტომარაძის თანაშემწე გახლდათ. ამიერიდან, ტომარაძე და კანდელაკი ნაკრებშიც და კლუბშიც ერთად იმუშავებენ. მთავარ მწვრთნელს კანდელაკთან ერთად ვალერი ალთაბაევიც დაეხმარება.

ნუგზარ კანდელაკს აქამდე სამ კლუბში უღვაწია. „გეორგიკაშიც“, სდასუშიც და სტუ-შიც იგი მთავარი მწვრთნელის ფუნქციებს ასრულებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერლინ ოტი სუფთაა

სხვები სასამართლოს ელიან

მერლინ ოტი

იამაიკელი სპრინტერი მერლინ ოტი მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (IAAF) საარბიტრაჟო სასამართლოს ნუსხაში მეორე იყო. კუბელი ხავიერ სოტომაიორისთვის საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამ ცხადყო, რომ ბატონი მოსამართლენი სერიოზულად იყვნენ განწყობილნი და აკრძალულ ნივთიერებათა მიღებაში ბრალდებულ სპორტსმენებს მკაცრად განსჯიდნენ. ოტის საქმე ასეთი შინაარსისა იყო: შარშან ივლისში შვეიცარიული ლიუცერნის ტურნირის შემდეგ მორბენალი შეამოწმეს და სისხლში ყველაზე ტრადიციული დოპინგის — ნანდროლონის არსებობა დაუდგინეს. ისევე როგორც ყველა გამოჭერილმა სპორტსმენმა, ოტიმაც კატეგორიულად უარყო დოპინგის განზრახ მოხმარების ფაქტი და, ალბათ ამან იკმარა, რადგან იამაიკის მძლეოსნობის ფედერაციამ სულ მალე თავისი სპორტსმენი გაამართლა. ასე სად არისო, განაცხადეს IAAF-ის ჩინოსნებმა, საბუთები საკმარისად გვაქვს და თქვენი გამართლება იოტისოდენადაც ვერ მოსწმენდს ოტის ნამუსსო. საქმე საერთაშორისო ინსტანციაში გადავიდა, სამიოდე თვის წინ იყო ეს ამბავი და, იქიდან მოყოლებული არავითარი კონკრეტული რამ არ გამხდარა ცნობილი. მხოლოდ გუშინწინ, მონაკოში შედგა ოტის საქმის საბოლოო განხილვა და იამაიკელის სასიხარულოდ, ვერდიქტი დადებითი გამოდგა. „არ გვაქვს საფუძველი, მორბენალს შეეჯიბრებებზე რბენა ავუკრძალოთ“ — ნათქვამია საარბიტრაჟო სასამართლოს დასკვნაში და ოტიმ, წესით, სიდნეის ოლიმპიადისთვის მზადებას უნდა მიჰყოს ხელი, ვინ იცის, იქნებ იქ მერვე ოლიმპიური ოქრო ელის. 40 წლის მორბენალი მძლეოსნობაში მოხვეჭილი ჯილდოებით ბარე ორს ავჯობებს. შვიდი ოლიმპიური ოქრო ხომ აღვნიშნეთ და ოთხი იმდენი ნაირ-ნაირ ჩემპიონატებზეც (მსოფლიოსი და სხვა) მოუგროვებია, უთვალავი ტურნირის მოგებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

მონაკოში კი განსჯა გრძელდება. ოტის საქმის დასრულებისთანავე IAAF-ის სპოუკსმენმა (ბრალმდებელმა) ჯორჯო რაინერიმ განაცხადა, რომ ინგლისელი ათლეტების — ლინფორდ კრისტის, დუგ უოლკერისა და გერი კედოგანის საქმეები სამი კვირით მაინც გადაიდო. პირველი 100 მეტრზე რბენაში ოლიმპიური ექაჩემპიონია, მეორე 200 მეტრზე ევროპირველობის გამარჯვებული, მესამე კი 400 მეტრზე თარჯრბენის სპეციალისტი გახლავთ. სასამართლოს არც ერთი მათგანის თაობაზე ამომწურავი ინფორმაცია ჯერაც არ მიუღია.

დავით გულუა



ზაგრებში ალენ ჯონსონის (შუაში) დამწევი არავინ იყო

ალენი გვარზე ხტის და დარბის

ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებს ჩავიდა რომში „ოქროს ლიგაზე“ ნაასპარეზები მძლეოსნების ნაწილი და, ახლა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (IAAF) გრან პრის მეორე ეტაპზე შეუდგა ძალთა მოსინჯვას. თავის სიძლიერეში გუშინწინ ყველაზე მეტად ამერიკელი ალენ ჯონსონი დარწმუნდებოდა. ჯონსონების მორბენალთა საგვარეულოს ეს წარმომადგენელი 110 მეტრზე თარჯრბენს ამჯობინებს და წინათ ოლიმპიური ჩემპიონიც ყოფილა. შემდეგ ტრავმის გამო იგი მძლეოსნობიდან ერთხანს გაუჩინარდა და ახლახან დაბრუნებულმა კვლავ მსოფლიო ლიდერობისკენ იწყო სწრაფი სვლა. ჯერ იყო „ოქროს ლიგის“ ეტაპის მოგება, შაბათს კი ზაგრების გრან-პრი და სეზონის რეკორდი. ჯონსონის შედეგი 13 წამი და ერთი მეათედია, რაც ცხრამეტი შეასედით ჭარბობს ლატვიელი სტანისლავ ოლიარსის შედეგს. მესამე ადგილზე 13,40 წამით კუბელი ჟოელ ერნანდესი გავიდა.

ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ გეილ დივერსს კი ზაგრებში ორმაგი გაწბილება ელოდა, ვერც ჩვეულებრივი ასმეტრიანი მოიგო და ვერც თარჯრბენი. ორივეგან მეორე იყო და მაინც, 100 მეტრიანი დ ისტანციის წაგება უფრო საწყენად დაურჩა: ბაჰამის კუნძულელი ჩანდრა სტარაპისგან მისი გასწრება მხოლოდ ფოტოფინიშმა შენიშნა.

400 მეტრზე რბენა ამერიკელმა ერიკ ტომასმა მოიგო, იგივე მანძილზე თარჯრბენში კუბელი დაიმი პერნიას ტოლი ვერ მოიძებნა. კაცთა ას და ორასმეტრიანი რბენები ბარბადოსელი ობადელე ტომპსონის გამარჯვებით დასრულდა, სხვა დისციპლინებში კი საკმაოდ უჩინო ხალხმა იმარჯვა, არა იმიტომ, რომ სენსაციები მოხდა, არამედ ელიტის მეტი წილის არყოფნის გამო. ათ გვარ-სახელებს სტატისტიკურ მოსაზრებათა გამო მაინც ჩამოვთვლით: სვეტლანა პოსპელოვა (რუსეთი, 400მ), გრეგ ჰოუტონი (იამაიკა, 400მ), ვასილი სიდორენკო (რუსეთი, უროს ტყორცნა), ონოჩი აჩიკე (დიდი ბრიტანეთი, სამხტომი), ოლიდეს მენენდესი (კუბა, შუბის ტყორცნა), კვაკუ ბოატენგი (კანადა, სიმაღლეზე ხტომა), ინგა ბაბაკოვა (უკრაინა, სიმაღლეზე ხტომა).

დავით გულუა

ტიფოზები ემილიანო ბრემბილამ ანუგეშა

იანა კლოჩკოვა

REUTERS ჰელსინკიდან

ემილიანო ბრემბილა

ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ფინალში წაგებით ნირწამხდარ იტალიელთა გუნების გამოკეთება სცადა მათმა თანამემამულე ემილიანო ბრემბილამ. მან ჰელსინკში მიმდინარე საწყლოსნო სახეობათა წარმომადგენლების კონტინენტის პირველობაზე მაკლანრინის ახალი საცურაო ცენტრის 50-მეტრიან აუზში 400 მეტრზე თავისუფალ სტილით ცურვაში საჩემპიონო შედეგით (3.48,56) დაიბრუნა შარშან, ოლიმპიური თამაშების ვერცხლისმედალოსან პოლ პალმერთან პაექრობაში დაკარგული ტიტული.

ბედნიერი ვარ, რომ სტამბოლის ევროპის ჩემპიონატზე დაკარგული „ოქრო“ დავიბრუნეო, სიხარულს ვერ ფარავდა 1997 წლის ევროპის ჩემპიონი 400 და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ემილიანო ბრემბილა.

საინტერესოა, რომ პალმერმა ბევრი სხვა სპორტსმენის მსგავსად სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება შეწყვიტა, რათა ჰელსინკში ეასპარეზა, თუმცა მხოლოდ „ბრინჯაოს“ გამორჩა (3.50,97).

— ჩვეულებისამებრ მე უკეთ ვცურავ ხოლმე, ახლა კი ეს ასე არ მოხდა, რომ ვერ გავიმარჯვებდი, ეს მაშინ ვიგრძენი, როდესაც ბოლო „წრეზე“ მივცურავდი. ჩემი წარუმატებლობის მიზეზი ალბათ ისაა, რომ მხოლოდ ათი დღე დავისვენე მაშინ, როდესაც ამისთვის ერთი თვე მჭირდება. — თავი იმართლა პალმერმა, რომელიც რუმინელ დრაგოს კომანისაც (3.48,69) ჩამორჩა.

ევროპის ჩემპიონატზე სინქრონულად მოცურავე რუსი გოგოების ოქროს მონაგარი გაზარდეს მათმა თანამემამულე ვაჟებმა. ეს შესძლო 4X100 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავე დენის პიმანკოვის, დმიტრი ჩერნიშევის, ანდრეი კარალოვისა და ალექსანდრე პოპოვის „კვარტეტმა“ (3.18,75). მან უკან მოიტოვა გერმანელთა (3.19,16) და ფრანგთა (3.20,37) ოთხეული.

ამ წარმატებით რუსებმა შარშან ყველაფრის მომგებ ჰოლანდიელებთან დაკარგული ჩემპიონობა დაიბრუნეს.

მართლაც, შარშანდელი სტამბოლის ევროპის ჩემპიონატი უხვმოსავლიანი გამოდგა ჰოლანდიელებისთვის, რომელთა წარმატებების მთავარი სულისჩამდგმელი იყო პიტერ ვან დენ ჰუუგენბანდი, ვინც ექვსგზის იზეიმა გამარჯვება მაშინ, როდესაც ოლიმპიურმა ჩემპიონმა ალექსანდრე პოპოვმა 50 და 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში პირველობა დათმო.

— ეს ჩემპიონატი ოლიმპიური ციკლის პროგრამაში მთავარი არ არის. მე ჩემი გეგმები მაქვს. მნიშვნელობა არა აქვს მოვიგებ თუ წავაგებ. მე ჩემი სამუშაო მაქვს გასაკეთებელი — განაცხადა პოპოვმა პრესკონფერენციაზე.

სხვათა შორის, იგივე აზრისაა ჰოლანდიელი ჰუუგენბანდიც, რომლისთვისაც მთავარი საზრუნავი ახლა სიდნეიში წარმატებით გამოსვლაა.

— მინდა, რომ სიდნეიში რაც შეიძლება სწრაფად ვიცურაო. თუ აქ გავცურავ სწრაფად, ესე იგი სიდნეისთვის ჩემს მომზადებაში რაღაც არასწორად მიდის საქმე — თქვა ჰოლანდიელმა, რომელმაც 4X100 მეტრზე ჩემპიონის ტიტულის დასაცავად მონაწილეობა არ მიიღო, სამაგიეროდ 50 მეტრზე ბატერფლაით ფინალში გავიდა, თუმცა იქ ხეირიანი არაფერი გაუკეთებია, რადგან მეხუთე ადგილზე გავიდა (24,22), მაგრამ ეს მისთვის ალბათ ნუგეში უფროა, ვიდრე პესიმიზმის საფუძველი.

გუშინდელი დღე ბედნიერი გამოდგა მასპინძლებისთვის. მათმა თანამემამულე იერე ჰარდმა თავის ქვეყანას პირველი „ოქრო“ მოუტანა, როდესაც 50 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში საჩემპიონო დრო აჩვენა (23,88). მეორე ადგილზე გავიდა შვედი ლარს ფროლანდერი (23,96), ხოლო მესამეზე ბრიტანელი მარკ ფოსტერი (24,02).

საინტერესოა, რომ ფროლანდერს და ფოსტერს შარშან იმავე ჩემპიონატზე საზიარო მესამე ადგილიც დაუკავებიათ.

შვედმა ქალთევზებმა ტერეზა ალსამარმა, იოანა სიობერგმა, ანა-კარინ კამერლინგმა და ლუის იონკემ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ოქროს მედლების ერთ-ერთი რეალური კანდიდატები არიან სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის 4X100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. სკანდინავიელთა ოთხეულმა საკმაოდ დამაჯერებლად სძლია (3.42,38) იტალიელ (3.45,31) და ბელგიელ (3.46,42) მეტოქეებს, რითაც უფრო განიმტკიცა პოზიციები.

400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში დამაჯერებლად გაიმარჯვა 17 წლის უკრაინელმა იანა კლოჩკოვამ. მან უპრობლემოდ შეინარჩუნა ევროპის ჩემპიონის ტიტული, როდესაც ფინიშთან პირველი მიიჭრა (4.39,78) და ზედიზედ მეორედ დაამარცხა რუმინელი ბეატრის კასლარუ (4.41,64).

კასლარუმ, ისე როგორც შარშანდელ ჩემპიონატში, ვერცხლის მედალი მოიპოვა, მესამეზე კი ბელგიელი ისელტ გერვი გავიდა (4.46,15).

* * *

წყალში ხტომაში რუსმა ვერა ილინამ 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ასპარეზობაში ზედიზედ მეოთხედ არავის დაუთმო პირველობა. აქამდე მას ასეთი წარმატებისთვის 1995, 1997 და 1999 წლების ევროპის ჩემპიონატებზე მიუღწევია, მანამდე კი (1993 წელს) „ბრინჯაოც“ დაუმსახურებია.

გამობრძმედილმა ილინამ (275.28) თავის მეტოქეებს გერმანელ ჰეიკე ფიშერსა (256.83) და თანამემამულე ნატალია უმისკოვას (252.00) იოლად სძლია.

ვაჟებში 3-მეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომაში 331.98 ქულით გაიმარჯვა გერმანელმა ტობიას შელენბერგისა და ანდრეას ველსის წყვილმა.

— ბედნიერები ვართ. ჩვენ წლის დასაწყისიდან გამოვდივართ ერთად. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ სამჯერ ვიასპარეზეთ ერთად. მიუხედავად ამისა, ასეთ წარმატებას სწრაფად მივაღწიეთ — თქვა ველსმა.

გერმანელებს 3.42 ქულით ჩამორჩა რუსთა „დუეტი“ დმიტრი საუტინისა და ალექსანდრ დობროსკოვის შემადგენლობით (328.56), მესამეზე კი ესპანელები ხოსე მიგუელ გილი და რაფაელ ალვარესი გავიდნენ (293.46).

გიგა გურასაშვილი

წაიქცა, ადგა, გაიქცა...

„ტურ დე ფრანსის“ მესამე ეტაპიც მეორეს მსგავსად ჯგუფური სპრინტით დასრულდა და ისევ ბელგიელმა ტომ სტეელსმა იმარჯვა. ფინიშამდე 1500 მეტრით ადრე კი ყვითელმაისურიანი დევიდ მილარი წაიქცა და კინაღამ საერთო ჩათვლის ლიდერობაც დაკარგა. „თითქმის არაფერი მტკენია, მაგრამ ძალიან ავღელდი და ჯაჭვის გასწორებას ვეღარ ვახერხებდი. როცა გზა გავაგრძელე, პელოტონი უკვე შორს იყო. ჩემი დაცემა არავის დაუნახავს სპორტული დირექტორის გარდა, რომელიც რაციაში ყვიროდა: „დევიდ წაიქცა, დევიდ წაიქცა“. გვარიანი შიში ვჭამე, რადგან ყვითელი მაისურას დაკარგვა არ მინდოდა“ — თქვა შოტლანდიელმა, რომელსაც გაუმართლა, რომ მეორე ადგილზე მყოფმა ლენს არმსტრონგმა ეტაპი პელოტონის უკანა ნაწილში მასთან ერთად დასრულა. პელოტონის პირველმა ნახევარმა კი ფრანგი ალან პატრიკ ნაზონის წაქცევით იხეირა და დანარჩენებს 9 წამი მოუგო.

ნაზონი მილარის წაქცევამდე რამდენიმე წამით ადრე შვეიცარიელ მარკუს ზბერგს შეეჯახა და მათი დაცემის გამო გაიხლიჩა კიდეც პელოტონი. ამ ორმა უიღბლომ ფინიშს სამი წუთით გვიან უწია, მაგრამ ნაზონი გააგრძელებს თუ არა ტურნირს, საკითხავია.

„ამაზე უკეთეს დასაწყისს ვერც ვინატრებდი. ყველაფერი კარგადაა, გუნდი ჩინებულად მუშაობს“ — თქვა სტეელსმა, რომელსაც მადა გაეხსნა და კიდევ რამდენიმე ეტაპის მოგებაზე და ქულებით საუკეთესობაზე ოცნებობს. მწვანე მაისურას (ქულების ჩათვლაში ლიდერი) ზედიზედ ოთხჯერ (1996-99 წლებში) მომგები გერმანელი ერიკ ზაბელი კვლავ მესამე იყო და ძალიანაც ეწყინა, რადგან 1997 წლის შემდეგ ერთი ეტაპიც კი ვერ მოიგო.

დღის მთავარი შეტევა გერმანულ-დანიური დუეტის ანგარიშზეა. იენს ვოიგტმა (კრედი აგრიკოლი) და მიკაელ ბლაუდზუნმა (მემორი კარდი) 124 კილომეტრი ირბოლეს პელოტონის წინ. მათმა უპირატესობამ ოთხ წუთსაც გადააჭარბა, მაგრამ ფინიშამდე 10 კმ-ით ადრე დაიღალნენ და დანებდნენ.

გაიოზ თალაძვაძე

მესამე ეტაპი

ლუდენი — ნანტი, 161,5 კმ

1. ტომ სტეელსი (ბელგია, მაპეი) — 3სთ 37წთ 51წმ
2. მარსელ ვუსტი (გერმანია, ფესტინა)
3. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი)
4. იანს კოერტსი (ჰოლანდია, ფრამ ფრაიტსი)
5. სტიუარტ ოგრედი (ავსტრალია, კრედი აგრიკოლი) — ყველას იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1. დევიდ მილარი (დიდი ბრიტანეთი, კოფიდისი) — 8სთ 43წთ 09წმ
2. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) — +4წმ
3. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ონსე) — +6
4. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) — +7
5. დავიდ კანადა (ესპანეთი, ონსე) — +18

REUTERS ნანტიდან

თქვენს გზას გაუმარჯოს, ბიჭებო! ნანტელებსაც ჰყვარებიათ გზაზე სუფრის გადაფენა

ტურ დე ფრანსის ბუღალტერია

200 მილიონიდან ჭიქა შამპანურამდე

მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება, თუ საიდან ივსებენ სალაროს „ტურ დე ფრანსის“ ორგანიზატორებს ფული და როგორ უნაწილებენ მას მრბოლებს. მაშ, ასე.

200 მილიონი ფრანკი (დაახლოებით 54 მილიონი ლარი) არის „ტურის“ ბიუჯეტი, რომელიც სპონსორებისგან, მასპინძელი ქალაქებისგან, ტელევიზიისგან და „ტურის“ სარეკლამო ქარავნისგან შესული თანხებით გროვდება. ტრადიციულად „ტურს“ საფრანგეთის გზებზე მხოლოდ მრბოლები არ მიჰყავს. მის მიმდინარეობას დაახლოებით 15 მილიონი კაცი უშუალოდ ესწრება, 400 მილიონიც ტელევიზიის საშუალებით ადევნებს თვალს პელოტონს თავისი 22 უმსხვილესი სპონსორის რეკლამებიანად.

„ტურის“ სპონსორები სამ ჯგუფად იყოფიან. „კოკა კოლა“, „კრედი ლიონე“, „ფიატი“ და „შამიონი“ უპირველესნი არიან, ისინი 19-22 მილიონ ფრანკს ხარჯავენ, სამაგიეროდ, მათი უშველებელი რეკლამები ყველაზე სტრატეგიულ ადგილებშია (სტარტი, ფინიში, მთების უმაღლესი წერტილები) გამოკიდული. ამ დიდი ოთხეულის შემდეგ „ოფიციალური პარტნიორები“ (AGF, ასტრა, ფესტინა, ნაიკი...) მოდიან. მათი გამოჩენის სიხშირე ისევე ნაკლებია, როგორც მათ მიერ გაღებული თანხა (5-8 მილიონი ფრანკი). მესამე ჯგუფში კი „ოფიციალური მიმწოდებლები“ შედიან, რომლებსაც მხოლოდ „ტურის“ სახელის გამოყენება და მის მიმდინარეობისას „ტურის“გაჩერების ადგილებში კლიენტთა მიღება შეუძლიათ.

ამ მილიონებს სარეკლამო ქარავნის მოგება ემატება. უამრავი ფირმა მიჰყვება „ტურის“ პელოტონს და თავისი ნაწარმის რეკლამას ეწევა გზებზე შეფენილ მაყურებლებში, რაშიც გარკვეულ თანხას იხდის. ტელევიზიებისგან დაახლოებით 50 მილიონი შესდის „ტურ დე ფრანსს“, რომელსაც ოლიმპიური თამაშებისა და ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატების შემდეგ ყველაზე რიცხვმრავალი ტელეაუდიტორია ჰყავს. დაბოლოს, მასპინძელი ქალაქებიც დებენ ფულს. თუ გინდა, ფინიში და მეორე დილით სტარტი შენს ქალაქში მოეწყოს, ამისთვის 750 ათასი ფრანკი უნდა გაიმეტო. მხოლოდ ფინიში ან სტარტი კი 300 ათასი ღირს.

ასე მოგროვებული 200 მილიონიდან ორგანიზატორები 15 მილიონს სხვადასხვა პრიზების (325) სახით მრბოლებს უნაწილებენ. ყველაზე დიდი გასამრჯელო 2,2 მილიონია, უმცირესი კი — 500 ფრანკი (ამ ფულად „მულენრუჟში“ ჭიქა შამპანურს დალევ). საბოლოო ჩათვლაში გამარჯვებული პირველი სამი მრბოლი, შესაბამისად, 2,2 მილიონ, 1,1 მილიონ და 600 ათას ფრანკს ჩაიჯიბავს. საუკეთესო სპრინტერი და საუკეთესო მთიელი 150-150 ათასს მიიღებენ. თითოეული ეტაპის მოგებისთვის პრიზი 50 ათასი ფრანკია, ყველაზე აქტიურს 10 ათასით დააჯილდოვებენ, საუკეთესო ახალგაზრდას კი — 3 ათასით.

და კიდევ უამრავი პრიზია, რომელთა ჩამოთვლასაც ერთი საგაზეთო გვერდი დასჭირდება. ასე რომ, ივლისის დასასრულს „ტურში“ მონაწილე მრბოლების ჯიბეები საკმაოდ გასქელდება.

გაგი გურული

ცოტაოდენი გეოგრაფია და ისტორია

არც მთლად სახმელეთო და არც მთლად საზღვაო, იგი ნამდვილი სირინოზია, ამბობენ ფრანგები ნანტის შესახებ. ჟიულ ვერნის შშობლიური ქალაქი მდინარე ლუარისა და ატლანტიკის ოკეანის შესართავთანაა გაშენებული და ლუარის დეპარნამეტის ადმინისტრაციული ცენტრიცაა. აქ კარგადაა განვითარებული გემთ და ავიამშენებლობა, მეტალურგია, ნავთობგადამუშავება, ქიმიური და კვების მრეწველობა. ნანტს აქვს მშვენიერი უნივერსიტეტი, რომელიც მისი დამბობილებული ქალაქის — თბილისის უნივერსიტეტთან მჭიდროდ თანამშრომლობს. ნანტშია მთელ საფრანგეთში ტრამვაის უდიდესი ქსელი. ქვეყნის ისტორიაში ცნობილია „ნანტის ედიქტი“, რომელსაც 1598 წლის 13 აპრილს მოაწერა ხელი ბურბონთა დინასტიის ფუძემდებელმა მეფე ანრი IV-მ. ამ ედიქტით ბოლო მოეღო რელიგიურ ომებს — საფრანგეთში გაბატონებულ რელიგიად კათოლიკობა რჩებოდა, მაგრამ ჰუგენოტებსაც ეძლეოდათ რწმენისა და ღვთისმსახურების თავისუფლება (ოღონდ პარიზისა და სხვა რამდენიმე ქალაქის გარდა).

ერთი დღის ისტორია

4 ივლისი

1952 წლის 4 ივლისს მილუზი-ლოზანას ეტაპი გაიმართა. მაშინდელი „ტურის“ მთავარი ვარსკვლავი, იტალიელი ფაუსტო კოპი არასასიამოვნო სიურპრიზებისგან დაზღვეული იყო, რადგან მისი გრეგარები — კარეა, მილანო და პები პელოტონს კარგად აკონტროლებდნენ. შეტევები მრავლად განხორციელდა, თუმცა გაქცეულთაგან იტალიელი არც ერთი იყო. ამით შეწუხებულმა კარეამ თავის ლიდერს შეტევისკენ მოეწოდა, მაგრამ კოპი მეტად მშვიდად იყო. მაშინ კარეამ გადაწყვიტა, თავად აეღო ხელში ინიციატივა და რამდენიმეკაციან იერიშში ჩაერთო. ლტოლვილებს გაუმართლათ და ფინიშთან პელოტონს მიასწრეს კიდეც. ეტაპი დიგელმანმა მოიგო. სასტუმროში მისულ კარეას კი ცოტა ხანში პოლიციელები დაადგნენ თავს. „პოლიცია? რა დავაშავე?“ — განცვიფრდა იტალიელი. „არაფერი. უბრალოდ გვიბრძანეს, ფინიშს ხაზთან დაგაბრუნოთ, რადგან ყვითელი მაისურა მოიპოვეთ“ — უპასუხეს წესრიგის დამცველებმა. კარეას თვალში ცრემლი ჩაუდგა, იგი ხომ მხოლოდ კოპის გრეგარია, საერთო ჩათვლაში პირველობა არ შეუძლია. რას იფიქრებდა მისი ლიდერი? კოპი კი თავისი დამხმარის წარმატებით უზომოდ ბედნიერი ჩანდა და მეორე დილით, სტარტის წინ, აქაოდა ახლა მე უნდა გემსახურო, ფეხსაცმელი გაუწმინდა. ის „ტური“ კი საბოლოოდ მაინც კოპიმ მოიგო.

ველოლექსიკონი

ბორბალში ჩაჯდომა — როცა ერთი მრბოლი მეორეს ზუსტად უკან მიჰყვება, ამით ჰაერის წინაღობას ამცირებს და შესაბამისად ნაკლებ ენერგიასაც ხარჯავს

გამოძანება — საფინიშო სპრინტის დროს თანაგუნდელები პეპელას ბორბალში ჩაისვამენ, სიჩქარეს ააკრეფინებენ და რიგრიგობით ჩამოეცლებიან გზიდან

გაქცევა — როცა რომელიმე მრბოლი ან მრბოლთა ჯგუფი პელოტონს გამოეყოფა და დაწინაურდება

გრეგარი — მრბოლი, რომელიც თანაგუნდელების (ნამდვილისა და პეპლის) დამხმარეა

გუნდური რბოლა — როცა თითოეული გუნდი სტარტზე ცალკე გამოდის და ეტაპის გზასაც მარტო გადის

ინდივიდუალისტი — მრბოლი, რომელიც ინდივიდუალურ რბოლაშია ძლიერი

ინდივიდუალური რბოლა — როცა თითოეული მრბოლი სტარტზე ცალკე გამოდის და ეტაპის გზასაც მარტო გადის

მთიელი — მრბოლი, რომელიც აღმართებშია ძლიერი

ნამდვილი — მრბოლი, რომელიც გუნდის ლიდერი და მრავალდღიანი ტურნირების მოგების შემძლეა. იგი ან მთიელია და ან ინდივიდუალისტი

პელოტონი — ამა თუ იმ ტურნირში მონაწილე მრბოლთა ერთობლიობა

სიჩქელე — აღმართი, მთა, რომელიც პელოტონმა უნდა გაიაროს. მთები შეიძლება იყოს სხვადასხვა კატეგორიის (მეოთხე, მესამე, მეორე, პირველი, უმაღლესი) სირთულის

სპრინტერი, პეპელა — მრბოლი, რომელიც საფინიშო ჯგუფური სპრინტის მოგებისთვის იბრძვის

შეტევა, იერიში — როცა რომელიმე მრბოლი ან მრბოლთა ჯგუფი უეცრად სიჩქარეს გაზრდის გაქცევის მიზნით

დათვი თბილისშიც მეშვიდე დარჩა

	თბილისი 3 ივლისი

ლიკვიდაციის-1 16:10 (6:5) დათვები

ლოკომოტივი t: ჩადუნელი, ჯაველიძე (ბერიაშვილი, თოფურიძე), ჭელიძე, ბურდული (ხუადე), კახიანი, სუჯაშვილი, გიორგაძე, უდესიანი, სარიშვილი, იოვაძე, გუგავა (მათიაშვილი), ალანია, ბუგიანიშვილი, ძნელაძე, ასათიანი

2ლ — ბუგიანიშვილი, ასათიანი

2ს — ძნელაძე

დათვები: აშვეთია, გურეშიძე (ღლონტი), ფირცხალავა, ჩირგაძე, რეხვიაშვილი (აბაშიძე), გოგისვანიძე (ფხაკაძე), სვანიძე, აბდალაძე, ტყაბლაძე, მაჩიტიძე, ხონელიძე, ჯანაშია (ჩხარტიშვილი) ე. ძაგნიძე, სვინტრაძე, ჩუბინიძე

2ლ — ხონელიძე, ჯგუფური

მსაჯი: ლ. მგელაძე

მეთვალყურე: გ. აბაშიძე

ეს მატჩი ქართულ სარაგბო თემში დიდ ინტერესს იწვევდა — პირველობისთვის მებრძოლი, ჯერაც დაუმარცხებელი „ლოკომოტივი 1“ შარშანდელ ჩემპიონს, ბათუმის „დათვებს“ მასპინძლობდა. ამ გუნდების პაექრობა პირველ წრეში, ბათუმში, სტუმართა გამარჯვებით დასრულდა. მატჩი ძალიან პრინციპული გახლდათ: რკინიგზელები გამარჯვების შემთხვევაში, ფაქტობრივად, ჩემპიონობის რეალური კანდიდატები ხდებოდნენ და პლეი ოფში მეოთხეადგილოსან, მათზე გაცილებით სუსტ მეტოქეს დაუპირისპირდებოდნენ. მოგეხსენებათ, ამ გუნდების თითქმის ყველა ორთაბრძოლა დაძაბულობით გამოირჩევა, მაგრამ ახლა, უნდა ითქვას, მობურთალებს არც მსაჯისთვის და არც ერთმანეთისთვის არაფერი უკადრებიათ. თუმცა მოედანზე ერთმანეთი არ დაზოგეს.

რკინიგზელებს დისკვალიფიცირებული ლიდერები — კვინიხიძე და მოგელაძე აკლდათ, მაგრამ მათი არყოფნა

ბაგრი ალთელიძის ფოტო

ერთი დათვი სამ რკინიგზელთან ვერას გახდა

შესამჩნევად არც დასტყობიათ. საფრანგეთიდან დროებით მობრუნებული იოვაძე ჩინებულად უძღვებოდა მასპინძელთა იერიშებს. აი, ბათუმურ კლუბში კი თაობათა ცვლა ძალიან მტკივნეულად მიმდინარეობს. შარშანდელი შემადგენლობიდან შემორჩენილი გუნდის ლიდერები სათანადოდ ნამდვილად ვერ ირჯებიან, ახალბედებს კი ოსტატობა და გამოცდილება აკლიათ.

თავიდან „ლოკომოტივმა“ შეუტია. „დათვები“ საიმედოდ იცავდნენ თავს, მაგრამ მეტოქემ ნელ-ნელა, მეთოდურად გაამლიერა იერიშები და სტუმართა სალელოე მოედანს მიუახლოვდა. მართალია, მატჩის პირველ ნახევარში რკინიგზელებმა ვერ შეძლეს ლელოს გატანა, მაგრამ მათი გარჯა მეორე ტაიმში დაფასდა, მანამდე კი ძნელაძემ საჯარიმო დარტყმიდან ანგარიში გახსნა. დაწინაურებულმა მასპინძლებმა კვლავ შეუტიეს, ბათუმელთა სალელოე მოედანთან პატარა შტურმიც მოაწყვეს, მაგრამ სტუმართა მცველებმა დაძაბულობა განმუხტეს და შეტევისთვისაც მოიცალეს. „დათვებმა“ ძირითადი აქცენტი შერკინებაზე გადაიტანეს, რამაც შედეგიც გამოიღო. სწორედ მორკინალთა ძალისხმევის შემდეგ დალაშქრა ხონელიძემ „ლოკომოტივის“ სალელოე მოედანი. უმცროსმა ძაგნიძემ ვერ გარდასახა, საერთოდ, იგი ამ დღეს თავის თავს არ ჰგავდა. ძაგნიძემ ამის შემდეგაც მეტად ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ შეძლო ოვალური ბურთის ძელებს შორის გატარება. სამაგიეროდ, მისმა „ლოკომოტიველმა“ ძნელაძემ ტაიმის მიწურულს კვლავ ივარგა და პირველი ტაიმი 6:5 დასრულდა.

მართალია, პირველ ორმოცწუთეულში „ლოკომოტივის“ უპირატესობა მინიმალური იყო, მაგრამ სწორედ ამ მონაკვეთში აღმოაჩინეს რკინიგზელებმა მოწინააღმდეგის დაცვის სუსტი წერტილები და შესვენების შემდეგ ზედიზედ ორი ლელო გაიტანეს, ორივე მარჯვენა ფლანგიდან: ჯერ ბუგიანიშვილი რამდენიმე მეტოქეს დაუსხლტა და ბურთი მშვიდად დადო ზღვისპირელთა სალელოე მოედანში, მერე კი მან ასათიანს გაუწია ასისტენტობა, რომელმაც თანაგუნდელს გარჯა დაუფასა და ანგარიშში სხვაობა გაზარდა. სტუმრებმა რკინიგზელებს მხოლოდ ერთი ლელოთი უპასუხეს და მატჩის გადარჩენის შანსიც მიეცათ, მაგრამ მეორე ტაიმის ბოლო წუთზე შეტევაში დაჯარიმდნენ და ბურთთან ერთად მატჩის გადარჩენის შესაძლებლობაც დაკარგეს.

არმია ფრანგებით გაძლიერდა

	თბილისი 3 ივლისი

ასკ 25:10 (8:7) უნივერსიტეტი

ასკ: მაგრაქველიძე, ხუჯაშვილი, ქავთარაძე (ბალაჩივაძე), ჭელიძე, მათიაშვილი, სვანიძე, ცხადაძე (მისურაძე), უჩავა, აბუსერიძე, ძამიაშვილი, კოდუა (ზაქარიაძე), კაპანაძე, ხეხელაშვილი, კიკნაძე, აბაშიძე

3 ლ — მაგრაქველიძე, ხეხელაშვილი, კიკნაძე

2 გ — უჩავა 2 ა — აბაშიძე, ძამიაშვილი

უნივერსიტეტი: ჯანუაშვილი (ალიბეგაშვილი), კუთარაშვილი, წიკლური, გუჯარაიძე (მუავანაძე), ჯალაღონია (ჩქარეული), მჭედლიშვილი, გუნდიშვილი, ქირიკაშვილი, ჭუმბურიძე (დანელია), მოდებაძე, ჯაში (კობახიძე), ბოლლაშვილი, ბარამიძე, ო. ელოშვილი, ჯაგრიშვილი

1 ლ — ჯაში

1 გ — მოდებაძე; ს — მოდებაძე

მსაჯი: ნ. რობიტაშვილი

მეთვალყურე: გ. აბაშიძე

მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა. ფაქტია, რომ არმიელებიც და სტუდენტებიც მეოთხე ადგილისთვის იბრძვიან და სწორედ მათ შორის გამარჯვებული დაეუფლება პლეი ოფის საგზურს. ასკ-მა ჩემპიონატში მხოლოდ ერთხელ იმარჯვა და სწორედ „უნივერსიტეტთან“, ხოლო სტუდენტებს სატურნირო გრაფაში ამ მატჩამდე ნული ქულა ეწერათ. ტრადიცია არც ამ მატჩში დარღვეულა.

პირველი ტაიმის დასაწყისშივე ნათელი გახდა, რომ არმიელები მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებდნენ. ასკ-ს ძირითადში საფრანგეთში მოთამაშე საქართველოს ეროვნული ნაკრების მორაგბეები ხეხელაშვილი, აბაშიძე, აბუსერიძე, მაგრაქველიძე გამოჩნდნენ. სწორედ ამ ოთხეულის ძალისხმევის შედეგად მიაღწია არმიულმა კლუბმა გამარჯვებას. თავდაპირველად მასპინძლები დაწინაურდნენ. მაგრაქველიძემ ძალისმიერ ორთაბრძოლაში რამდენიმე მოწინააღმდეგე დაჩაგრა და ბურთი „უნივერსიტეტის“ სალელოე მოედანში დადო. უჩავამ ვერ გარდასახა. ამის შემდეგ არმიელების უპირატესობა გამოიკვეთა, მაგრამ იერიშების შედეგიანად დასრულებას ვერ ახერხებდნენ. სამაგიეროდ, სტუდენტებმა გამოიდეს თავი და მათი ერთ-ერთი იშვიათი შეტევა „უნივერსიტეტის“ გარემარბმა ჯაშმა ლელოთი დაგვირგვინა. უჩავასგან განსხვავებით, მოდებაძემ შეძლო ბურთის ძელებს შორის გატარება და თავისიანები დააწინაურა. ახლა უკვე ასკ გააქტიურდა. შერკინება მძლავრად მიაწვა მეტოქეს, მაგრამ „უნივერსიტეტის“ დაცვა შეუვალი აღმოჩნდა. მიწოლით რომ არაფერი გამოვიდა, აბაშიძემ არეკნით სცადა შედეგის მიღწევა და ეს მშვენივრად გამოუვიდა — 8:7. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

მატჩის მეორე ორმოცწუთეული „უნივერსიტეტის“ იერიშებით დაიწყო. ერთ-ერთი შეტევისას არმიელები დაჯარიმდნენ და მოდებაძემ საკმაოდ რთული პოზიციიდან ზუსტად შეასრულა საჯარიმო. მასპინძლებმა მდევრის როლში თავი ვერ იგუეს და მეტოქეს უკანმოუხედავად შეუტიეს. სტუმრები რის ვაი-ვაგლახით იგერიებდნენ იერიშებს, ლელო მწიფდებოდა და გავიდა კიდეც. აბაშიძემ და ხეხელაშვილმა სარაგბო გაკვეთილი ჩაუტარეს სტუდენტებს, მათ მშვენივრად გაითამაშეს კომბინაცია და ტრიბუნაზე მსხდომთ მშვენიერი სანახაობა აჩუქეს. ამის შემდეგ ასკ საგრძნობ უპირატესობას დაეუფლა და მატჩის ბოლომდე ხელიდან აღარც გაუშვია. ეგ იყო, არმიელები ახლოს იყვნენ პრემიალური ქულის მოპოვებასთან, მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, მხოლოდ გამარჯვებას დასჯერდნენ.

ბაჩო სვანიძე

ამაგდარის ხსოვნაც ზრდის

ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე დასრულდა სოლომონ თუხარელის ხსოვნისადმი მიძღვნილი მესამე რესპუბლიკური მემორიალი. ამაგდარი მწვრთნელის სახელობის ტურნირში ობიექტური მიზეზების გამო რამდენიმე ძლიერი ქართველი მოზარდი ჩოგბურთელი არ თამაშობდა, თუმცა 100-მდე სპორტსმენი მაინც შეიკრიბა. შეჯიბრი გოგონათა და ვაჟთა რამდენიმე ასაკობრივ ჯგუფში გაიმართა. ჩემპიონები გახდნენ შოთა პაიჭაძე, გიორგი ვანიშვილი, ლუკა სულაძე, ნიკა ლეკვეიშვილი, ზურაბ ჟვანია, ეკა გორგოძე, ნინო კალმახიძე და ლიკა ჭკუასელი.

ირაკლი თავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კობა გოგოლაძე ცაციას ისევ მარჯვედ იქნევს

გუშინ დილით პროფესიონალი ქართველი მოკრივე კობა გოგოლაძე თბილისიდან ლონდონს, ლენოქს ლუისის კოლეჯში გაემგზავრა, სადაც თავისი მორიგი სარეიტინგო ბრძოლისთვის თითქმის ერთი თვეა ემზადება გიორგი კანდელაკი. კობა იქ ცოტას წაივარჯიშებს და 25 ივლისს ლონდონშივე პროფესიულ რინგზე მეშვიდედ იჩხუბებს.

გეხსომებათ, გოგოლაძეს თებერვალში თბილისის სპორტის სასახლეში ინტერკონტინენტალის ქამრის მოცილე ამერიკელი დევიდ ტერნერის ძლევა მარცხენა ხელის ტრავმად რომ დაუჯდა. ხუთი თვე მან დაშავებული ხელის მკურნალობას მოახმარა და სოფაში ორი ოპერაციაც გაიკეთა. თუმცა ინგლისში გაგზავრებამდე „დინამოს“ დიმის ბაზაზე, სადაც ვარჯიშობს, მოწყობილ პრესკონფერენციაზე გვითხრა, ხელს უკვე მთელი დატვირთვით ვავარჯიშებ და პრობლემები არ უნდა შემიქმნასო.

მომავალი ორთაბრძოლა, როგორც გითხარით, 25 ივლისს ლონდონშია დაგეგმილი, მეტოქის ვინაობა კი, ჯერ-ჯერობით უცნობია. მოკრივე და მისი ბანაკი ამას ტრადიციულად ბოლო საათებში შეიტყობს. შესაძლოა, კობამ 13-შიც იჩხუბოს, იმ დღეს, როცა კანდელაკიც იბრძოლებს. ყველაფერი მენეჯერთა მარიფათზეა დამოკიდებული.

მოკრივეებს რომ საქართველოში ნორმალური სავარჯიშო პირობები არა აქვთ, არახალია. ზეირიანი სპარინგ-პარტნიორებისა და საკრივო დარბაზების გარეშე (პრესკონფერენციაზე ამაზეც ითქვა) დარჩენილ აქაურებს სულ უფრო უჭირთ უცხოელებთან გამკლავება. გამონაკლისი არც გოგოლაძეა, რომელსაც „დინამოს“ დირექტორატისა თუ უცხოელი მენეჯერების შემწეობით სავარჯიშო პირობები მეტ-ნაკლებად აქვს, აი, სპარინგი კი მისთვის პრობლემაა. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ თვალი სხვადასხვა ტურნირებისკენ გაურბის. როგორც მისმა მენეჯერმა მამუკა წიკლაურმა თქვა, კობა ევროპის ჩემპიონის ტიტულისთვისაც იბრძოლებს. გეგმავენ კავკასიის ჩემპიონატის ჩატარებასაც. ორგანიზატორთ ეს ტურნირი ცალკე შეჯიბრად წარმოუდგენიათ და არა მხოლოდ კავკასიელთა ხარჯზე. აქ გამოსვლა ჩვენ მოკრივეებს საშეჯიბრო პრაქტიკასაც გაუმდიდრებს და სარეიტინგო ქულებსაც შემატებს, რასაც სამუშაო ვიზების გაცემისას ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, ინგლისში) დიდ ყურადღებას აქცევენ. და რადგან დიდი ფულის ბაზრად ქცეულ კრივში ფინანსების გარეშე ყველა წამოწყება უდღეური და ფუჭია, ჯერ ძლიერი სპონსორების მოზიდვაზე ზრუნავენ.

ირაკლი თავაძე

ავტორბოლა

კულჰარდის ნათითარზე

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

კვირას, „მანი კურზე“ საფრანგეთის დიდი პრიზის გათამაშებისას, მიხაელ შუმახერსა და დევიდ კულჰარდს შორის მომხდარი ინციდენტი კვლავ მასმედიის ყურადღების ცენტრშია. შეგახსენებთ: შუა რბოლისას, ტრასის ყველაზე რთულ და ნელ მოსახვევში „ადელაიდა“, კულჰარდის „მაკლარენმა“ მარცხნიდან, გარე ტრაექტორიით სცადა ლიდერის „ფერარის“ გვერდის ავლა. შუმიმ გზა არ დაუთმო, პირიქით, მისკენ გაიწია და რისკიანი მანევრით კულჰარდს გასწრების საშუალება არ მისცა, რასაც შოტლანდიელის მხრიდან მეტად ემოციური რეაქცია მოჰყვა — მან ჯერ მუშტი მოუღერა მეტოქეს, მერე კი გაცილებით მრავლისმთქმელი, შუა თითის უცენზურო ჟესტიც მიაყოლა. ტელე და ფოტო ობიექტივებმა მკაფიოდ დააფიქსირეს, რაც მოხდა და ამბავი უმალ მთელ დუნიაზე გავრცელდა.

ცხადია, ყველაფერს, მათ შორის გასწრებასაც თავისი წესი აქვს. ამდენად, შუმახერის ქმედების გამო კულჰარდის აღშფოთება გასაგები კია, მაგრამ გამოხატვის ფორმა აშკარად დამამცირებელია ავტორისთვის.

რბოლის შემდეგ ემოციადამცხრალმა შოტლანდიელმა უფრო საღად შეაფასა ვითარება: „ცხადია, ასეთი ფორმით არ უნდა გამომეხატა გრძნობები, მაგრამ მაინც მართალი ვარ“.

დევიდმა ბოდიში მოუხადა სრულიად საფორმულო საზოგადოებას, მაგრამ არა პირადად შუმახერს, რაკი დარწმუნებულია, რომ ყველაფერი გერმანელის ბრალია: „მადლობა ღმერთს, მანქანის დამორჩილება შევძელი და როცა გვერდი გამკრა, ტრასიდან არ გადავსრიალდი. მას აშკარად რბოლიდან ჩემი გამოთიშვა უნდოდა.“

სტიუარდები გაარკვევენ, რამდენად კორექტული იყო ეს ქმედება. თუმც რაკი მათი მხრიდან ამას არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია, ეტყობა, თვლიან, რომ ყველაფერი წესების დაცვით მოხდა.

მოქიშპეებს ორი წლის წინაც ჰქონდათ შეხლა-შემოხლა, მაგრამ მალე შერიგდნენ. ამჯერად ძნელი სათქმელია, როდის ჩამოართმევენ ერთმანეთს ხელს. ყოველ შემთხვევაში, გვეჭვება, უზომოდ ამაყმა შუმიმ ცივად გადაყლაპოს შეურაცხყოფა და გულთან ახლოსაც არ მიიტანოს.

ირაკლი ნიკოლაძე



დევიდ კულჰარდი: აი, თითი!

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ

8-23 ივლისს ლელა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე (მარჯანიშვილის ქ. №29) გაიმართება პროფესიონალ ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირები ჯეოსელის თასზე.
აკრედიტაციის მსურველებს ვთხოვთ, მოგვმართონ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციაში 6 ივლისამდე ზემოაღნიშნულ მისამართზე.

ჩოგბურთის ფედერაცია

ვაი უილიამსებისგან და ჟურნალისტებისგან

REUTERS ლონდონიდან

მორიგი ამრევი პიკანტური წარწერით — ეს კაცი თურმე თავს სიმშვლით ირჩენს



REUTERS ლონდონიდან

ტიმ ჰენმანის დამარცხების მერე ინგლისელებს საქომაგოდ მოულოდნელი ალექსანდერ პოპილა დარჩათ

რა დახტის კორტზე

ინგლისელ ჟურნალისტებზე ინტრიგან ხალხს მსოფლიოში ძნელად თუ იპოვით. თუნდაც დიდად პატივცემული და ძველისძველი გაზეთი „ტაიმსი“ აიღეთ — წინა კვირაში ტაიმსელებმა „ოლ ინგლენდ კლაბის“ უსაფრთხოების სამსახურს ისეთი დღე აყარეს, კაცს გული მოუკვდებოდა.

მსმედიის გადაცმული წარმომადგენლები მოტყუებით შეიპარნენ კლუბის ტერიტორიაზე, იქ დილიდან საღამომდე ითარეშეს, ჩოგბურთის ვარსკვლავებთან ერთად ფოტოები გადაიღეს, მხოლოდ მოთამაშეთათვის გამოყოფილ მოსასვენებელშიც შევიდნენ სალაყბოდ, თანაც ყველაფერი ეს ფოტოებზე აღბეჭდეს და მეორე დღეს გაზეთის პირველ გვერდზეც გამოჭიმეს — აი, ასე გიცავთ თქვენი პოლიციაო.

და ეს მაშინ, როდესაც ერთმა შერეკილმა მონიკა სელეშს დანა ჩასცა, მეორე კი კი მარტინა ჰინგისზე ნადირობს. ამ დროს, ცხადია, უსაფრთხოების წარმომადგენლები თითის წვერებზე უნდა იდგნენ.

ამ სილის გაწვნის გამო თუ ჯავრს სხვა ჟურნალისტებზე იყრიან ვერ გეტყვით, მაგრამ ეს ორი დღეა, ჩვენთვის გამოყოფილ მეხუთე კარიბჭესთან დაცვა გაორმაგდა. თუ ადრე მოწყალე ღიმილით გვაცილებდნენ, ახლა ყველა ჩანთას გულდასმით ჩხრეკენ და საპრესკონფერენციო ოთახებში შესვლის წინ საშვებსაც ამოწმებენ.

ჟურნალისტებისგან თავის დასაცავი ღონისძიებები, ორგანიზატორთა სამწუხაროდ, მაყურებლებზე არ ჭრის და ორშაბათს მე-14 კორტზე ერთი მეტად საინტერესო ინციდენტიც მოხდა.

ანა კურნიკოვა და ნატაშა ზვერევა წესილების მერვედფინალურ შეხვედრები ემი ფრეზერსა და კეტი შლუკებირს ხვდებოდნენ, როდესაც ტრიბუნიდან ვიღაც შერეკილი გადმოხტა ყვირილით. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ მან კომბინეზონი ხელის ერთი მოქნილი მოძრაობით გაიხადა და ადამის სამოსელში ხტუნვა დაიწყო.

ოთხივე მოთამაშე თვალის დახამხამებაში სკამებთან გაჩნდა და თავზე პირსახოცი გადაიფარა, პირდაღებულ მაყურებლებს კი გაბედული ნუდისტის მკერდზე გაკეთებული წარწერის წაკითხვის მერე ისტერიული სიცილი აუტყდათ.

უკვე გითხარით, რომ ლონდონის ქუჩები და მეტროს სადგურები სპორტული ბიუსტჰალტერების მწარმოებელი ფირმა „ბერლეის“ დიდი პლაკატებითაა აჭრელებული, რომლებზეც ნახევრადშიშველი ანა კურნიკოვაა გამოსახული წარწერით — „მხოლოდ ბურთები უნდა ხტოდნენ“.

კორტზე მოხტუნავე ძლიერი სქესის წარმომადგენელსაც სწორედ ეს ეწერა მკერდზე, ოღონდ გარკვეული ანატომიური განსხვავების გამო წინადადებამ სულ სხვა მნიშვნელობა მიიღო: ბურთები, ანუ BALLS ინგლისურად შთამომავლობის გაგრძელებისთვის ფრიად აუცილებელ წყვილ ორგანოსაც ნიშნავს.

შერეკილი ინგლისელი თავისი ღირსებების დემონსტრირებას თითქმის ორი წუთის მანძილზე აგრძელებდა, სანამ წესრიგის მძინარე დამცველები გონს მოვიდოდნენ და სტრიპტიზის ორიგინალურ სეანსს ბოლოს მოუღებდნენ.

შერეკილი ინგლისელი ვინმე მარკ რობერტსი, ვისთვისაც საზოგადოებაში ტიტლიკანა სირბილი ნამდვილ მოწოდებადაა ქცეული: მის ანგარიშზე უკვე 157 მსგავსი საგმირო საქციელია.

ერთადერთი, ვისაც მისტერ რობერტსის ვოიაჟმა გული დაწყვიტა, საბუკმეიკერო კომპანია „უილიამ ჰილია“. ფსონები სტრიკერის უიმბლდონზე გამოჩენაზე 2:1-თან იყო. მახლობელ ტერასაზე ლუდის მწრუპავი კურნიკოვას ბოიფრენდი სერგეი ფიოდოროვი სატრფოსთან საშველად გაჩენას ნამდვილად ველარ მოასწრებდა, მაგრამ რობერტსს ცუდი განზრახვა თურმე გულში არც გაუვლია: „მე ამით თავს ვირჩენ, ანასთან კი ახლოსაც არ მივიდოდი, სულაც არ მსურდა მისი წყენინება.“

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე კურნიკოვაცა და ზვერევაც ოთახში ისე შემოვიდნენ, თითქოს გესტაპოში დაკითხვაზე მოდიოდნენ და მთელი ინტერვიუს განმავლობაში ჭირისუფლებივით ისხდნენ. რატომღაც გახუმრება კი არა, გაღიმებაც არავის უცდია, უხერხულ სიჩუმეში დასმულ კითხვებსაც დიახ, ან არათი პასუხობდნენ.

„იმ მომენტში მომდევნო წრეზე და იმაზე ვფიქრობდი, თუ რა შეიძლება გავაუმჯობესო თამაშში“ — კურნიკოვას სერიოზული კომენტარი ცოტა სასაცილოდ ულერდა.

ჰოპის ჰოპი

კაცებს შორის მეოთხედფინალში ერთ-ორ ისეთ სახელს გაიგონებთ, ჯერ რომ არ გსმენიათ.

ალექსანდერ პოპს აქამდე იმედისმომცემი, მაგრამ არცთუ წარმატებული კოლეგებისგან მხოლოდ ანძის სიმაღლე — 2 მეტრი და 2 სანტიმეტრი გამოარჩევდა, ATP ტურზე კი მთელი სეზონის მანძილზე ერთადერთი მატჩი მოეგო.

მაგრამ სულ რაღაც 9 დღე და აყლაყუდა ჩოგბურთელი თითქმის ყველა ინგლისურ გაზეთში გამოიჭიმა. მაიკლ ჩანგისა და გუსტავო კუერტენის დამარცხების გარდა ამაში ლომის წილი იმანაც დაიდო, რომ გერმანელ პოპს ინგლისელი დედა ჰყავს და ამავე ქვეყნის პასპორტი აქვს, ბრიტანელებს კი დევისის თასზე რუზეკკისა და ჰენმანის შემცვლელი ესაჭიროებათ.

ასე რომ, მოქალაქეობის შეცვლაზე ხუმრობით აგორებულმა პატარა ტალღამ წრიდან წრემდე ცუნამის ძალას მიაღწია და ახლა, როდესაც ტურნირზე სხვა მასპინძელი აღარავინ დარჩა, პოპს მზურვალე მხარდაჭერა გარანტირებული აქვს — მით უმეტეს, რომ ჰენმან-რუზეკკისგან განსხვავებით, მეხუთე სეტში გმირულად დაღუპვისკენ მიდრეკილებით არ გამოირჩევა და ინგლისურად ბარე ორ და სამ აქაურ ფეხბურთელზე უკეთ (და რაც მთავარია, გასაგებად) მეტყველებს.

თუმცა გარკვეული უარყოფითი შედეგები მეორე სამშობლოში შვილად მიღებას მაინც ახლავს. მაგალითად, მორიგ პრესკონფერენციაზე „ვულვერჰემპტონ ექსპრესის“ მუყაითმა მუშაკმა ალექსანდერი კითხვებით აიკლო: როდის დატოვა დედაშენმა ვულვერჰემპტონი? რა იცი ვულვერჰემპტონზე? რა შეგიძლია თქვა ზოგადად ვულვერჰემპტონის შესახებ?

ასეთი დაკითხვა ნისლიან ალბიონზე მეორედ თუ მესამედ ნამყოფ ჯენტელს კი არა, ძირძველ ინგლისელს დაამტვრევდა, თუმცა პოპმა გამოწვევა მიიღო და შესანიშნავი პასუხიც გამოძებნა: „სიმართლე გითხრათ, ბევრი არც არაფერი ვიცი.“ აქაურებს ვულვერჰემპტონი და იქაური ჟურნალისტები, ეტყობა, გულზე დიდად არ ეხატებათ, რაკიღა ამ სიტყვებს ქირქილი და მოწონების შეძახილები მოჰყვა.

სინამდვილეში ალექსანდერის დედა ლიდსის უნივერსიტეტში სწავლისას გაჰყვა ინგლისური ენის გერმანელ მასწავლებელს და პოპების ოჯახი უკვე 25 წელია, ფრანკფურტში ცხოვრობს. აქ ჩოგბურთელს ბიძა და ორი-სამი ლონდონელი ნათესავი ჰყავს.

გენეალოგიური ხის საფუძვლიანად გამოკვლევის შემდეგ ალბათ ორიოდ სიტყვით საკუთრივ თამაშზეც ღირს შეჩერება. მერვედფინალში სიძაღლითა ტოლ, ორმეტრიან ბარე ორიოდ ფერადნელმა (ან ინგლისელმა, არჩევანი თქვენთვის მომინდია) პირველი ორი ხელი სწრაფად მოუგო, მერე ასევე სწრაფად ანგარიშის გათანაბრების საშუალებაც მისცა, საბოლოოდ კი ეფექტური ფორჰენდების წყალობით 6:1, 6:4, 3:6, 4:6, 6:1 იმარჯვა.

„წლეულს საუკეთესოთა ასეულში რომ არ შემეღწია, სპორტიდან წასვლას და უნივერსიტეტში გამოცდების ჩაბარებას ვაპირებდი. თუმცა, როგორც ვატყობ, სწავლის გარკვეული დროით გადადება მომიხდება“ — დაუმატა ბოლოს პოპმა.

არანაკლებ მოულოდნელია მეოთხედფინალში ბელარუსი ვლადიმირ ვოლჩკოვის ხილვაც. მან 1996-ში აქ იუნიორთა ტურნირზე კი იმარჯვა, მაგრამ იმის მერე ციდან ვარსკვლავები არ მოუკრეფია და უიმბლდონის დაწყებამდე კლასიფიკაციაში მხოლოდ 237-ე გახლდათ.

სიმართლე გითხრათ, ყოფილი საბჭოელის თამაში სულ ხუთიოდ წუთით ვიხილე და ვერც კი გეტყვით, რა განსაკუთრებულ თვისებებს ფლობს, რომ ზედიზედ სამი ძლიერი ჩოგბურთელი — სედრიკ პიოლინი (6), იუნეს ელ აინაუ და უეინ ფერერა დაამარცხა: მოწოდებას სამპრასამდე ბევრი უკლია, უკანა ხაზიდან აგასის ნამდვილად ვერ გაევჯიბრება და არც ბადესთან აქვს რაფტერისეული ტექნიკა.

და მაინც, საკვალიფიკაციო ტურნირზე გამოწრთობილი ვოლჩკოვი ჯიუტად მიიწევს წინ, მერვედფინალში ზემოხსენებულ ფერერას თავბედიც აწყევლინა 6:3, 6:4, 7:6 (7:0) და ხეირიანი მწვრთნელის დასაქირავებლად საჭირო თანხის გარეშეც არავის აჩაგვრინებს თავს.

„შარშან მხარი დავიშავე, ამიტომ სეზონის დასაწყისში შავი დღისთვის გადანახული ფულიც კი თითქმის მთლიანად შემომელია და ტურნირებზეც ძლივს ვახერხებდი წასვლას — განაცხადა არცთუ ურიგო ინგლისურით ბელარუსმა, რომელმაც თამაში შვიდი წლისამ, საავტომობილო ქარხნის კორტებზე დაიწყო — ზოგჯერ მეგონა, რომ მოგებისთვის კი არა, თავის გადასარჩენად ვიბრძოდი. აქ მიღებული საპრიზოები ძალიან გამომადგება.“

კინგ კონგი

სწორედ ამ მითიურ თუ კინემატოგრაფიულ მაიმუნს შეადარა აქაურმა პრესამ ტიმ ჰენმანის დამმარცხებელი გიგანტი მარკ ფილიპუსისი, რომელმაც ინგლისელთა ოცნებას, 70-წლიანი შესვენების შემდეგ საკუთარი ჩემპიონი ჰყოლოდათ, ერთხელაც დაუსვა წერტილი.

ცენტრალური მერვედფინალური მატჩი „ვეფხვ ტიმსა“ და „სკადს“ შორის მართლაც ყველას სჯობდა. ინგლისელს დამსახურებას ვერ დაუკარგავ: პირველი სეტის გამოკლებით, ბადესთანაც შესანიშნავად თამაშობდა და არაჩვეულებრივ შემოვლებულებსაც ურტყამდა, ოღონდ ფილიპუსისის მკვლელმა მოწოდებამ თავის გზაზე მაინც ყველაფერი წალეკა.

მატჩის უკანასკნელ გეიმში ავსტრალიელმა, რომელსაც ბოლო ორ მატჩში 8 საათზე მეტი გაეტარებინა კორტზე, ოთხი ეისი დაარტყა და საკუთარი უილაჯობით გამწარებულ ჰენმანს ჩოგანი ფეხზე გადაამტვრევინა 6:1, 5:7, 6:7 (9:11), 6:3, 6:4.

იმედგაცრუებული მარტო ჰენმანი კი არა, მთელი ინგლისი დარჩა. საპრესკონფერენციო დარბაზში ჩოგბურთელის შემოსვლის შემდეგ რამდენიმე წუთის მანძილზე სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა, ხმის ამოღება და პირველი მწარე კითხვის დასმა არავის ეხალისებოდა. პაუზა ისე გაიწელა, ბოლოს თავად ტიმმა გამოჰხედა დარბაზს გაკვირვებული სახით, რაღას ელოდებით, ინკვიზიციისთვის მზად ვარო...

კიდევ ერთხელ გამაოცა ფილიპუსისის საზრიანობამ. ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა, როგორ ფიქრობთ, ჰენმანის დამარცხებას მაყურებლები თუ გაპატიებენო. „სკადმ“ ვითარებას ალღო სწრაფად აუღო და მაშინვე ინგლისელის ქება-დიდებას მოჰყვა, ეგ თქვენი ტიმი ჩოგბურთის გენიოსია, დღეს უბრალოდ გამიმართლა, თავადაც არ ვიცი, როგორ მოვუგეო.

არადა, ავსტრალიელმა ჰენმანი უკვე ზედიზედ მეოთხედ გაამწარა.

ცოლები და გულიანი ქალები

პარიზში, სასტუმრო „კრიიონის“ აივანზე ევროპის ჩემპიონთა მეორე ნახევრები გამოფენილან. გამოფენის თვალი კრისტიან კარამბუს ცოლია და ამიტომაც ასვეტილა ცენტრში, თასიც დაუნარჩუნებია. სხვებსაც არა უშავთ. თასს წაპოტინებული ფრანკ ლებეფის თანამეცხედრე ბეტი გახლავთ, მარცხნივ კი რობერ პირესის ნატალის ხილვა შეგიძლიათ.

ფრანგთა მეორე ნახევრები თვალწარმტაცნი კი არიან, მაგრამ საჯვრეტად ბევრს მაინც ეს იტალიელი ქალბატონი ერჩივნება. არც გაემტყუნებათ. კვირას ევრო 2000-ის ფინალზე მისულ ამ იტალიელ ლამაზმანს ერთი შეხედვით „სკუადრა აძურას“ ლურჯი მაისურა მოსავს, თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით... დაკვირვებული თვალი იოლად შეამჩნევს (მის მშვენიერ მოშიშვლებულ მკერდთან ერთად), რომ ივი წელსზემოთ შეღებილია, ცხადია ლურჯად. ალბათ, ფინალური მატჩის მიწურულს იტალიელმა ფეხბურთელებმაც შეამჩნიეს და...

ავსტრია

I ტური

ტიროლი 6:1 ადმირა

რუსეთი

გადადებული მატჩი

სპარტაკი 4:2 ტორპედო

შვედეთი

IX ტური

გაის 0:0 ჰალმსტადი

ჰამარბი 2:3 ელფსბორგი

ველოსპორტის მეორე მხარე



ველოსპორტი სისხლიანი სპორტიცაა. აი, დევიდ ეჩებერია, ბასკი კაცი „ტურ დე ფრანსის“ ინდივიდუალური რბოლისას დაცემული, ლოყა სისხლით მოთხვრია და მარჯვენა ხელი არად არგია. მას ველოსიპედზე ხელახლა შემჯდარს მაინც ვუყურებთ, შვეიცარიელი მარკუს ზბერგი კი იოლად ვერც წაშოდგება. არადა, აფსუსია, ფინიშამდე თურმე კილომეტრიც არ ყოფილა დარჩენილი.

გრძელდება...

ოლიმპიური ჩირაღდანი ავსტრალიაში მოგზაურობას განაგრძობს. ნენაპში მას კოხტა გოგო, ვიკი კირკმანი დაიჭერს და იქაური ზღაპრებიდან მოსული „ნენაპის ვეფხვის“ კომპანიაში გაიქცევა, ხოლო ინვალიდის ეტლში მჯდარი უორენ ბასი ჩირაღდნის მარშრუტის უოლპოულის მონაკვეთს დაფარავს. ეს ამბები დასავლეთ ავსტრალიაში ხდება.

ბურთის მომტანი

სან-ფრანცისკოს „პესიფიკ ბელ პარკის“ საბეისბოლო სტადიონს ცალი მხრიდან ტბორი აკრავს. ჰოდა, გასტყორცნის რომელიმე მკლავღონიერი მოთამაშე ბურთს, გაფრინდება ივი, სტადიონს გადააფრინდება და ტბორში რომ ჩავარდება, მაშინ რა ვაკეთოთ? ამიტომაც, ძაღლებს ახალ პროფესიას გულმოდგინედ ასწავლიან, მალე „ლოს ანჟელეს დოჯერსი“ ჩამოდის.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ივანიანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი პახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოვრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge